# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 აპრილი 2003 №71 (1842) | ფასი 50 თეთრი




ლოკომოტივი — დინამო 0:4. შაბათს ბურთს ერთი გზა ჰქონდა — „ლოკომოტივის" კარი

## დინამომ ლოკომოტივი გზიდან გადააგდო



### სიონი ტორპედოს ნერვებს და გეგმებს უშლის



სიონი — ტორპედო 1:0. ქუთაისელმა დავით გამეზარდაშვილმა თავი გაიტეხა, მაგრამ მაინც მოედანზე დარჩა

## ივო-ვარიანტი

### შუშაკმა შემადგენლობა არ გადაშუშა

ივო შუშაკმა გუშინ საქართველოს ნაკრების სარუსეთო შემადგენლობა დაასახელა.

ხორვატს აქამდეც უთქვამს, ნაკრებში მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის დრო არ მყოფნისო და შემადგენლობაც ამის დასტურია: ახალწვეულნი მხოლოდ ორნი არიან — ლოკომოტიველები, მალხაზ ასათიანი და დავით სირაძე, ოღონდ პირველი მოსკოვის ლოკომოტიველია, მეორე კი თბილისელი. ისე, ასათიანი და სირაძე არც არიან შუშაკის აღმოჩენილი ფეხბურთელები და ახალგაზრდული გუნდიდან ეროვნულში მათი გადასვლა მოსალოდნელიც, უახლოესი მომავლის ამბავი იყო. ეს დროც დადგა.

სხვები კი ძველები არიან: ზოგი ძალიან ძველი, ზოგიც მეტ-ნაკლებად.

მეტ-ნაკლებად ძველი იქნება ტაქტიკაც და შუშაკს ესეც ადრევე ჰქონდა ნათქვამი. გუნდი თამაშამდე სრულად



მხოლოდ ორი დღით ადრე შეიკრიბება და ამ მცირე დროში რა და როგორ უნდა შეიცვალოსო.

მაგრამ შუშაკი კვლავაც გვპირდება ახლებურად თამაშს და საამისოდ ახალგაზდული ენთუზიაზმის იმედი აქვს.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ჩვენი წილი ენთუზიაზმით შევიარაღდეთ და ტელევიზორებს მივუსხდეთ.

## ბრმა ნაწლავი ბრმა ტყვიაა

### რეალს რაული ერთი თვით ამოაჭრეს

ამ დღეების ბარსელონურ პრესას რომ გადახედოთ, იფიქრებთ, „ბარსელონა" ჩემპიონობისთვის იბრძვის და არათუ იბრძვის, გახდება კიდეცო.

ამავ დღეებში კი მადრიდელებს ყურები აქვთ ჩამოყრილი.

ასე იცის ესპანურმა სუპერკლასიკომ. განა მხოლოდ ქულებშია საქმე —„რეალიც" და „ბარსაც" ისევ იქ დარჩნენ, სადაც იყვნენ, მაგრამ კლასიკოში ქულების გარდა სხვა რამესაც ითვლიან და ამ სხვა რამით მორალური გამარჯვება „ბარსელონას" დარჩა.

გუშინ კი, თითქოს ესლა აკლდაო, „რეალს" ერთი თვით გამოაკლდა რაული. აქ არ შევუდგებით იმის მოყოლას, თუ რას ნიშნავს ეს ფეხბურთელი ამ გუნდისთვის. უბრალოდ ვთქვათ, რომ რაულს უეცრად ბრმა ნაწლავმა შეუტია და საოპერაციო მაგიდაზე დააწვინა.

ხვალ „რეალს" „მანჩესტერი" ელის, ამ ერთ თვეში მადრიდელებს სხვა ბევრი თამაშიც აქვთ — გადამწყვეტს რომ ეძახიან, სწორედ ისეთი.



# შუშაკმა იცის, რომ რუსეთმა იცის

## რკინიგზული დებიუტი და ქართული 21


დავით სირაძე

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელმა ივო შუშაკმა ერთი კვირის წინ თქვა და გუშინ ის 21 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც რუსეთთან 30 აპრილის შესარჩევი მატჩისთვის მოამზადებს.

პრესკონფერენციაზე, რომელიც შუშაკის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ მესამედ გაიმართა, ადრე კი ნაკრების თავკაცთაგან ლამის სანატრელი იყო, ხორვატს გვერდს უმშვენებდნენ მისივე ძველ-ახალი თანაშემწეები — გივი ნოდია და ოთარ გაბელია.

შუშაკის სარუსეთო შემადგენლობაში ორი დებიუტანტია. მოსკოვის „ლოკომოტივის" ნახევარმცველი მალხაზ ასათიანის ნაკრებში მიწვევა თუ მოსალოდნელი იყო, მწვრთნელის რჩეულთა შორის მოულოდნელად მოხვდა თბილისის „ლოკომოტივის" 21 წლის ფეხბურთელი დავით სირაძე. ის შემტევი ნახევარმცველია, გამოირჩევა სწრაფი აზროვნების უნარით, ძლიერი დარტყმითა და თავით თამაშით. ბოლო ხანს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა. ეროვნულ გუნდს უბრუნდებიან მილანელი კახა კალაძე და გამოჯანმრთელებული ლადო ბურდული, თავდამსხმელებს კი რატი ალექსიძეც შეემატება, რომელმაც შაბათის სათასო მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა. შუშაკისეული სიახლე გახლავთ ისიც, რომ მან ჩამოთვლილ 21 ფეხბურთელს სამი სარეზერვოც დაუმატა — ვინმე რომ დაშავდეს, მწვრთნელს შემცვლელებად „ტორპედოს" მეკარე გრიგოლ ჭანტურია, დინამოელი ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილი და „ვიტ ჯორჯიას" ფორვარდი ლევან მელქაძე ეგულება. ეს ფეხბურთელები შეკრებაზე არ იქნებიან, თუმც ნებისმიერ დროს გამოძახებისთვის მზად უნდა იყვნენ.

ახლა კი მთავარი, ივო შუშაკმა რუსებთან საომრად გამოიძახა

*მეკარეები: გიორგი ლომაია („ლოკომოტივი"), დავით გვარამაძე („დინამო");*

*მცველები: კახა კალაძე („მილანი", იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), გივი დიდავა („ქოჯაელი", თურქეთი), ოთარ ხიზანეიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, გიორგი შაშიაშვილი (ყველა „დინამო");*

*ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე („დანდი"), გიორგი ქინქლაძე („დერბი", ინგლისი), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), დავით კვირკველია, ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია (ყველა „დინამო"), მალხაზ ასათიანი („ლოკომოტივი", მოსკოვი, რუსეთი), დავით სირაძე („ლოკომოტივი").*

*თავდამსხმელები: რატი ალექსიძე („დინამო"), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია), გიორგი დემეტრაძე („მეტალურგი", დონეცკი, უკრაინა), მიხეილ აშვეთია („სპარტაკ-ალანია", რუსეთი).*

რუსეთთან მატჩისთვის ორი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებული არიან ფრაიბურგელი ლევან კობიაშვილი და მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგის" საყრდენი ალექსანდრე რეხვიაშვილი. დონეცკის „მეტალურგის" ნახევარმცველმა გოჩა ჯამარაულმა კი, მოგეხსენებათ, სანაკრებო კარიერა ერთი თვის წინ, ირლანდიასთან მატჩის შემდეგ დაასრულა.

— საქართველოს ნაკრები რუსებთან თამაშისთვის მომზადებას 26 აპრილს „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყებს. 21 ფეხბურთელი ვალდებულია, შეკრებაზე გამოცხადდეს — თქვა ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ივო შუშაკმა — ყველა ფეხბურთელზე, რომლებიც ამ ეტაპზე გამოვიძახე, საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მაქვს. დინამოელებზე რომ არაფერი ვთქვა, საქმეში ხშირად ვნახულობდი ქართველ ლეგიონერებსა და საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს. თითოეულის შესაძლებლობები კარგად ვიცი.

...30 აპრილი უეფასგან დადგენილი სანაკრებო დღეა, ოღონდ ამხანაგური მატჩებისთვის. საქართველო — რუსეთი ადრე ჩაიშალა და მატჩიც სარეზერვო დღეს ამიტომ დაინიშნა. უეფას რეგლამენტით კი კლუბებს ამხანაგური შეხვედრებისთვის ფეხბურთელის განთავისუფლება 2 დღით ადრე შეუძლიათ. ვინაიდან 30 აპრილი ამხანაგური თამაშის დღეა, კლუბებს ვერ ვაიძულებთ, ბიჭები ადრე გამოუშვან. არადა, 26 აპრილს კახა კალაძისა და გიორგი ქინქლაძის გუნდები თამაშობენ, 27-ში შოთა არველაძის „რეინჯერსი" „სელტიკს" ხვდება. ფეხბურთელები, რომლებიც 26 აპრილამდე ჩამოვლენ, არ დაისვენებენ და თბილისის „დინამოსთან" ერთად ივარჯიშებენ. 27-ში ყველა ფეხბურთელი თბილისში იქნება, ერთი ან ორი კი მეორე დღეს შემოგვიერთდება.

...ეროვნულ გუნდში გამოძახება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის განსაკუთრებულ პატივისცემას ნიშნავს, თუმც თამაშის გარანტიას წინასწარ ვერავის მივცემთ. მომზადებისას გადავწყვეტთ, ვინ ძირითადში იქნება, ვინ — სათადარიგო, ვინ — განაცხადს მიღმა დარჩება. თუ რომელიმე ფეხბურთელი მწვრთნელების მოთხოვნებს არ დაემორჩილება, რეჟიმს დაარღვევს, გუნდისთვის შეუფერებლად მოიქცევა, იძულებულნი ვიქნებით, ის ნაკრებიდან დავითხოვოთ.

...სირაძე და ასათიანი დებიუტანტები იქნებიან. მათი ახალგაზრდული ენთუზიაზმის გვჯერა, ისინი ქომაგებს გაახარებენ. როცა ამ ფეხბურთელებზე ვლაპარაკობთ, უნდა ვახსენოთ გამოცდილებიც. ახალგაზრდებს სწორედ მათი დახმარება, გამხნევება სჭირდებათ.

...დიდად ვაფასებ ჯამარაულს, როგორც პიროვნებასა და კარგ ფეხბურთელს, მაგრამ მისი სანაკრებო მოტივაცია უკვე შერყეულია. ახლა კი, როგორც თავად ფეხბურთელმა თქვა, ის დრო დადგა, როცა უჯობს, ეროვნულ გუნდს ჩამოშორდეს. რუსეთთან ისეთი თამაში გველის, რომელშიც სწორედაც რომ ახალგაზრდული ენთუზიაზმი გვჭირდება. ასათიანმა, ბურდულმა და სირაძემ უკვე დაამტკიცეს, რომ სერიოზულ დონეზე თამაში შეუძლიათ. მათ დიდი პოტენცია აქვთ.

–ვიცი, რომ რუსეთის ნაკრების მწვრთნელებს ქართველ ფეხბურთელებზე ბევრი ინფორმაცია აქვთ, თუმც მის ნაკლებობას არც ჩვენ ვუჩივით.

–ქომაგი ძალიან დაგვაკლდება. შევეცდებით, მათი გულის გასახარად რუსები დავამარცხოთ. გუნდმა და ქომაგმა თავი დაშორებულად რომ არ იგრძნონ, ამიტომ მატჩამდე ერთ ან ორ ღია ვარჯიშს ჩავატარებთ. ვეცდებით, რომ გუნდი და ქომაგი ერთმანეთს გადავაჯაჭვოთ.

...საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების პროვოცირების უფლებას არავის მივცემ. მე არასდროს შემიდარებია ერთმანეთთან სპორტი და პოლიტიკა, თუმც გეთანხმებით, არის ხოლმე ფსიქოლოგიური შეტევები, თამაშები თამაშამდე. ჩვენი საამმატჩო სტრატეგია კი მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელების შესაძლებლობებით იქნება განსაზღვრული.

**ქობა ინასარიძე**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე

## რუსეთი

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა საქართველოსთან სათამაშოდ გუშინ ეს ფეხბურთელები შეარჩია:

*მეკარეები: სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), ვენიამინ მანდრიკინი (ცსკა), ვალერი ჩიჟოვი (სატურნი);*

*მცველები: ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, დენის ევსიკოვი (ყველა ცსკა), ვიქტორ ონოპკო (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), სერგეი იგნაშევიჩი, გენადი ნიჟეგოროდოვი (ორივე ლოკომოტივი);*

*ნახევარმცველები: ევგენი ალდონინი (როტორი), იგორ იანოვსკი, ანდრეი სოლომატინი, სპარტაკ გოგნიევი (ყველა ცსკა), ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), იგორ სემშოვი (ტორპედო), მარატ იზმაილოვი (ლოკომოტივი), ეგორ ტიტოვი (სპარტაკი), დმიტრი ალენიჩევი (პორტუ, პორტუგალია), ანდრეი კარიაკა (კრილია სოვეტოვი);*

*თავდამსხმელები: დმიტრი სიჩოვი (მარსელი, საფრანგეთი), სერგეი სემაკი, დენის პოპოვი (ორივე ცსკა), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი)*

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა XXIX ტური**

მაინცი 3:1 დუისბურგი

**სამხრეთ რეგიონალლიგა XXXI ტური**

კაიზერსლაუტერნი (მ) 4:2 აალენი

ბაიერნი (მ) 1:1 ოფენბახი

უნტერჰახინგი 1:1 შვაინფურტი

ჰოფენჰაიმი 1:0 ერფურტი

### ნორვეგია

**მეორე ტური**

მოლდე 4:0 ლილესტრიომი

სტაბეკი 4:1 ოდ გრენლანდი

ბრინი 0:1 სოგნდალი

ტრომსიო 2:2 ვიკინგი

ბოდიო გლიმტი 3:2 ლინი

ვოლერენგა 3:1 ალესუნდი

### დანია

**სუპერლიგა. XXIII ტური**

ორჰუსი 1:2 აკადემისკი

ესბიერგი 1:5 ვიბორგი

კიოგე 1:3 სილკებორგი

მიდტიულანდი 2:2 ოდენსე

კოპენჰაგენი 0:1 ოლბორგი

ფარუმი 1:1 ბრონდბიუ

### პორტუგალია

**პირველი ლიგა XXVIII ტური**

გიმარაეში 1:0 ბელენენსეში

ბენფიკა 2:1 ვარზიმი

### ბელგია

**იუპილერლიგა XXIX ტური**

შარლერუა 4:3 ლოკერენი

ბოლნისი. 19 აპრილი. 16 საათი. თეიმურ სტეფანია. 2 500 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:0 ტორპედო

1:0 დათვაძე (87)

**სიონი:** ვოლკოვი, ირემაშვილი, ა. ბურნაძე, ხუჯაძე, ფანჩულიძე, ბაქრაძე, გაბისკირია, ე. გვასალია (დათვაძე 46), კოშკაძე (გოგიტაძე 88), წიწნიაძე, შავგულიძე (სვანიძე 70)

სათადარიგონი: ბაღიაშვილი, სვანიძე

**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**ტორპედო:** ჭანტურია, მახვილაძე, ლ. ქელიძე, ხვადაგიანი, თოდუა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე, გამეზარდაშვილი, პოროშინი, ზ. ქუთათელაძე (ჩხეტიანი 53), იონანიძე

სათადარიგონი: სტურუა, ზირაქიშვილი, ლალაძე, ძლიერიძე, ქელოშვილი

**მწვრთნელი:** ალექსანდრ შტელინი

**გაფრთხილება:** პოროშინი (59), კვეტენაძე (60), ბაბუნაშვილი (80)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე

ჯარიმა: 22-32; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმა: 6-1; კარში დარტყმა: 4-5; თამაშგარე: 1-7

# დათო და გოლიათი

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**87-ე წუთზე** ისედაც „გადარეულმა" „თემურ სტეფანიამ" ემოცია ვერ დაიტია და ტრიბუნები კინაღამ ჩამოიქცა, ხოლო ლოჟაში მსხდომ ჟურნალისტებს და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს იქაურობა ლამის თავზე ჩამოგვემხო.

ხარობდა მთელი ბოლნისი, ჩია დათვაძემ მატჩის მიწურულს სტუმრებს სანუკვარი გოლი გაუტანა და „სიონმა" ორი კვირის მანძილზე ზედიზედ მეორედ მოუგო ჯერაც ჩემპიონ „ტორპედოს".

ბოლო დროს „თემურ სტეფანიაზე" უსახურ თამაშს ვერ გაიხსენებთ. თავგანწირვით იბრძვიან ბოლნისელები და მეტოქეც თუ იშტაზეა, მატჩი საამო საცქერია. შაბათის დაპირისპირებაში აუგი არც სტუმარზე დაგვცდება, მასპინძელი ხომ ნამდვილად ქების ღირსია.

წარმოიდგინეთ ატალახებული მოედანი, ზოგან გუბეებიც კი, სამკვდროსასიცოცხლოდ შებმული 22 ფეხბურთელი და მოგუგუნე ტრიბუნები. პირველივე ტაიმში თავი გაიტეხა ტორპედოელმა გამეზარდაშვილმა, სისხლი ვერც სქლად შემოხვეულმა დოლბანდმა შეაჩერა, მასპინძელ გაბისკირიას იდაყვი გადაყვლეფოდა და ხელი სულ წითლად შეღებვოდა. არც ერთს უფიქრია თამაშიდან გასვლა. მოედანზე ერთმანეთს არ ინდობდნენ, თანაგუნდელებსაც აგულიანებდნენ.

ძალიან ჭირდა იმის გარჩევა, სად ჯარიმა იყო და სად არა. მსაჯი მალაღურაძეც თავისებურად სჯიდა, ხან მასპინძელი იყო უკმაყოფილო, ხანაც სტუმარი. ორჯერ „სიონი" ითხოვდა პენალტს, ჯერ გაბისკირიას წაქცევისთვის, მერე მაშინ, როცა ბურთი თოდუას ხელზე მოხვდა. მეორე ტაიმში „ტორპედომაც" გამოთქვა პროტესტი, იონანიძე მეტოქემ საჯარიმოში ცემაო. გოლიც გაიტანეს სტუმრებმა, მაგრამ მალაღურაძე მშვიდი იყო, არად აგდებდა ქომაგებისა და მობურთალების შეტევას.

ლაფში ამოიგანგლნენ ფეხბურთელები, სისუფთავე უფრო მეკარეებმა შეინარჩუნეს. მათ მაინცდამაინც ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ, თანაგუნდელთა თავგანწირვა შველოდათ.

„სიონმა" თავიდანვე შეუტია. სტუმართა კარს გააფთრებით აწყდებოდნენ მასპინძლები, მაგრამ „ტორპედო" საიმედოდ მოქმედებდა თავის ნახევარზე და შიგადაშიგ ბურთის კონტროლსაც ახერხებდა.

ყველაზე რეალური მომენტი პირველ ტაიმში ბოლნისელ გვასალიას შეექმნა. მოგერიებულ ბურთს სტუმართა საჯარიმოს კუთხესთან მიუსწრო და ჭანტურიას კარს შორეული ძელისკენ დაუმიზნა. ბურთი ხარიხას მოხვდა.

დრო გადიოდა, ტალახთან, გუბეებთან და ერთმანეთთან მებრძოლი ფეხბურთელები მოიქანცნენ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდნენ. „სიონი" კვლავ აწვებოდა მეტოქეს, „ტორპედოც" არანაკლები ჟინით იწევდა მასპინძელთა კარისკენ. სტადიონზე შეკრებილებიც წუთებს ვითვლიდით, თამაში უკვე უგოლო ფრისკენ მიდიოდა. თემურ მახარაძემ სამივე შეცვლის უფლება გამოიყენა, ალექსანდრ შტელინმა კი ბოლომდე მაინც არ გარისკა, დაუნდობელ ბრძოლაში ახალგამოჯანმრთელებული ზირაქიშვილი არ შეაგდო.

მალაღურაძის სასტვენიც არ დუმდებოდა, სტუმრებს უფრო ხშირად აჯარიმებდა. კონტრიერიშზე მოთამაშე „ტორპედო" თამაშგარე მდგომარეობაშიც ხშირად ხვდებოდა.

...ის ერთი ჩვეულებრივი შეტევა იყო, „ტორპედომ" მსგავსი არაერთხელ ჩაშალა. გელა ფანჩულიძემ ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, სადაც ტანმაღალ ქუთაისელებს უნდა ებატონათ, მაგრამ ტალახში გაჩხერილ გამეზარდაშვილს პოზიციურად შეეშალა, ამხტარს ბურთი თავზელა შეეხო, რამაც ხვადაგიანიც შეაცდინა. იქვე ჩასაფრებულმა დათვაძემ კი შანსი ხელიდან არ გაუშვა და ზუსტი თავურით მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა. ნამატჩევს სიმწარენარევი ხუმრობით თქვეს ქუთაისელებმა, გამეზარდაშვილისგან და ხვადაგიანისგან ორ-ორი დათვაძე მაინც გამოიჭრება და გოლი თავით გაგვიტანაო.

პრესკონფერენციაზე მხოლოდ თემურ მახარაძე გამოცხადდა. არადა, ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, ალექსანდრ შტელინს ჟურნალისტებისთვის თავი აერიდებინოს. მახარაძემ კი, ყველაფერი საპასუხო თამაშში გადაწყდებაო.

— „ტორპედო" ჩემპიონია, ამიტომ ჩვენი მიღწევა ორმაგად ფასობს. მოედნის საფარი უკეთესი რომ ყოფილიყო, თამაშიც უფრო სანახაობრივი იქნებოდა. ჩემი ფეხბურთელებისგან ვერავის გამოვარჩევ, ყველას კმაყოფილი ვარ. საპასუხო მატჩისთვის ტრავმირებულებიც გამოჯანმრთელდებიან და, ვფიქრობ, დაძაბული და საინტერესო თამაში იქნება.


გელა ფანჩულიძე და ზვიად ქუთათელაძე (№10)



რატი ალექსიძემ გიორგი ლომაიას სამჯერ გაუტანა

# დინამომ ლოკომოტივს სტკიცა და დაუმტკიცა

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 0:4 დინამო

0:1, 0:2, 0:3 ალექსიძე (38, 73, 81), 0:4 ახალაია (90)

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ზ. ლაცაბიძე, სალუქვაძე, გ. ონიანი (გოგინაშვილი 46), სირაძე, სოსელია, ქიჭვეიშვილი, მ. ბურნაძე, კაიდარაშვილი (ნანა 56), ძოწუაშვილი
*სათადარიგონი:* იჯარდავა; სალახარი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**დინამო:** ყვარაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი, გოგიჩაიშვილი, ბურდული (ახალაია 69), კვირკველია (სახვაძე 21), ანჩაბაძე, ალექსიძე, დარასელია (კანდელაკი 73)
*სათადარიგონი:* ზოიძე, ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე, ი. ხაბხაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** ბურნაძე (19)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ჯგარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში), ა. მჭედლიძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი

ჯარიმა: 18-32; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 4-6; კარში დარტყმა: 3-13; თამაშგარე: 3-2

**კობა ინასარიძე**

**ბოლმამ** ძალა შემატაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ „დინამო" — „ლოკომოტივის" საჩემპიონატო მატჩის მერე „დინამო" სათასო ნახევარფინალში თავისი სიძლიერის დასამტკიცებლად გაათკეცებული ენერგიითა და მონდომებით რომ ითამაშებდა, ამის თქმა მაშინვე შეგვეძლო, როცა სამართლიანად თუ უსამართლოდ არჩათვლილ გოლს „ლოკომოტივმა" ერთი ამბავი მოაყოლა და ჩემპიონატის დატოვებითაც დაიმუქრა. ისე, სხვათა შორის, „დინამო" საჩემპიონატო მატჩშიც აშკარად ძლიერი ჩანდა რკინიგზელთა გუნდზე და ის ეპიზოდი, ონიანს ბურთი ხელზე მოხვდა თუ არა, სალაპარაკო რომ გახდა, „დინამოს" ბრალიცაა, ქვეყნის ათგზის ჩემპიონებს „ლოკომოტივთან" საქმე იქამდე უნდა მოემთავრებინათ და ონიანის დარტყმამდე გატანილი ერთი ბურთისთვის ორი-სამიც მიემატებინათ, რისი შანსიც მათ საკმაოდ ჰქონდათ. მოკლედ, რკინიგზელებმა „დინამოსთან" ჩემპიონატში წაგება მსაჯს გადააბრალეს და ამით, სურდათ თუ არა, ისე გამოვიდა, რომ მათი მეტოქე დაკნინდა, რაც, ბუნებრივია, თავმოყვარეობაზე მოქმედებს.

ჰოდა, აგერ, ბატონებო, 0:4, რაც „დინამომ" „ლოკომოტივს" ჩემპიონატში მასპინძლობისას დააკლო, ახლა, სათასო ნახევარფინალის პირველ მატჩში სტუმრად აუნაზღაურა. „ლოკომოტივის" პერუელი თავკაცის ლუის ცაკარიასის პრესკონფერენციაზე ნათქვამი, აქაოდა, კვარაცხელია და რიონ ონიანი გვაკლდნენ, შემადგენლობა დაგვისუსტდა და ამიტომ წავაგეთო, ნამეტანი უსაფუძვლო გეჩვენება. „დინამომ" ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და ცაკარიასს ყურით ნათრევი მარცხის მიზეზის ნაცვლად რეალურ მიზეზზე ანუ „დინამოს" ძალაზე ელაპარაკა, ალბათ აჯობებდა.

შაბათს „დინამოს" სული და გული ანჩაბაძე იყო, სამი გოლის გამტანი ალექსიძე კი ჩინებული შემსრულებელი, ისევე, როგორც მთელი გუნდი. ანჩაბაძე იწყებდა, ალექსიძე ამთავრებდა, „ლოკომოტივი" — უცქერდა.

პირველი გოლი 38-ე წუთზე გავიდა: სტუმრებმა შეტევა საჯარიმოსთან ჩაშალეს და უსწრაფესი კონტრშეტევა წამოიწყეს. ანჩაბაძის პასმა „ლოკომოტივის" ნახევარდაცვა გაჭრა, ბურთი კარლოსს მარჯვენა ფლანგზე გააყოლა. ბრაზილიელმა წამი არ დაკარგა, ბურთი საპირისპიროდ დარასელიასკენ გადაიტანა და ორი მცველიც უსაქმოდ დატოვა. ამასობაში ალექსიძემ კარის წინ თავისუფალი ზონა შენიშნა და ჩაწოდებულს დაელოდა. დარასელიამაც პარტნიორს ბურთი ფეხზე დაასვა, რატიმ კი უნაკლოდ დაარტყა. პირველ სათასო მატჩში სტუმრად გატანილი ერთი გოლი შინ თამაშის წინ ხომ ერთგვარი ფორაა, მაგრამ თურმე სად ხარ და რა იცი, ერთის გარდა კიდევ სამი უპასუხო გოლი თუ წინ არის.

პირველ ტაიმში სხვა აღსანიშნი ის იყო, რომ ალექსიძის გოლამდე სოსელიამ ჯარიმა დაარტყა და ბურთი ხარიხამ აისხლიტა. დარასელიას კი კარის მიზანმა უმტყუნა.

შესვენების შემდეგ „დინამომ" აქცენტი დაცვაზე გააკეთა. სტუმრები თავს მშვიდად იცავდნენ და მეტოქეს კონტრშეტევებით პასუხობდნენ. მარჯვენივ ბურდული და კარლოსი, მარცხნივ სახვაძე პლეიმეიკერ ანჩაბაძეს პასის მისაღებად დროულად ეხსნებოდნენ, ალექსიძე და დარასელია კი იმდენს მოძრაობდნენ, მცველებს თავგზას ურევდნენ და გამოთავისუფლებული ზონებიდან „ლოკომოტივის" კართან მომენტიც მომენტზე იქმნებოდა. მასპინძლებისა მხოლოდ ძოწუაშვილისა და სირაძის შორიდან დარტყმა იყო, გვარამაძე ყოჩაღად რომ დაუხვდა და კუთხურზე მოიგერია.

„დინამოს" მეორე გოლი ისევ ანჩაბაძის წამოწყებულ შეტევასა და დარასელიას ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა. ალექსიძემ ახლო ძელთან დასწრებაზე ითამაშა და თავურით მეორე გაიტანა. ამის შემდეგ „ლოკომოტივი" მთლად გატყდა, „დინამომ" კი მეტოქე აღარ დაინდო, ბოლო ათ წუთში ორჯერაც გაიტანა და ორი-სამი ნაღდი მომენტიც ქარს გაატანა. ამ ორი გოლიდან პირველი ანუ საჰეთთრიქო ისევ ალექსიძის იყო, რომელიც ანჩაბაძემ გონივრული პასით ლომაიას პირისპირ დატოვა, მერე კი ახალაიამ ივაჟკაცა და ანჩაბაძე-ალექსიძეს ასისტენობა ზუსტი და ძლიერი დარტყმით დაუფასა.

*ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:*

— თასის გათამაშებას თავისი სპეციფიკა აქვს. სტუმრად ერთი გოლის გატანა ძნელი და მნიშვნელოვანი საქმეა. მიხარია, რომ „დინამომ" დღეს ერთბაშად ოთხის გატანა მოახერხა. ჩვენ ვიცოდით, რომ „ლოკომოტივი" ჩემპიონატის მატჩის შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ უფრო მონდომებით ითამაშებდა, „დინამო" ამისთვის მზად იყო. ისიც ცხადი იყო, რომ მეორე ტაიმში „ლოკომოტივი" შემოგვიტევდა, ამიტომაც დაცვა უფრო გავაძლიერეთ და კონტრშეტევებზე ავეწყვეთ. შედეგი ჩვენი თამაშის ხარისხზე მეტყველებს. ძალიან კმაყოფილი ვარ. „დინამოს" სიძლიერე დღეს ერთხელაც გამოჩნდა. ანჩაბაძის თამაში კი ჟურნალისტებმა შეაფასეთ, ასე უფრო ობიექტური იქნება.

*ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*

— „ლოკომოტივს" დღეს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა და მარცხის მიზეზიც ეს იყო. „დინამომ" კარგად ითამაშა. მეორე ეტაპის პირველ ტურში ფოთში „კოლხეთთან" მატჩის მერე რომ თასზე თუ ჩემპიონატში ველარ მოგვიგია, ამის ჩემებური ახსნა ასეთია: მოულოდნელად დაგვაკლდა გალიარდო, რომელზეც ჩვენი გუნდის ნახევარდაცვა გვქონდა აწყობილი.

# ცაკარიასს ნდობა, ფეხბურთელებს საყვედური

**თვეზე მეტია,** თბილისურ „ლოკომოტივს" გამარჯვება ენატრება. პერუელი ცაკარიასის გუნდმა ბოლოს ფოთში, „კოლხეთთან" რომ იმარჯვა, მას მერე ქულაც საოცნებო გაუხდა.

კლუბის ამბიციური ხელმძღვანელებისგან მძაფრი რეაქცია იყო მოსალოდნელი, მაგრამ 20 აპრილამდე მათ ვერ მოიცალეს ფეხბურთელების დასატუქსად. მიზეზი თბილისელი მსაჯი ლევან ფანიაშვილი გახლდათ, ვინც „დინამოს" კარში რკინიგზელებს გოლი არ ჩაუთვალა და რაც ამას მოჰყვა...

თუმც ყველაფერს აქვს დასასრული. ფედერაციამ განრისხებული აკაკი ჩხაიძე იმით დაამშვიდა, რომ ფანიაშვილის ბრალეულობა აღიარა, მაგრამ „ლოკომოტივმა" „დინამოსთან" სათასო თამაშიც ასევე დიდი ანგარიშით წააგო და რკინიგზელი ფეხბურთელების განკითხვის დრომაც მოაწია.



ლუის ცაკარიასი

მთლად წელგამართულებს არც ცაკარიასს და მის თანაშემწეებს შეუღიათ ჩხაიძის კაბინეტის კარი, მაგრამ, მათდა გასაოცრად, კლუბის თავკაცმა პერუელს სრული ნდობა გამოუცხადა.

„დინამოსთან" წაგებით ტრაგედიას არ შევქმნით, არც მაშინ განვსჯით მკაცრად თუ უტიტულოდ დავრჩებით. სამომავლოდ გუნდი გავახალგაზრდავოთ და ხუთი-ექვსი ვეტერანი, ვისგანაც პერსპექტივას ვერ ვხედავთ, უნდა დაითხოვოთო. ალბათ ცაკარიასი უფრო მკაცრ საუბარს მოელოდა და შეხვედრამდე არც ამტყუნებდა უფროსებს, ისინი ფულს ხარჯავენ და, ბუნებრივია, შედეგსაც მოითხოვენო.

რკინიგზის დეპარტამენტში ჩატარებულ შეხვედრა-თათბირზე ფეხბურთელებს უფრო დასცხათ, თანაც „ლოკომოტივში" როცა საქმე რიგზე არ არის, მუდამ ვიღაცის გუნდიდან გაშვებაზე ლაპარაკობენ და გამორიცხულია, ამ ყოველივემ მოთამაშეები არ დააზარალოს.

ვერ გეტყვით, არგო თუ აწყინა რკინიგზელებს ხელმძღვანელობის ნოტაციებმა, მაგრამ გუშინდელ ვარჯიშს, რომელიც იპოდრომზე ჩატარდა, ხალისი ნამდვილად აკლდა. ისე, ერთიცაა, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე წელგამართულ გუნდს ნორმალური სავარჯიშო მოედანი არ აქვს და, ბუნებრივია, სხვა მიზეზებთან ერთად შედეგზე ესეც ახდენს გავლენას.

დღეს ყველა რკინიგზელი ერთხმად აღიარებს, რომ პერუელი რაფაელ გალიარდო გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენდა. მისმა წასვლამ „ლოკომოტივი" არია, თუმც ისიც ხომ ფაქტია, რომ გალიარდო არ იყო იმ დონის მოთამაშე, ცაკარიასის გუნდი მარტოს ეთამაშებინა.

— ჩვენი თამაში მთლიანად გალიარდოზე იყო აწყობილი. რაც ის წავიდა, მას შემდეგ თამაშის გადაწყობაზე ვფიქრობდი, მაგრამ ხელის შემშლელი სხვა მომენტებიც დაგროვდა, თუნდაც მოთამაშეთა ტრავმატიზმი და დისკვალიფიკაციები.

„დინამოსთან" ოთხი მოთამაშე გვაკლდა. შუშაკის გუნდთან წარმატებული თამაში ძირითადი შემადგენლობით გაგვიჭირდებოდა, შანსის კი ისინი მოვისაკლისეთ, ვისი სრულფასოვანი შემცვლელებიც სადღეისოდ „ლოკომოტივში" არ მეგულება. წაგებაც უპირველესად ამის ბრალია.

კლუბის ხელმძღვანელებმა მიზნად გუნდის გაახალგაზრდავება დაისახეს. მე შეგულებული მყავს ერთვნული ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები, მაგრამ ჯერ მათ ვინაობას ვერ გეტყვით. თუმც მგონია, რომ ახალგაზრდებთან ერთად გუნდში გამოცდილი ფეხბურთელებიც უნდა იყვნენ. გამოცდილი, უწვერული ბიჭები სწორედ მათ გვერდით თუ ისწავლიან თამაშს.

ველოდებით კიდევ ერთ განცდის, რომელიც თბილისს სულ მალე აწვდება და ვეცდებით, ჩემპიონატშიც ბოლომდე ვიბრძოლოთ.

სადღეისოდ მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, არც ის ვიცი, ვინ დარჩება და ვინ წავა ჩემპიონატის ბოლოს. მე კი ვრჩები, რადგანაც მტკიცედ მწამს, რომ „ლოკომოტივს" აქვს მომავალი.

**მამუკა ძვანტალიანი**

# ნაციონალების აუდიო მეთოდ...

## უეფა და რუსეთი საქართველოს ვერ დააჩემებს...

**თბილისის** საკრებულო და მისი ფლაგმანი „ნაციონალური მოძრაობა" 30 აპრილის საქართველო — რუსეთის მატჩის სვე-ბედით დაინტერესებულა — სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მონიტორები დამონტაჟდება, რათა ჩვენი ნაკრების გულშემატკივრები ერთად შეიყარონ და ყიჟინა გაისმას.

ამასთან დაკავშირებით ამ პოლიტიკური გაერთიანების წევრებმა გუშინ ტოტალიზატორ „ინტერბეთპლუსში" მინიპრესკონფერენცია მოაწყვეს.

კობა დავითაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი და ზვიად ძიძიგური — ასეთი შემადგენლობით წარსდგა „ნაციონალური მოძრაობა" ჟურნალისტებისა და მაყურებლების წინაშე.

ნაციონალებმა მოგვახსენეს, რომ ორი მონიტორის გარდა სტადიონთან ახლოს ამდენივე დიდი, ბრტყელი ეკრანი დაიდგმევა, რომელთა ჩამოტანასაც უცხოეთიდან ემურებიან — მათი სიგრძე-სიგანე 30X100 მეტრია.

ისიც გვითხრეს, რომ აპარატურასთან თავშეყრილი გულშემატკივრების შეძახილები რადიოფიცირებული იქნება „ლოკომოტივის" სტადიონის რეპროდუქტორებით — ქომაგთა ემოციებს ფეხბურთელები პირდაპირ ეთერში მოისმენენ.

ღირსების საკითხი წყდება და არა მხოლოდ კონკრეტული მატჩის — დასძინა ძიძიგურმა და დაამატა, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებმა საამმატჩოდ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონო.

მოკლედ, სა-ქართ-ვე-ლო! სა-ქართ-ვე-ლო! ეკრანები და ფეხბურთელები გულშემატკივრებს ელიან.

**დავით თაგართქილაძე**



კობა დავითაშვილი



ზვიად ძიძიგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმბოლური ბუნდესლიგამდე, ერთი სული რუსეთამდე

მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა „ფრაიბურგმა“ კვირას კიდევ ერთი, ამჯერად დიდი ნაბიჯი გადადგა უძლიერესთა შორის დაბრუნებისკენ. „ფრაიბურგი“ გუნდში მდგარ „ტრიერს“ სტუმრობდა და მატჩის დამთავრებამდე წუთი რომ რჩებოდა, სწორედ მაშინ, ერთხელაც იგრძნო ჩვენებურმა ალექსანდრე იაშვილმა — ორი მეტოქე გაანეიტრალა და ბაირამოვიჩის სა[illegible] გოლი გაიტანა. „ფრაიბურგს“ წინამდეგ შეეძლო დაწინაურება, მაგრამ იაშვილის წაქცევისთვის, როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები ამბობენ, მსაჯს ნაღდი პენალტი არ დაუნიშნავს.

„ტრიერამდე“ ჩვენებურთა გუნდმა შინ „ზანქტ პაულთან“ ფრედ ითამაშა, იაშვილი კი მაშინაც საუკეთესო გახლდათ და პოპულარული „კიკერის“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მეხუთედ მოხვდა.

— ცოტალა დაგვრჩა, პარასკევს „ფიურტს“ ვსტუმრობთ და თუ კვლავ გავიმარჯვეთ, ცალი ფეხით ბუნდესლიგაში ვიქნებით — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა — რა ვიცი, მგონი კარგ ფორმაში ვარ და არც მწვრთნელს აქვს რაიმე საპრეტენზიო. ახლა გოლი გავაკეთე. წინა ტურის სიმბოლურ გუნდში მოვხვდი. „ფიურტის“ შემდეგ „კოლნს“ ვმასპინძლობთ, თუმც ეს უკვე სანაკრებო მატჩის მერე იქნება და ჯერ ლიდერთან თამაშზე არც ვფიქრობ. „ფიურტთან“ შეხვედრას ჩავამთავრებთ და ლევან ცქიტიშვილთან ერთად თბილისში გამოვფრინდები. ვნახოთ, ერთი სული მაქვს რუსებთან თამაშამდე.

**ქობა ინასარიძე**



ალექსანდრე იაშვილი

# ლომოს ასათიანის თავი არ გამოადგა, სიომინს მისი ფეხები

## ძოძუაშვილს სექსი გაახსენდა

ვარაუდი გამართლდა — შოტლანდიის თასის ფინალში ორი „ქართული“ გუნდი ითამაშებს. „დანდიმ“ გიორგი ნემსაძის ერთადერთი გოლით მოუგო მეოთხედფინალში „ხელტიკის“ გამამწვარებელ დაბალლიგელ „ინვერნესს“. შოთა არველაძის „რეინჯერსმა“ კი „მაზერუელს“ დაძაბულ ბრძოლაში 4:3 აჯობა, თუმცა ქართველ თავდამსხმელს ამჯერად გოლი არ გაუტანია.

„ფრაიბურგმა“ უკვე ცალი ფეხი შედგა ბუნდესლიგაში. ფოლკერ ფინკეს გუნდმა ბოლო წუთზე ალექსანდრე იაშვილის აქტიური გარჯით გამოსტაცა გამარჯვება ტრიერის „აინტრახტს“. ჩვენებურის საგოლე პასით ზლატან ბაირამოვიჩმა იხეირა.

შვეიცარიაში კიდევ ერთი გოლით გაიხარა ლევან ხომერიკმა. „ვოლენმა“ 2:1 მოუგო „ლოზანას“ და მესამე ადგილზე წამოსკუპდა. ქართველმა თავდამსხმელმა 30-ე წუთზე გაუტანა მეტოქეს.

საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დადო გიორგი დემეტრაძემაც. დონბასელებმა მისი გოლით 1:0 დაამარცხეს ზაპოროჟიელი სეხნიები. ასევე შედეგიანი იყო შალვა აფხაზავაც. „არსენალმა“ ჩვენებურის გასროლილით სძლია „ჩერნომორეცს“ და უეფას თასზე გამსვლელ მესამე ადგილს კვლავაც მჭიდროდ ებღაუჭება.

რუსულ პრემიერლიგაში მალხაზ ასათიანის არცთუ იღბლიანი დებიუტი შედგა. „ლოკომოტივის“ სასტარტოში გამწესებულმა ასათიანმა მოედნის დატოვებამდე ორიოდ წუთით ადრე რკინიგზელთა საგოლე კომბინაციაშიც მიიღო მონაწილეობა. სწორედ მან დაუგდო თავით ბურთი იური მაკინოვს, რომლის პასითაც დმიტრი ლოსკოვმა ანგარიში შეამცირა. ამის შემდეგ კი იური სიომინმა ქართველი ნახევარმცველი ოლეგ ნიჟეგოროდოვით შეცვალა, რომლის უხეში შეცდომითაც ოსებმა მესამედ იხეირეს.

უსამართლობა იქნება, არ აღვნიშნოთ ამ მატჩში მენთეშაშვილ-აშვეთიას შედეგიანი გარჯა. „სპარტაკ-ალანიას“ სამივე გოლი ლატვიელმა მიხეილ მიხოლაპსმა ქართველების პასებით გაიტანა.

პრესკონფერენციაზე ოსთა თავკაცმა რევაზ ძოძუაშვილმა რუსი ჟურნალისტის შეკითხვაზე, „ლოკომოტივმა“ წააგო თუ პირიქით, თქვენ მოიგეთო, ასე უპასუხა: „საინტერესო კითხვაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ორივე მხარე კმაყოფილი მხოლოდ სექსის შემდეგაა“...

კვიპროსზეც შევიაროთ და ლევან ქებაძის წარმატებულ თამაშზე ვთქვათ. ზედიზედ მეორე ტურია, ქებაძე მოედანს უგოლო არ ტოვებს. ახლა მისმა „პარალიმნიმ“ 4:2 მოუგო „პაფოსს“ და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. ლევანმა საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი.

თურქეთში ისევ ჩაფლავდა „ქოჯაელისფორი“. ქართველთა გუნდი ამჯერად „გაზიანთეფმა“ დაჩაგრა.

ბოლოს ერთ სასიამოვნო ფაქტზეც ვთქვათ — ერთთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა კახა კალაძე. „მილანმა“ შინ სენსაციურად წააგო უსახელო „ემპოლისთან“. ქართველი მცველი 77-ე წუთზე გამოჩნდა „სან სიროზე“ და ჩვეულად მარცხენა ფლანგზე ითამაშა.

**კახა ზალამბერიძე**



გიორგი ნემსაძემ „დანდი“ ფინალში გაიყვანა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ემპოლი 0:1 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ტრირი 1:0 | 90 | საგოლე პასი | 19 | 1 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ტრირი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 25 | 9 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ტრირი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 26 | 2 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ტრირი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| არჩილ არველაძე | კოლნი | ს | როიტლინგენი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ზანქტ პაული 1:1 | 0 | | 2 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | მიუნსტერი 2:0 | 71 | შეცვალეს | 21 | 5 | 4 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | მილუოლი 1:2 | 90 | 1 გოლი | 25 | 4 | 19 |
| | | შ | ქოვენთრი 1:0 | 90 | | 26 | 4 | 18 |
| **შოტლანდია. ასოციაციის თასის ნახევარფინალი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ნ | მოზერუელი 4:3 | 45 | შეცვალეს | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ნ | ინვერნესი 1:0 | 90 | 1 გოლი | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ნ | ინვერნესი 1:0 | 90 | | | | |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | ტვენტე 2:0 | 0 | სათადარიგო | 8 | 1 | 1 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | კერნტენი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 23 | 5 | 4 |
| **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | ს | სიონი 0:1 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 20 | 3 | 5 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვოლენი | შ | ლოზანა 2:1 | 90 | 1 გოლი | 5 | 3 | 3 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სპარტაკ-ალანია 2:3 | 31 | შეცვალეს | 1 | 0 | 13 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | ურალანი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 10 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | ურალანი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 10 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | შ | ლოკომოტივი 3:2 | 90 | 2 საგოლე პასი | 5 | 0 | 6 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | შ | ლოკომოტივი 3:2 | 90 | საგოლე პასი | 3 | 0 | 6 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ზენიტი 0:1 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 8 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ზენიტი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 8 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | ზენიტი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | ს | კრილია 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | როტორი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | როტორი 0:3 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 11 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ.მეტალურგი | შ | სატურნი 2:3 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ს | ცსკა 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | დინამო 0:0 | 0 | | 3 | 0 | 12 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | დინამო 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 12 |
| ზურაბ არჩვაძე | ლოკომოტივი ჩ. | შ | გაზოვიკი 3:1 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 3 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი ჩ. | შ | გაზოვიკი 3:1 | 84 | 1 გოლი, შეცვალეს | 6 | 3 | 3 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | ხიმკი 0:0 | 85 | შეცვალეს | 3 | 0 | 15 |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | ს | ყუბანი 1:0 | 0 | | 4 | 0 | 7 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | ს | ყუბანი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:0 | 74 | შეცვალეს | 13 | 2 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:0 | 89 | 1 გოლი, გააფრთხილეს, შეცვალეს | 6 | 2 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კრივბასი | შ | კარპატი 2:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 7 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | შ | კარპატი 2:1 | 90 | | 13 | 0 | 7 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | კარპატი 2:1 | 0 | | 4 | 0 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ილიჩევეცი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 20 | 7 | 8 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | ილიჩევეცი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 1 | 8 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ილიჩევეცი 0:0 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 8 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | მ. დონეცკი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 2 | 16 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | 1 გოლი | 20 | 13 | 3 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | შ | გაზიანთეფი 0:3 | 36 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | გაზიანთეფი 0:3 | 90 | | 10 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | შ | გაზიანთეფი 0:3 | 45 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 6 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | შ | გაზიანთეფი 0:3 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 18 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ცსკა 0:2 | 0 | | 18 | 7 | 10 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | ნაფტექსი 1:1 | 0 | | 5 | 0 | 12 |
| **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | მტკ 0:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 1 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | შ | ლეხი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 8 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | ს | პლოცკი 0:2 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 10 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აელ 2:1 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 20 | 5 | 2 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | ანართოსისი 1:2 | 90 | | 16 | 2 | 5 |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | შ | აპოლონი 3:1 | 90 | გააფრთხილეს | 20 | 0 | 12 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | პაფოსი 4:2 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 10 | 4 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*




დორტმუნდი — ბაიერნი. მარსიო ამოროზომ ოლივერ კანს ჯერ გაუტანა, ნამატჩევს კი მაისურის გასაცვლელად მიადგა, ხოლო მათიას ზამერს და იენს იერემისს არაფერი გაუცვლიათ, ისე ისაუბრეს

# ბოზბიჩი ასიანი ბიჭია
## მაგათს სომხურად წაუჭირეს

### გერმანია

**ბუნდესლიგა. XXIX ტური**

**დორტმუნდი 1:0 ბაიერნი**

1:0 ამოროზო (6ფ)

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ევანილსონი, ვიორნსი, მადუნი, დედე, რიკენი, შ. როიტერი (დემელი 75), კელი, როსიცკი (ლეანდრო 87), ევერტონი (ამოროზო 59), კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ (ტარნატი 79), ჰარგრივსი, ნ. კოვაჩი (ტროხოვსკი 82), იერემისი (ფიულნერი 72), ზე რობერტო, ელბერი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ვიორნსი, კოვაჩი

მსაჯი: მერკი

68 600 მაყურებელი

**ბოხუმი 3:1 შტუტგარტი**

0:1 კურანი (25), 1:1, 2:1 ჰაშემიანი (40, 66), 3:1 კრისტიანსენი (68)

**ბოხუმი:** ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალბ, ტაპალოვიჩი (ვრიზდე 28), მანდრეკო (ბემბენი 53), ოლისე (რაისი 78), შინდციელორცი, ფრაიერი, ვოში, კრისტიანსენი, ჰაშემიანი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

**შტუტგარტი:** თ. ერნსტი, ჰინკელი, მეირა (ჰელდტი 77), ბორდონი, გერბერი, მაისნერი (ზაიცი 70), სოლდო, გლები, ბალაკოვი, ტიფერტი (განია 46), კურანი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ვრიზდე, ვოში, სოლდო, ჰინკელი, ზაიცი, ბორდონი

მსაჯი: შტარკი

25 177 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:3 შალკე**

1:0 ბერბატოვი (9), 1:1 ბიომე (12), 1:2 სანდი (61), 1:3 ასამოა (90)

**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, ოჯიგვე, ლუსიო (ჟივკოვიჩი 80), ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი (ბიროფკა 46), ბაშთურქი (შუფი 75), ბერბატოვი, ნოივილი

მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი

**შალკე:** ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, კმეტში (უდე კამპუისი 48), ვერმანტი, პინტუ, ვარელა (მიოლერი 60), ბიომე, აგალი (ასამოა 78), სანდი

მწვრთნელი: მარკ ვილმოტსი

გაფრთხილება: ბაბიჩი, ჟუანი, ვერმანტი, ვალდოხი

მსაჯი: კირხერი

22 500 მაყურებელი

**მიუნხენი 1:1 ჰამბურგი**

1:0 მაქსი (36), 1:1 ფუკალი (65)

**მიუნხენი:** იენში, ჰოფმანი, კურცი, როდრიგო კოშტა, შტრანცლი, ბორიმიროვი (შაო 89), ტისი, ვაისენბერგერი (ჰესლერი 74), ლაუტი, შროტი (აგოსტინო 79), მაქსი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

**ჰამბურგი:** პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა (ბარბი 86), უიფალუში, ჰოლერბახი, მაჰდავიკია (მეიერი 70), ბენჟამინი, ბარბარეზი, ვიკი, რომეო (კარდოზო 80), ტაკაჰარა

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: ბორიმიროვი, მაქსი, ჰოლერბახი, ვიკი

მსაჯი: ფანდელი

22 000 მაყურებელი

**ვერდერი 0:1 ვოლფსბურგი**

0:1 ბილიშკოვი (86)

**ვერდერი:** ბორელი, სტალტერი, ბარტენი, კრსტაიჩი, შულცი, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი, ლისტეში, მიკუ, ხარისტიასი (დაუნი 72), აილტონი

მწვრთნელი: თომას შააფი

**ვოლფსბურგი:** რამოვიჩი, რიტერი, ბილიშკოვი, შნოორი, რაუ, კარჰანი, ტიამი, ვაიზერი (შარპეი 90), პონტე (კვატროპი 89), კლიმოვიჩი, მ. პეტროვი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: სტალტერი, დაუნი, პეტროვი, პონტე, ბილიშკოვი, რაუ

მსაჯი: კრუგი

33 300 მაყურებელი

**ჰანზა 0:1 ჰერტა**

0:1 ფრიდრიხი (50)

**ჰანზა:** შობერი, კოვარი (მეგლე 81), იაკობსონი, ჰილი, ჰირში, რიდლევიჩი (არვიდსონი 69), ლანცი, ადუბე, პერსონი, პრიკა (ვორბეკი 46), სალუ

მწვრთნელი: არმინ ვეჰი

**ჰერტა:** კირალი, ფრიდრიხი, მადლუნგი, სიმუნიჩი (ბაინლიხი 54), ჰარტმანი, შმიდტი, დარდაი, გოორი, მარსელინიო, ლუიზაო (სვერისონი 90), ალვეში (კარვანი 77)

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

გაფრთხილება: პრიკა, ჰირში, მეგლე, სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, კირალი

მსაჯი: კინჰოფერი

23 500 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 კლოსი (11), 1:1 კრუპნიკოვიჩი (49), 2:1 ბობიჩი (60)

**ჰანოვერი:** ტრემელი, ჩერუნდოლო, პოპესკუ, ვინიციუსი, ვან ჰინტუმი, ხაიმე (კ. ლინკე 78), ლალა, დე გუზმანი (კრუპნიკოვიჩი 46), ბობიჩი, სტაინერი, შტენდელი (შტეფული 76)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

**კაიზერსლაუტერნი:** ვიზე, გრამოცისი, ტ. კლოსი, ლემბი (მიფსუდი 74), ჩატო, გ. ხრისტოვი, ანფანგი, ტიმი, ლოკვენცი, დომინგუში (ბასლერი 38), კლოზე (ლინკოლნი 45)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: პოპესკუ, ლალა, ხრისტოვი, ანფანგი

გაძევება: ვან ჰინტუმი (72)

მსაჯი: ვაგნერი

30 573 მაყურებელი

**კოტბუსი 1:1 მიონხენგლადბახი**

1:0 ლატუნდი (5), 1:1 პლეტში (82)

**კოტბუსი:** ლენცი, როცგონი, და სილვა, ბერჰალტერი, კობილანსკი (მუიჯოროვიჩი 86), ვაგნერი, ლატუნდი (რაიხენბერგერი 86), ტ. როსტი, რეგეკამპფი (იუნგნიკელი 71), ტოპიჩი, იუსკოვიაკი

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

**მიონხენგლადბახი:** შტილი, კორზინეცი, პლეტში, შტრასერი, ასანინი, დემო, კლუგე, ულიხი (ვან ლენტი 67), სპანი (სკუბო 59), ფორსელი, ფელგენაუერი (კეტელაერი 59)

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

გაფრთხილება: და სილვა, კლუგე

მსაჯი: ვაინერი

13 241 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:0 არმინია**

**ნიურნბერგი:** კამპა, პასლაკი, ვოლფი, კოში (ნიკლი 79), პოპოვიჩი, ლ. მიულერი, ლარსენი, ჟუნიორი, იაროლიმი, ს. ჩირიჩი (კრჟინოვეკი 53), მიხალკე (ვილა 79)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

**არმინია:** ჰაინი, ჰანსენი (დიაბანგი 39), რაინჰარდტი, ბორგესი, კაუფი, დაბროვსკი, დამაიერი (რაუვი 62), ბრინკმანი, ლენსე, ჰაინცი (იანიჩი 79), ვიშნიარეკი

მწვრთნელი: ბენო მიოლმანი

გაფრთხილება: პასლაკი, იაროლიმი, იაროლიმი, ვოლფი, ლენსე, რაუვი, ლენსე, იანიჩი, ბორგესი

გაძევება: იაროლიმი (30), ლენსე (57)

მსაჯი: გაგელმანი

21 400 მაყურებელი

**ნაირგვარ** სკანდალებში გაბლანდული „ბაიერნი“ უახლოეს მდევარს კვლავაც თერთმეტი ქულით უსწრებს, მიუხედავად იმისა, რომ ვესტფალიაში დამარცხდა.

დორტმუნდელებმა კი ზეიმი მოიწყვეს — იქაური „ბორუსიას“ ბოლო რვა წელიწადი არ მოეგო შინ „ბაიერნისთვის“ და ეს მათიას ზამერის ხელმძღვანელობით მოახერხა.

ერთადერთი და გამარჯვების გოლი შეცვლაზე შესულმა ბრაზილიელმა ფორვარდმა მარსიო ამოროზომ შეაგდო 11-მეტრიანით, რომელიც ნიკო კოვაჩის ხელით თამაშის გამო დაინიშნა.

„ბაიერნს“ ოდენ იმად გაუმართლა, რომ მეორეადგილოსანმა „შტუტგარტმაც“ წააგო. „ბოხუმს“ მიმდინარე ბუნდესლიგაში მანამდე ბოლო რვა მატჩში ვერ მოეგო და მეცხრე ცდაზე მეცხრე ცაზე აფრინდა — გასავარდნ სამეულს ოთხი ქულით დაშორდა.

ფელიქს მაგათის ბიჭებს ირანელმა სომეხმა ვაჰიდ ჰაშემიანმა წაუჭირა ყანყრატოში. თავისი გოლი ესპანელმა ტომას კრისტიანსენმაც გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ბაიერნელ ჯოვანი ელბერთან ერთად ბრემენელ აილტონს ერთი ბურთით ჩამორჩება.

არნი ფრიდრიხს რა ხანია თვალი დაადგა რუდი ფიოლერმა — ეს 23 წლის მცველი მიმდინარე ბუნდესლიგაში ისე ჩუბინობს, რომ „ნაციონალმანშაფტის“ კაცი შეიქნა და აგერ როსტოკში გამარჯვებისა გაიტანა „ჰერტასთვის“ — ამ სამი ქულით დედაქალაქელებს მეოთხე ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ.

„ჰერტას“ გელზენკირხენის „შალკე“ აედევნა — ახალი მწვრთნელის მარკ ვილმოტსის ხელში „ხუმარებმა“ მეორედ მოიგეს.

„ბაიარენაზე“ დიმიტარ ბერბატოვმა სეზონში მეორე გოლი გაიტანა და „ლევერკუზენი“ დააწინაურა. თომას ჰიორსტერის გუნდს ცოტაც რომ გაეძლო, კინძლო ქულისთვის მაინც გამოეკრა ხელი, მაგრამ „შალკემ“ მალევე გაათანაბრა — იორგ ბიომე ბოლო დროს ერთობ შედეგიანად თამაშობს.

მეორე ტაიმში მოედანზე „ხუმარები“ ისე დაქმიტინობდნენ, რომ „ლევერკუზენს“ ვერც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მომჯობინებულმა ბრაზილიელმა მცველმა ლუსიომ უშველა.

ცუდი დღე ჰქონდა ბრემენის „ვერდერს“ — „მუსიკოსებმა“ არწასაგები თამაში წააგეს. იურგენ რიობერის „ვოლფსბურგმა“ კი მცველ მარინო ბილიშკოვის გვიანი გოლით გაიხარა.

სამაგიეროდ, ლოგიკური შედეგი გამოდნა „ოლიმპიაშტადიონზე“. გოლის გემო ერთხელაც გაიხსენა 34 წლის მეგოლე მარტინ მაქსმა, თუმც მცხოვანი შემტევის გარჯა „ჰამბურგის“ ჩეხმა მცველმა მილან ფუკალმა გააბათილა მეორე ტაიმში — ჩრდილოელები უეფას თასისთვის რბოლაში ბრძოლას ფხიანად განაგრძობენ.

ათი წაუგებელი მატჩის შემდეგ, როგორც იქნა, დამარცხდა [illegible] მიერ ვიტამინებშესხმული „კაიზერსლაუტერნი“ — ბელგიელის ინექცია ეფექტური აღარ აღმოჩნდა, თუმც „ლაუტერნს“ ამ ერთი წაგების გამო ვერც ვერავინ გაკიცხავს — თუ სათასო მატჩებსაც ჩავთვლით, გერეტსის გუნდს აქამდე 12 თამაში არ წაეგო.

განყენებული თემაა ფრედი ბობიჩი — ინგლისური პრემიერლიგიდან ხანმოკლეში დაბრუნებული ფორვარდი ძალიან გამოადგა „ჰანოვერს“, რითაც ერთვნულ ნაკრებშიც დაბრუნდა — „ლაუტერნთან“ კი მან გამარჯვებისა შეაგდო, რაც მისი მე-100 ბუნდესლიგური გოლი გამოდგა. გერეტსის გუნდს კი მატჩის მიწურულს ჯანი არ ეყო [illegible] რომ მოეჩინა.

თითო კაცი გაუგდეს „ნიურნბერგს“ და „არმინიას“, რომელთა ჯახი უგოლო, მაგრამ ერთქულიანი გამოდგა, რამაც ბილეფელდელები თუ გახარა.

კოტბუსში ცამეტი ათასი კაცი მოვიდა საყვარელი „ენერგის“ საქომაგოდ — ადმოსავლეთგერმანელებს მოგების უკეთესი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ბოლოსთვის გლადბახელი შუახაზელი მარსელო პლეტში გამოტყვრა საგოლედ და „კოტბუსმაც“ ცალი ფეხი მეორე ბუნდესლიგაში ჩადგა.

**დავით თავართქილაძე**

### მეორე ბუნდესლიგა

**XXIX ტური**

**როიტლინგენი 1:2 კიოლნი**

0:1 შპრინგერი (6), 1:1 ბეკერი (12), 1:2 შერცი (55)

*კიოლნელი არჩილ არველაძე სარეზერვო გუნდშია*

**ტრირი 0:1 ფრაიბურგი**

0:1 ბაირამოვიჩი (90)

**ფრაიბურგი:** გოლცი, ბ. დიარა, შ. მიულერი, ბერნერი, კულიბალი, ბაირამოვიჩი, ა. ცაიერი, ჰერმელი (ვ. ბუტი 73), გუიე-მიენი (რამდანე 73), იაშვილი, ტანკო

*ლევან კობიაშვილი ტრავმირებულია, ლევან ცქიტიშვილი დისკვალიფიცირებულია, ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდშია*

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**ზანკტ პაული 1:1 ფიურტი**

0:1 რუმანი (24), 1:1 გერბერი (54)

*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სათადარიგო იყო*

**ლიუბეკი 4:1 ალენი**

0:1 იპუა (5), 1:1, 2:1 პლასმენრიხი (27, 62), 3:1 შარპინგი (75), 4:1 კრუპკე (87)

**ვალდჰოფი 0:2 კარლსრუე**

0:1 ლაბადია (68), 0:2 მელკამი (90)

**ბრაუნშვაიგი 0:0 აინტრახტი**

**ობერჰაუზენი 0:0 ბურგჰაუზენი**

**უნიონი 3:2 ალემანია**

0:1 კრონტირისი (13), 0:2 ჰეერენი (29), 1:2 გრლიჩი (54ს.კ.), 2:2 ველაგე (56), 3:2 კეიტა (60)

**მაინცი — დუისბურგი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 29 | 17 | 11 | 1 | 60:34 | 62 |
| ფრაიბურგი | 29 | 17 | 7 | 5 | 48:23 | 58 |
| აინტრახტი | 29 | 14 | 10 | 5 | 45:26 | 52 |
| მაინცი | 28 | 15 | 5 | 8 | 46:27 | 50 |
| ფიურტი | 29 | 12 | 11 | 6 | 44:30 | 47 |
| ტრირი | 29 | 13 | 6 | 10 | 48:38 | 45 |
| ალემანია | 29 | 11 | 9 | 9 | 47:40 | 42 |
| დუისბურგი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:35 | 39 |
| ლიუბეკი | 29 | 11 | 4 | 14 | 43:41 | 37 |
| უნიონი | 29 | 8 | 13 | 8 | 33:46 | 37 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 8 | 12 | 9 | 40:35 | 36 |
| როიტლინგენი | 29 | 10 | 6 | 13 | 35:41 | 36 |
| ობერჰაუზენი | 29 | 9 | 7 | 13 | 33:39 | 34 |
| ალენი | 29 | 8 | 6 | 15 | 38:53 | 30 |
| კარლსრუე | 29 | 6 | 11 | 12 | 26:41 | 29 |
| ზტ. პაული | 29 | 6 | 8 | 15 | 39:58 | 26 |
| ბრაუნშვაიგი | 29 | 5 | 9 | 15 | 27:47 | 24 |
| ვალდჰოფი | 29 | 5 | 6 | 18 | 28:61 | 21 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

27-ე ტური: ვერდერი (მ) — პადერბორნი 0:0; ქემნიცი — ლევერკუზენი (მ) 2:0; მიუნსტერი — აუე 0:2; ბაბელსბერგი — იურდინგენი 3:2; კიოლნი (მ) — ჰამბურგი (მ) 1:0; დინამო — ოსნაბრიუკი 0:3; ვატენშაიდი — დორტმუნდი (მ) 1:1; ფერლი — კიოლი 2:4; ესენი — დრეზდენი 2:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა

30-ე ტური: რეგენსბურგი — ნოინკირხენი 6:1; აინტრახტი (მ) — ზაარბრიუკენი 0:1; ელვერსბერგი — აუგსბურგი 1:1; კიკერსი — პფულენდორფი 1:3; დარმშტადტი — ზიგენი 4:2. *უნტერჰახინგი — შვაინფურტი, ბაიერნი (მ) — ოფენბახი, კაიზერსლაუტერნი (მ) — აალენი და ჰოფენჰაიმი — ერფურტი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 29 | 19 | 6 | 4 | 59:20 | 39 | 63 | 15 | 11 | 3 | 1 | 34:11 | 23 | 36 | 14 | 8 | 3 | 3 | 25:9 | 16 | 27 |
| 2 შტუტგარტი | 29 | 15 | 7 | 7 | 47:34 | 13 | 52 | 14 | 8 | 4 | 2 | 27:12 | 15 | 28 | 15 | 7 | 3 | 5 | 20:22 | -2 | 24 |
| 3 დორტმუნდი | 29 | 14 | 9 | 6 | 44:23 | 21 | 51 | 14 | 9 | 4 | 1 | 24:9 | 15 | 31 | 15 | 5 | 5 | 5 | 20:14 | 6 | 20 |
| 4 ჰერტა | 29 | 14 | 6 | 9 | 43:31 | 12 | 48 | 14 | 8 | 4 | 2 | 28:13 | 15 | 28 | 15 | 6 | 2 | 7 | 15:18 | -3 | 20 |
| 5 შალკე | 29 | 11 | 13 | 5 | 42:31 | 11 | 46 | 14 | 5 | 8 | 1 | 21:12 | 9 | 23 | 15 | 6 | 5 | 4 | 21:19 | 2 | 23 |
| 6 ჰამბურგი | 29 | 12 | 9 | 8 | 35:34 | 1 | 45 | 14 | 10 | 3 | 1 | 20:10 | 10 | 33 | 15 | 2 | 6 | 7 | 15:24 | -9 | 12 |
| 7 ვერდერი | 29 | 13 | 4 | 12 | 43:42 | 1 | 43 | 15 | 8 | 2 | 5 | 28:20 | 8 | 26 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:22 | -7 | 17 |
| 8 ვოლფსბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 33:34 | -1 | 41 | 14 | 10 | 1 | 3 | 22:11 | 11 | 31 | 15 | 2 | 4 | 9 | 11:23 | -12 | 10 |
| 9 მიუნხენი | 29 | 10 | 8 | 11 | 37:44 | -7 | 38 | 14 | 5 | 4 | 5 | 17:18 | -1 | 19 | 15 | 5 | 4 | 6 | 20:26 | -6 | 19 |
| 10 ჰანოვერი | 29 | 10 | 6 | 13 | 41:51 | -10 | 36 | 15 | 4 | 5 | 6 | 25:29 | -4 | 17 | 14 | 6 | 1 | 7 | 16:22 | -6 | 19 |
| 11 ლაუტერნი | 29 | 9 | 8 | 12 | 37:37 | 0 | 35 | 15 | 8 | 2 | 5 | 22:12 | 10 | 26 | 14 | 1 | 6 | 7 | 15:25 | -10 | 9 |
| 12 არმინია | 29 | 8 | 11 | 10 | 31:34 | -3 | 35 | 14 | 7 | 4 | 3 | 20:10 | 10 | 25 | 15 | 1 | 7 | 7 | 11:24 | -13 | 10 |
| 13 ბოხუმი | 29 | 9 | 7 | 13 | 44:50 | -6 | 34 | 15 | 6 | 3 | 6 | 24:23 | 1 | 21 | 14 | 3 | 4 | 7 | 20:27 | -7 | 13 |
| 14 ჰანზა | 29 | 9 | 7 | 13 | 28:34 | -6 | 34 | 15 | 4 | 5 | 6 | 14:17 | -3 | 17 | 14 | 5 | 2 | 7 | 14:17 | -3 | 17 |
| 15 გლადბახი | 29 | 9 | 6 | 14 | 31:39 | -8 | 33 | 14 | 8 | 4 | 2 | 22:8 | 14 | 28 | 15 | 1 | 2 | 12 | 9:31 | -22 | 5 |
| 16 ლევერკუზენი | 29 | 8 | 6 | 15 | 37:49 | -12 | 30 | 15 | 4 | 3 | 8 | 21:27 | -6 | 15 | 14 | 4 | 3 | 7 | 16:22 | -6 | 15 |
| 17 ნიურნბერგი | 29 | 8 | 6 | 15 | 30:47 | -17 | 30 | 15 | 4 | 4 | 7 | 15:21 | -6 | 16 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:26 | -11 | 14 |
| 18 კოტბუსი | 29 | 6 | 6 | 17 | 29:57 | -28 | 24 | 15 | 3 | 2 | 10 | 15:29 | -14 | 11 | 14 | 3 | 4 | 7 | 14:28 | -14 | 13 |

**XXX ტური**

27 აპრილი

| | |
|---|---|
| არმინია | კოტბუსი |
| ჰამბურგი | ნიურნბერგი |
| ვოლფსბურგი | ბაიერნი |
| ლაუტერნი | ვერდერი |
| ჰერტა | ჰანოვერი |
| შტუტგარტი | ჰანზა |
| შალკე | ბოხუმი |
| გლადბახი | ლევერკუზენი |
| მიუნხენ 1860 | დორტმუნდი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 15 |
| კურანი (შტუტგარტი) | 14 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 14 |

# 24 ფეხბურთი ქულების და გოლების თამაშია



REUTERS ლუ კოლოფიდან

დეპორტივო — სევილია. სტუმარი ხავი ნავარო საკუთარ თმეზში გაიბლანდა, როი მაკაიმ კი განდაგანა დაუარა და იტანა და იტანა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XXX ტური

### რეალი 1:1 ბარსელონა

1:0 რონალდო (15), 1:1 ლუის ენრიკე (31)
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, ფ. კონსეისაო (გუტი 70), ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, ფ. დე ბური, სორინი, მენდიეტა (ხერარდი 81), ხავი, გაბრი, მოტა, ლუის ენრიკე (რიკელმე 79), კლუივერტი, ოვერმარსი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: პუიოლი, სალგადო, ლუის ენრიკე, დე ბური, რობერტო კარლოსი, ელგერა, ზიდანი, მენდიეტა, ხერარდი, სალგადო, სორინი
გაძევება: სალგადო (86)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
75 000 მაყურებელი

### დეპორტივო 3:1 სევილია

1:0 ვიქტორი (40), 2:0 მაკაი (45პ), 2:1 ანტონიტო (61), 3:1 მაკაი (69)
დეპორტივო: მოლინა, ნაიბეტი, სეზარი, კაპდევილა, მაურო სილვა, ფრანი (ამავისკა 72), სკალონი, სერხიო, ვალერონი (ლუკე 74), ვიქტორი, მაკაი (მანუელ პაბლო 84)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგესი, გალიარდო (მარკოს ვალესი 62), ვ. სალასი, ფრედი, კასკერო, ტორადო (დანიელი 71), მახლასი (ანტონიტო 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: პაბლო ალფარო, სკალონი, ხავი ნავარო, ფრედი, ხ. რედონდო („სევილიას" სათადარიგოთა სკამზე)
გაძევება: დავიდ კასტედო (66)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
25 000 მაყურებელი

### სოსიედადი 5:0 რაიო ვალეკანო

1:0 დე პედრო (45პ), 2:0 კარპინი (51პ), 3:0, 4:0 ნიჰათი (59, 87), 5:0 ტაიფუნი (90)
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (ბორისი 67), ხაურეგი, დე პედრო, კარპინი (ტაიფუნი 72), კოვაჩევიჩი (დე პაულა 80), არანბურუ, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
რაიო ვალეკანო: სეგურა, დე კინტანა, კორინო, გრაფი, მიჩელი, კევედო, ლუის სემბრანოსი (კამუნიასი 62), ირინეი, ასკოიტია, პერაგონი, ბოლო (ბოლიჩი 62)
მწვრთნელი: ანტონიო ირიონდო
გაფრთხილება: დე კინტანა, ხაბი ალონსო, გრაფი, ხაურეგი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
24 618 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:0 ვალენსია

1:0 ანტონიო ლოპესი (75)
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, გასპარი (მარიო 46), ტორეს გომესი, კამინერო, ფერნანდო სალესი, ოსკარი, პაჩონი (ანტონიო ლოპესი 63), ოლივერა (დ. ჩირიჩი 46), ჟონათანი
მწვრთნელი: ხოსე პეპე მორე
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ფ. აურელიო, აიალა, კარბონი, რუველიერი, ალბელდა, ანგულო, რუფეტე (კარეუ 71), აიმარი (გავილანი 78), მისტა (ხუან სანჩესი 63)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: გასპარი, ტორეს გომესი, აურელიო, ალბელდა, ფერნანდო სალესი, გავილანი
მსაჯი: ესკინას ტორესი
10 000 მაყურებელი

### ოსასუნა 0:2 სელტა

0:1, 0:2 მიდო (14, 50)
ოსასუნა: სანსოლი, კრუჩაგა, ხოსეჩო, რივერო (მორალესი 80), ანტონიო ლოპესი, კ. მანფრედინი (მოა 59), პუნიალი (ბრიტი 54), პაბლო გარსია, განსედო, ვალდო, ივან როსადო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო, ედუ (ხესული 68), ლუქსენი, მიდო (კატანია 77), გუსტავო ლოპესი (ანხელი 46)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: პუნიალი, ხოსე იგნასიო, ხოსეჩო
მსაჯი: მეია დავილა
13 771 მაყურებელი

### ბეტისი 2:2 ატლეტიკო

0:1 ლუის გარსია (26), 1:1 ალფონსო (46), 1:2 ლუის გარსია (75), 2:2 არზუ (84)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ვარელა, კაპი, იტო (ალფონსო 46), ფილიპესკუ, ბენჟამინი (მ. ასუნსაო 70), არზუ, დანი (რივასი 52), ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ატლეტიკო: ხუანმა, ოტერო (აგილერა 50), კოლოჩინი, ჰიბიჩი, სერხი, კონტრა, ალბერტინი, ემერსონი, ი. სტანკოვიჩი (ხორხე 64), ლუის გარსია, ხოსე მარი (ხავი მორენო 71)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: კოლოჩინი, ფილიპესკუ, ხოაკინი, სერხი, ფილიპესკუ, ემერსონი, სტანკოვიჩი, ვარელა, ალფონსო
გაძევება: ფილიპესკუ (48)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
35 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 3:3 ბილბაო

0:1 ესკერო (2), 0:2, 0:3 იესტე (23, 29), 1:3 მაქსი (51), 2:3 მილოშევიჩი (55), 3:3 როხერი (65პ)
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ტორიჩელი, დომორო, როხერი, მაქსი, დე ლა პენია (ველამასანი 54), ოსკარი (მორალესი 68), ტამუდო (მილოშევიჩი 9)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, იესტე (აიტორ ოსიო 60), ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო, გურპეგი (მურილიო 89), ესკერო, ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: დე ლა პენია, ურსაისი, იესტე, ხავი გონსალესი, დელ ორნო, დავიდ გარსია, ეჩებერია
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
13 700 მაყურებელი

### ვილიარეალი 1:1 მალიორკა

1:0 პალერმო (23), 1:1 ეტოო (42)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, კიკე მედინა, ფარინოსი, არზო (დე ნიგრისი 60), პალერმო, გიარე (ხავი ვენტა 79), კალება (ვიქტორი 60)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი, პოლი, ლუსენბოფი, იბაგასა (ტურუ ფლორესი 81), ნოვო (მარკოსი 87), რიერა (კამპანო 58), აროლდ ლოზანო, ეტოო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: იბაგასა, ლუსენბოფი, პოლი, კიკე ალვარესი, აროლდ ლოზანო, არუაბარენა
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
12 000 მაყურებელი

### ალავესი 0:1 მალაგა

0:1 დარიო სილვა (90)
ალავესი: დუტრუელი, კარმონა, ტელიესი, ჟელი, ლორენსი, პაბლო, დესიო, ედუ ალონსო (მაგნო 46), ასტუდილიო, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 73), კრუიფი (ტურიელი 72)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამბა (ისნატა 83), რომერო, მანუ (სანდრო 61), დარიო სილვა, დელი ვალდესი (კანაბალი 61)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: დესიო, რომერო, დესიო, ხოსემი, სანდრო, ლორენსი
გაძევება: დესიო (62)
მსაჯი: კარმონა მენდესი
12 087 მაყურებელი

### რასინგი 1:0 უელვა

1:0 პერნია (53ს.კ.)
რასინგი: ლემენსი, კორომინა, ნერუ (პინედა 73), არსენო, ნაფტი, მორა, მატეო, ბენაიუნი, ბოდიპო, ხავი გერერო (მატაბუენა 83), რეგუერო (დიეგო ალონსო 89)
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
უელვა: ლუკე, ესპინოლა, პერნია, ხავი გარსია, არპონი, იკერ ბეგონია, ბენიტესი (რომერო 57), ლორენი (კუბილიო 78), ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა (ბერმეხო 78)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: მატეო, ლორენი, ნერუ, ლემენსი, რეგუერო
გაძევება: იკერ ბეგონია (42), ბოდიპო (45)
მსაჯი: პინო სამორანო
15 044 მაყურებელი

**დაიძაბა**, მაგრამ რა დაიძაბა: „რეალის" ფრემ ხომ „დეპორტივოს" და „რეალ სოსიედადს" ლიდერთან დაწევის საშუალება მისცა და ახლა, როცა გასათამაშებელი კიდევ 24 ქულაა, ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს ერთი ქულაღა ჰყოფთ. ეს ერთი, ახლა ცოტა ქვევით ჩავიწიოთ. „სელტამ" „ვალენსია" მეოთხე ადგილიდან გააძევა და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა. მაგრამ აბა, „ვალენსიასაც" ჰკითხეთ, უნდა უეფას თასი? ცხადია, არა და ასევე ცხადია, რომ „სელტასთან" წართმეულის დაბრუნებას ეცდება. ამ გუნდებსაც ერთი ქულა ჰყოფთ, გასათამაშებელი კი, როგორც მოგახსენეთ, ჯერაც 24 ქულაა. კიდევ ცოტა ქვევით ჩავიწიოთ. საუეფასთასო მეექვსე ადგილისთვის აუჰ, ერთბაშად რამდენი გუნდი იბრძვის. ეს ადგილი ახლა „სევილიას" უკავია და თანაბარი ქულები აქვს თანაქალაქელ „ბეტისთან". სევილიურ გუნდებს თითო ქულით ჩამორჩებიან „მალაგა" და „ატლეტიკო" და კაცმა რომ თქვას, მე-14 ადგილზე მყოფი „ვილიარეალიც" კი „სევილიას" კონკურენტია, მათ მხოლოდ ექვსი ქულა აშორებთ, გასათამაშებელი კი, ერთხელაც შეგახსენებთ, 24 ქულაა. მაგრამ იგივე „ვილიარეალი" და ვალიაროთ, მასზე მაღლა მდგომი გუნდებიც, შესაძლოა სეგუნდადივიზიონში გავარდნენ. ანუ ცხრილის ქვედა ნაწილშიც საშინელი სიმჭიდროვეა, გასათამაშებელი კი, ბოლოჯერ შეგახსენებთ, 24 ქულაა. მოკლედ, ერთ გუნდსაც ვერ იპოვით, რამესთვის აღარ იბრძოდეს.

ერთი შენიშვნაც: ცხრილში, თანაბარქულიანობის შემთხვევაში, უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგს ენიჭება და მხოლოდ ამის მერე ბურთების შეფარდებას.

ფეხბურთი გუნდური თამაშია, მაგრამ ხშირად ხდება, რომ ერთი ფეხბურთელის გამორჩევაა საჭირო. „დეპორტივოსგან" „სევილიას" ძლევა როი მაკაის ანგარიშზე უნდა ჩავწეროთ. რატომაც არა: ფეხმარდმა ჰოლანდიელმა ერთი საგოლე პასი გააკეთა, ორი გოლიც თავად გაიტანა და ერთ თამაშში მეტი რა უნდა ექნა. პირველად მან ფლანგურად ჩააწოდა ვიქტორს, მერე პენალტით გაიტანა, მესამე კი მაშინ შეაგდო, როცა გაძევებული სევილიელი დავიდი მოედნიდან ხეირიანად არც გასულიყო. დავიდი მსაჯმა ხელით თამაშისთვის გააგდო, როი მაკაიმ კი პირადი საგოლე ანგარიში 24-მდე აიყვანა (24-ის ხსენება მაინც მოგვიხდა).

„რეალ სოსიედადმა" ისე გაუსწორდა „რაიო ვალეკანოს", თითქოს თავად კოალიციის ჯარი ყოფილიყო, მეტოქე კი სადამის ერთგული გვარდია. ალბათ გაოცდებით, რომ ხუთი გოლიდან ერთიც არაა სანსებასტიანელთა მთავარმეგოლე დარკო კოვაჩევიჩისა, არადა, ის მოედანზე იყო. მაგრამ კოვაჩევიჩი ურიგოდ და უქმად არ გარჯილა და მისი ღვაწლი ოქმს მიღმა დარჩა: პირველი ორი გოლი ჩავი დე პედრომ და ვალერი კარპინმა სწორედ მისი მონადირებული თერთმეტმეტრიანებით გაიტანეს. ამის მერე სერბმა საგოლე პასიც მისცა ნიჰათს და როი მაკაისა არ იყოს, ერთ თამაშში მეტი რა უნდა გაეკეთებინა.

ვაი, შენს „ვალენსიას" — ასეთი თამაშით შარშანდელი ჩემპიონისთვის ახლანდელი მეხუთე ადგილიც არამია. გუნდმა ბოლო შვიდი მატჩიდან ოდენ ერთი მოიგო. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ვალიადოლიდში თავსხმა წვიმა იყო, „სორილიას" გაზონი გაჟღენთილიყო და ბურთის გორება ჭირდა, ფაქტი ფაქტად რჩება: ანტონიო ლოპესის კინკილა გოლმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა. ისე, რა, „ვალიადოლიდისთვის" არ წვიმდა?

ცხრილის ქვედა ნაწილში კი „ალავესი" „ოსასუნაზე" წინ იქნებოდა, ვიტორიელთა „მალაგასთან" თამაში ერთი წუთით ადრე რომ დასრულებულიყო. ბასკთა დედაქალაქის გუნდმა პირველ ტაიმში ძალიან კარგად ითამაშა და ხეირიანი მომენტებიც შექმნა. მაგრამ შესვენების მერე მეორე გაფრთხილებით დესიო გაუგდეს და „მალაგაც" მოყოჩაღდა. საბოლოოდ, 90 წუთი რომ ამოიწურა და წამატებული დრო წავიდა, დარიო სილვამ სწორედ მაშინ გაიტანა სტუმართა გამარჯვებისა. ამგვარად, „ალავესი", რომელიც 1998 წელს აღზევდა პრიმერადივიზიონში, ორი წლის წინ კი უეფას თასის ფინალს უწია, გავარდნის საფრთხის წინაშეა — ბოლო რვა თამაშიდან ორად ორი ქულა მოაგროვა.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 30 | 17 | 10 | 3 | 67:32 | 35 | 61 | 15 | 11 | 4 | 0 | 42:14 | 28 | 37 | 15 | 6 | 6 | 3 | 25:18 | 7 | 24 |
| 2 | დეპორტივო | 30 | 18 | 6 | 6 | 52:33 | 19 | 60 | 15 | 10 | 3 | 2 | 30:13 | 17 | 33 | 15 | 8 | 3 | 4 | 22:20 | 2 | 27 |
| 3 | სოსიედადი | 30 | 17 | 9 | 4 | 57:38 | 19 | 60 | 15 | 10 | 5 | 0 | 35:17 | 18 | 35 | 15 | 7 | 4 | 4 | 22:21 | 1 | 25 |
| 4 | სელტა | 30 | 15 | 6 | 9 | 36:24 | 12 | 51 | 15 | 8 | 4 | 3 | 21:11 | 10 | 28 | 15 | 7 | 2 | 6 | 15:13 | 2 | 23 |
| 5 | ვალენსია | 30 | 14 | 8 | 8 | 43:24 | 19 | 50 | 15 | 9 | 3 | 3 | 24:8 | 16 | 30 | 15 | 5 | 5 | 5 | 19:16 | 3 | 20 |
| 6 | სევილია | 30 | 11 | 9 | 10 | 28:25 | 3 | 42 | 14 | 7 | 5 | 2 | 19:10 | 9 | 26 | 16 | 4 | 4 | 8 | 9:15 | -6 | 16 |
| 7 | ბეტისი | 30 | 11 | 9 | 10 | 40:40 | 0 | 42 | 16 | 8 | 4 | 4 | 23:15 | 8 | 28 | 14 | 3 | 5 | 6 | 17:25 | -8 | 14 |
| 8 | მალაგა | 30 | 10 | 11 | 9 | 37:33 | 4 | 41 | 15 | 7 | 6 | 2 | 24:13 | 11 | 27 | 15 | 3 | 5 | 7 | 13:20 | -7 | 14 |
| 9 | ატლეტიკო | 30 | 10 | 11 | 9 | 43:39 | 4 | 41 | 15 | 7 | 5 | 3 | 25:17 | 8 | 26 | 15 | 3 | 6 | 6 | 18:22 | -4 | 15 |
| 10 | მალიორკა | 30 | 10 | 8 | 12 | 34:46 | -12 | 38 | 14 | 5 | 4 | 5 | 18:26 | -8 | 19 | 16 | 5 | 4 | 7 | 16:20 | -4 | 19 |
| 11 | ბილბაო | 30 | 10 | 8 | 12 | 44:50 | -6 | 38 | 15 | 8 | 2 | 5 | 22:16 | 6 | 26 | 15 | 2 | 6 | 7 | 22:34 | -12 | 12 |
| 12 | ბარსელონა | 30 | 9 | 10 | 11 | 47:41 | 6 | 37 | 14 | 6 | 5 | 3 | 33:20 | 13 | 23 | 16 | 3 | 5 | 8 | 14:21 | -7 | 14 |
| 13 | რასინგი | 30 | 11 | 3 | 16 | 38:46 | -8 | 36 | 15 | 7 | 2 | 6 | 20:14 | 6 | 23 | 15 | 4 | 1 | 10 | 18:32 | -14 | 13 |
| 14 | ვილიარეალი | 30 | 9 | 9 | 12 | 30:36 | -6 | 36 | 15 | 7 | 3 | 5 | 17:16 | 1 | 24 | 15 | 2 | 6 | 7 | 13:20 | -7 | 12 |
| 15 | ვალიადოლიდი | 30 | 10 | 5 | 15 | 28:33 | -5 | 35 | 15 | 7 | 3 | 5 | 17:13 | 4 | 24 | 15 | 3 | 2 | 10 | 11:20 | -9 | 11 |
| 16 | ესპანიოლი | 30 | 8 | 9 | 13 | 35:42 | -7 | 33 | 16 | 7 | 4 | 5 | 25:20 | 5 | 25 | 14 | 1 | 5 | 8 | 10:22 | -12 | 8 |
| 17 | ოსასუნა | 30 | 7 | 9 | 14 | 27:38 | -11 | 30 | 16 | 6 | 3 | 7 | 15:16 | -1 | 21 | 14 | 1 | 6 | 7 | 12:22 | -10 | 9 |
| 18 | ალავესი | 30 | 7 | 9 | 14 | 31:52 | -21 | 30 | 15 | 5 | 6 | 4 | 15:14 | 1 | 21 | 15 | 2 | 3 | 10 | 16:38 | -22 | 9 |
| 19 | უელვა | 30 | 7 | 9 | 14 | 28:50 | -22 | 30 | 15 | 4 | 6 | 5 | 17:20 | -3 | 18 | 15 | 3 | 3 | 9 | 11:30 | -19 | 12 |
| 20 | რაიო ვალეკანო | 30 | 7 | 6 | 17 | 26:49 | -23 | 27 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:20 | -4 | 17 | 15 | 3 | 1 | 11 | 10:29 | -19 | 10 |

### XXXI ტური
27 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| რაიო ვალეკანო | — | ესპანიოლი |
| ბილბაო | — | ბეტისი |
| ატლეტიკო | — | ოსასუნა |
| სელტა | — | ვალიადოლიდი |
| ვალენსია | — | ალავესი |
| მალაგა | — | რასინგი |
| უელვა | — | ვილიარეალი |
| მალიორკა | — | დეპორტივო |
| სევილია | — | რეალი |
| ბარსელონა | — | სოსიედადი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 24 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 18 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 17 |
| რონალდო (რეალი) | 16 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 13 |
| პანდიანი (მალიორკა) | 12 |
| რაული (რეალი) | 11 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 11 |

### სეგუნდადივიზიონი
### XXXII ტური

**ალმერია 1:0 ლას პალმასი**
1:0 ბილიჩი (15)

**ხეტაფე 2:1 ტერასა**
1:0 კრაიოვიანუ (54), 1:1 ხუან კარლოსი (71ს.კ.), 2:1 ხუან კარლოსი (80)

**ლევანტე 4:0 ლეგანესი**
1:0 ამატო (51პ), 2:0 დუდა (53), 3:0 ჩოტა (81), 4:0 ფელიქსი (90)

**ფეროლი 1:0 ელჩე**
1:0 პაბლო (24პ)

**ოვიედო 2:1 ბადახოსი**
1:0, 2:0 გენი (46, 75), 2:1 ლეანდრო (82)

**კორდობა 0:2 ალბასეტე**
0:1, 0:2 სანდრო (54, 56)

**სალამანკა 2:0 პოლი ეხიდო**
1:0 კაკა (6), 2:0 ეკუდა (28)

**კომპოსტელა 1:0 ნუმანსია**
1:0 სევეიროსი (63)

**სარაგოსა 2:0 ეიბარი**
1:0 გალეტი (50), 2:0 იორდი (84)

**მურსია 0:0 სპორტინგი**

**ტენერიფე 1:3 ხერესი**
0:1 ჩანიტო (13), 0:2 ზარატე (26), 1:2 პაუნოვიჩი (36), 1:3 მენა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბასეტე | 32 | 15 | 15 | 2 | 42:20 | 60 |
| მურსია | 32 | 17 | 8 | 7 | 43:17 | 59 |
| სარაგოსა | 32 | 16 | 8 | 8 | 37:28 | 56 |
| ლევანტე | 32 | 14 | 13 | 5 | 45:28 | 55 |
| ხერესი | 32 | 13 | 11 | 8 | 37:33 | 50 |
| ლას პალმასი | 32 | 11 | 13 | 8 | 42:35 | 46 |
| ტენერიფე | 32 | 9 | 16 | 7 | 40:30 | 43 |
| სპორტინგი | 32 | 9 | 15 | 8 | 32:29 | 42 |
| კომპოსტელა | 32 | 10 | 11 | 11 | 37:39 | 41 |
| პოლი ეხიდო | 32 | 10 | 11 | 11 | 27:31 | 41 |
| ხეტაფე | 32 | 10 | 10 | 12 | 41:41 | 40 |
| სალამანკა | 32 | 8 | 15 | 9 | 23:22 | 39 |
| ტერასა | 32 | 8 | 15 | 9 | 32:36 | 39 |
| ელჩე | 32 | 9 | 11 | 12 | 34:32 | 38 |
| ეიბარი | 32 | 8 | 14 | 10 | 25:31 | 38 |
| კორდობა | 32 | 8 | 13 | 11 | 27:25 | 37 |
| ნუმანსია | 32 | 8 | 12 | 12 | 31:39 | 36 |
| ალმერია | 32 | 8 | 12 | 12 | 35:50 | 36 |
| ლეგანესი | 32 | 7 | 14 | 11 | 35:43 | 35 |
| ფეროლი | 32 | 7 | 10 | 15 | 30:47 | 31 |
| ბადახოსი | 32 | 8 | 7 | 17 | 21:46 | 31 |
| ოვიედო | 32 | 6 | 12 | 14 | 28:42 | 30 |

# რეალი 1:1 ბარსელონა


REUTERS

კლოდ მაკელელე (№24) უწესო საქციელში ამხილეს

## შინი და მათემატიკა

„რეალს“ „ბერნაბეუზე“ აგერ უკვე 30 თვეა, 2000 წლის ნოემბრის მერე არ წაუგია. „რეალი“ ამ სეზონშიც ჩემპიონატის ლიდერია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეთორმეტეადგილოსანი „ბარსელონა“ კუთხეში მიმწყვდეულ, დასაკლავად გამზადებულ მხეცს ჰგავდა. თამაშმდე რადომირ ანტიჩი ქომაგებს დაჰპირდა: „ბარსა“ არც თამაშით წააგებდა და არც ანგარიშით. სარისკო დაპირება კი იყო: ანტიჩი აქამდე სამჯერ შეხვედროდა ვისენტე დელ ბოსკეს, „ატლეტიკოსა“ და „ოვიედოში“ მუშაობისას და ერთხელაც ვერ მოუგო. ხალხსაც დავიწყებული ჰქონდა, როდის გაიმარჯვა „ბარსელონამ“ ბოლოს „ბერნაბეუზე“, ეს შვიდი წლის წინ იყო. მაგრამ ეს სუპერკლასიკოა და აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჰოდა, მიუხედავად ყველა ანტიარგუმენტისა, ანტიჩმა დაპირება შეასრულა. სხვათა შორის, „ბარსას“ იმ შვიდი წლის წინანდელი შემადგენლობიდან კატალონიურ კლუბში დღეს მხოლოდ ორნი დარჩნენ — რაიციგერი და ლუის ენრიკე.

ლუის ენრიკე მეათე ფეხბურთელია, რომელსაც კლასიკოში ორივე გუნდის მაისურით უთამაშია. მეთერთმეტე ლუიშ ფიგუა, მეთორმეტე კი შაბათს რონალდო გახდა. პირველ წრეში ის ბარსელონაში უბრალოდ არ ჩავიდა, ახლა კი ითამაშა და საიუბილეო გოლიც გაიტანა. „ბარსელონაში“ თამაშისას (1996-97) მან 34 გოლი გაიტანა, „რეალში“ 16 დაუგროვდა და ესეც თქვენ, 50 ესპანური გოლი.

„რეალის“ ყველაზე მსუქანმა ფეხბურთელმა (რონალდო 85 კილოგრამს იწონის) რაულის პასი შეირგო, ერთი მოძრაობით მცველი ჩამოიცალა და რობერტო ბონანოს პირისპირ შეეყარა. ბონანო კარიდან გამოვარდა, მაგრამ კარი ვერ იხსნა.

როცა „რეალი“ „ბერნაბეუზე“ ჩემპიონატის მე-12 გუნდს გოლს უტანს, თითქოს თამაშის შემდგომი მსვლელობის გამოცნობა ძნელი არ არის, მაგრამ ამ წესმა არ გაჭრა და „ბარსა“ ათამაშდა.

კატალონიელთა ყოველ მოძრაობაში ქინი იგრძნობოდა, რაც აკლდა „რეალს“. არადა, მასპინძელთა კომბინაციები მათემატიკურად გამოზომილი და სწორი იყო. სწორედ ამ ქინის წყალობით ითამაშა „ბარსელონამ“ უკეთ. პრესინგმაც თავისი შედეგი გამოიღო და რეალელებს დიდი ბრძოლის გარეშე ბურთის მიღება უჭირდათ. ხავიმ და მენდიეტამ ზინედინ ზიდანს ფეხი არ გაანძრევინეს, ლუის ენრიკე, კლუივერტი, ოვერმარსი და ბარსელონელი მცველებიც კი სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდნენ „რეალის“ საჯარიმოში. გოლი მწიფდებოდა და გავიდა კიდეც. იკერ კასილიასმა კლუივერტის ვერაგული თავური დიდი გაჭირვებით მოიგერია, ის იყო, მეორე ნახტომით უნდა ჩაებღუჯა, მაგრამ ხუან პაბლო სორინმა არ დაანება და ლუის ენრიკეც იქვე გაჩნდა — დაუცველ კარში ორი მეტრიდან შეაგდო.

მერე ასეთი ეპიზოდი იყო: რობერტო კარლოსი „ბარსას“ საჯარიმოში წაიქცა. „ასეთ შემთხვევაში ყოველთვის გულწრფელი ვარ და ახლაც სიმართლეს ვამბობ — გაბრიმ ხელი მკრა“ — თქვა ნამატჩევს რობერტო კარლოსმა და... მოიტყუა. ტყუილი იმდენად აშკარაა, თუ ის ეპიზოდი ნახეთ, ეჭვიც არ შეგეპარებოდათ. რობერტო კარლოსმა მსაჯი ვერ მოატყუა, აი, შეცდა თუ არა მუნიოს ფერნანდესი გაისკა მენდიეტას გოლი რომ გააუქმა, უფრო საკამათო საკითხია.

ჩხუბიც იყო. ზიდანმა კარლეს პუიოლს ჩასცხო, რასაც გუნდი გუნდზე გაწევა მოჰყვა. კლოდ მაკელელემ ტიაგო მოტა თმებითაც დაითრია. მსაჯმა ამ ეპიზოდში არავინ დასაჯა, თუმცა ნამატჩევს მაკელელემ აღიარა და ბოდიშიც მოიხადა, მტყუანი ვიყავი და გაძევებასაც ვიმსახურებდიო. საბოლოოდ არბიტრმა ერთი ფეხბურთელი მაინც გაისტუმრა — მიჩელ სალგადომ ორი ყვითელი ბარათი მიიღო, საერთოდ კი მუნიოს ფერნანდესმა 11-ჯერ წაიღო ჯიბისკენ ხელი.

თამაშის ბოლო წუთები მაინც მასპინძლებისა გამოდგა, რონალდომ ძელს გაარტყა, ფიგუსა და ზიდანის სახიფათო დარტყმები ბონანომ მოიგერია.

„მეტოქეს აშკარად ვჯობდით, უბრალოდ, არ გაგვიმართლა — თქვა ანტიჩმა — მსაჯიც ბევრს სცოდავდა“.

„ბარსელონა“ მეტ ხანს ფლობდა ბურთს, მაგრამ საგოლე მომენტების რაოდენობით ჩვენ ვჯობდით. საერთოდ კი ჯარიმების გამო თამაში ხშირად წყდებოდა, რის გამოც მოსაწყენი სანახაობა გამოდგა“ — აღნიშნა ვისენტე დელ ბოსკემ.

რობერტო კარლოსმა კი „ბარსას“ კბილი გაჰკრა: „ეგენი ყოველ ტურში ასეთი მონდომებით რომ თამაშობდნენ, ცხრილში ასე ქვევით არ იქნებოდნენ“.

ისე, რობერტო კარლოსი მართალია, „ბარსას“ ასე რა ჩანია, არ მოუნდომებია, მაგრამ ამას ლოგიკური ახსნა აქვს: ეს ხომ სუპერკლასიკო იყო.

**გიორგი დარჯანია**



იმ ეპიზოდზე, როცა გაისკა მენდიეტას თვსაიდის გამო გოლი არ ჩაუთვალეს, კატალონიელებმა ერთი ამბავი ატეხეს. „ბარსას“ ფეხბურთელები და იქაური მთავარი სპორტული გაზეთი „სპორტი“ ერთხმად ამტკიცებენ, მენდიეტა თამაშგარეში არ ყოფილა და იმასაც იხსენებენ, შარშანდელ კლასიკოში რივალდოს რომ არ ჩაუთვალეს გოლი იმავე მიზეზით.

მადრიდში კი რა ხდება: არც „მარკას“ მიმოხილვაში, არც ფეხბურთელთა კომენტარებში და არც „რეალის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ერთი სიტყვაც არ თქმულა მენდიეტას არჩათვლილ გოლზე. თითქოს ეს ეპიზოდი არც ყოფილიყო.

იყო თამაშგარე თუ არა, ამ ფოტოს მიხედვით თავად განსაჯეთ, მენდიეტას კომენტარი კი ასეთია:

„საერთოდ არ მჩვევია მსაჯთა შეცდომებზე ლაპარაკი, მაგრამ რადგანაც საქმე ისეთ შემთხვევებს ეხება, როგორიც იყო ჩემი გაუქმებული გოლი, ახლა ლუის ენრიკეს წაქცევისას არდანიშნული პენალტი, სათქმელია, რომ ამ ორ გადამწყვეტ ეპიზოდში არბიტრი აშკარად შეცდა. ზოგადად ძნელია უშეცდომოდ განსაჯო მოედანზე ესა თუ ის სიტუაცია, მაგრამ ამ კონკრეტულ ეპიზოდებში ყველაფერი ხელთად მარტივად გადასაწყვეტი იყო და მაშინვე გამოჩნდა ეჭვი მუნიოს ფერნანდესის მიუკერძოებლობაში.“

## ლუის, შე უვარგისო! ნადი, შენი დედაც...



„ამ გოლს მთელ მსოფლიოში გაბნეულ „ბარსელონას“ ქომაგებს ვუძღვნი. როცა გავიტანე, ისინი ჩემთან ერთად გაგიჟდნენ სიხარულით“ — თქვა მატჩის მერე ლუის ენრიკემ. მას ჰქონდა სიხარულის მიზეზი და არა მხოლოდ იმიტომ, რომ „თეთრები“ გაამწარა, მან იკერ კასილიასსაც წაუხდინა ხასიათი, რომლისგანაც ძველისძველი წყენა ახსოვს.

12 წლის წინ პატარა ბიჭი, რომელსაც იკერი ერქვა და „რეალის“ 14-წლამდელთა გუნდში თამაშობდა, პირველი გუნდის ვარჯიშზე წავიდა. შუა ვარჯიშისას, როცა ლუის ენრიკეს რაღაც ილეთი არ გამოუვიდა, იკერმა მერხის იქიდან დაუძახა: ლუის, არაფრად ვარგიხარო. არადა, ლუის ენრიკე მისი ერთ-ერთი კერპი იყო. „შენი დედაც...“ — უპასუხა ასტურიელმა „რეალის“ ბავშვთა გუნდის მეკარეს. ბავშვმა ხმა ჩაიწყვიტა.

12 წლის მერე ლუჩომ ერთხელაც ჩააწყვეტინა ხმა კასილიასს და „სანტიაგო ბერნაბეუს“ თავისი ბარსელონური მაისურის ჩვენებით შემოურბინა.

იმ ინციდენტიდან ბევრი წლის მერე, როცა იკერ კასილიასი და ლუის ენრიკე სანაკრებო შეკრებაზე შეხვდნენ ერთმანეთს, კასილიასმა ბარსელონელს ის ძველი ამბავი გაახსენა, ცუდად მომექეციო. რას გრძნობო, ჰკითხა ლუის ენრიკემ. მეკარემ უპასხა: ყოველთვის, როცა ტრიბუნებიდან შეურაცხყოფას მაყენებენ, შენი მაშინდელი ნათქვამი მახსენდებაო. ლუის ენრიკემ კასილიასის აღსარება თავისებურად გაიგო: „შენ უსინდისო ბიჭი ხარ, იკერ. შენ მახსენებ, რომ შენზე ბევრად უფროსი ვიყავი და არ უნდა შემეგინებინა“.

შაბათს ლუის ენრიკემ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და იმ ჟესტს — მაისურის ჩვენებით ტრიბუნისკენ რომ გაიქცა, თავის მნიშვნელობა აქვს. ლუჩოს უყვარს, როცა სახეში უყურებს მაყურებელს, როცა მას უყვირიან. ასე არასდროს იქცევა მოუქნელი რონალდო, რომელიც ვითომ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, სინამდვილეში კი ხალხისგან ძალიან შორს დგას.

შაბათს ლუჩომ პირველად უკაპიტნა „ბარსას“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“. შარშან მან „ბეტისთან“ მიღებული ტრავმის გამო ვერ ითამაშა, იქამდე კი „ბარსას“ კაპიტანი ღიდი ხოსეპ გვარდიოლა იყო.

მისი გოლი რთული გასატანი არ ყოფილა. „სიმართლე გითხრათ, იმ პოზიციიდან ჩემი შვილი პაჩოც კი გაიტანდა“ — თქვა ლუის ენრიკემ, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მან გააჩუმა „სანტიაგო ბერნაბეუ“ და მეკარე, რომელმაც 12 წლის წინ იყვირა, არაფრად ვარგიხარო.

**WWW.FCBARCELONA.COM**

*შარშან, „რეალის“ საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, „მარკამ“ სპეციალური ჟურნალი გამოსცა, სადაც ამ ას წელიწადში „რეალის“ სრული ისტორიაა მოთხრობილი. იქვეა ჩამოთვლილი ყველა ის ფეხბურთელი, რომლებსაც ამ ას წელიწადში „რეალის“ მაისურით უთამაშიათ. ისინი, 2002 წლის 6 მარტის მონაცემებით, 1217 არიან. ცალკე ჩამოთვლილია „რეალის“ ყველა დროის 100 საუკეთესო ფეხბურთელი, რომელთა შორის არის ლუის ენრიკეც. ის 51-ეა და უსწრებს ნეცერს, პაჯის, ბერნაბეუს, ვალდანოს, ამავისკას, მოლოვნის.*

*ლუის ენრიკემ „რეალში“ ხუთი წელი ითამაშა. ესპანეთის ჩემპიონატი, სამეფო თასი და სუპერთასი მოიგო. ხოლო „რეალის“ ქომაგთა გამოკითხვით კლუბის ყველა დროის უდიდეს გამარჯვებაში — „რეალი“ 5:0 „ბარსელონა“ — კატალონიელებს ორი გოლი გაუტანა.*





1995 წლის 7 იანვარი: რეალი 5:0 ბარსა. მაშინ ლუის ენრიკეს მადრიდულად უხაროდა

# პლიუს, მინუს, მეტი, ნაკლები და ფოტოფინიშის მოლოდინი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXIV ტური

**მანჩესტერი 3:1 ბლექბერნი**

1:0 ვან ნისტელროი (20), 1:1 ბერგი (24), 2:1, 3:1 სქოულზი (42, 61)
მანჩესტერი: ბარტეზი (რიკარდო 46), ფ. ნევილი, რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი, ბათი (როი კინი 54), სქოულზი, ფორჩუნი, გიგზი (სოლსკიაერი 83), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, ბერგი (მარტინ ტეილორი 64), შორტი, გრეშკო, დ. დანი, თუგაი, ფლიტკროფტი, დაფი (მ. შუქური 66), ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
მსაჯი: დურსო
67 626 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:2 არსენალი**

0:1 ვილტორდი (48), 0:2 ანრი (82)
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, კედრუ, ბოატენგი, დორიგა (უილკშირი 70), გრინინგი, ჟუნინიო პაულისტა (მაკარონე 83), კრისტი (ჟობი 83), ნემეტი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, ს. კემპბელი, სიგანი, ეშლი კოული (ლუჟინი 84), ლიუნგბერგი, პარლოუ, ჟილბერტო სილვა, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 90), ვილტორდი, ანრი (ბერხკამპი 89)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ანრი
მსაჯი: ელერეი
34 724 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ნიუკასლი**

0:1 შირერი (39), 1:1 ლეგვინსკი (69), 2:1 კლარკი (86)
ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, მელვილი, ჯეტუ, ჰარლი, მალბრანკი (ჰეელსი 79), კლარკი, შ. დევისი, ლეგვინსკი, ბოა მორტე (კოლინზი 90), საჰა (ჰემონდი 17)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, ვუდგეიტი, ბერნარი, სოლანო (კოლდუელი 65), ა. ჰიუზი, დაიერი, ვიანა (ამეობი 84), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: გრიფინი, ფინანი, გრიფინი
გაძევება: გრიფინი (63)
მსაჯი: გალაჰერი
17 900 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:1 ჩელსი**

1:0, 2:0 ოლბოკი (11, 78), 2:1 ტერი (89)
ასტონ ვილა: ენკელმანი, მელბერგი, იონსენი, ბერი, ედვარდსი, ლეონარდსენი, გუდიონსონი (სტონტონი 19), ჰიცლსპერგერი, ჯ. სამუელი, ოლბოკი, ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ჩელსი: კუდიჩინი, გალასი, ტერი, დესაი, მელხიოტი (ჰასელბაინკი 46), დე ლუკასი, ლამპარდი, ე. პეტი, ლე სო (ბაბაიარო 66), ძოლა (გუდიონსენი 66), კ. კოული
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ლეონარდსენი
მსაჯი: სტაილზი
39 358 მაყურებელი

**ევერტონი 1:2 ლივერპული**

0:1 ოუენი (31), 1:1 ანსუორთი (58პ), 1:2 მერფი (64)
ევერტონი: რ. რაიტი, იობო, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი, უოტსონი (დ. ფერგიუსონი 69), კარსლი, გრავესენი (ჯემილი 76), ნეისმიტი, კ. კემპბელი, რუნი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ბისკანი (დიაო 8), ტრაორე, რიისე, ჰესკი, ჯერარდი, ჰამანი, დენი მერფი, ოუენი, ბაროში (დიუფი 66)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ვეირი, ნეისმიტი, გრავესენი, ჯერარდი, ჰამანი, ვეირი, სტაბსი, ბაროში, ნეისმიტი
გაძევება: ვეირი (82), ნეისმიტი (90)
მსაჯი: დარკინი
40 162 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 3:2 ლიდსი**

1:0 ორმეროდი (31), 2:0 ბიტი (45), 3:0 ა. სვენსონი (53), 3:1 კიუელი (80), 3:2 ბარმბი (90)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ტელფერი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ფ. ფერნანდესი, ოკლი, პრატონი, ა. სვენსონი (დელაპი 88), ბიტი, ორმეროდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი (ბარმბი 56), დაბერი, მატეო, ჰარტი, გ. კელი, ბაკე, უილკოქსი, კიუელი, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: მილსი, სმიტი, ბაკე, სმიტი, ვიდუკა
გაძევება: სმიტი (61)
მსაჯი: ჰალსი
32 032 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:2 მანჩესტერ სიტი**

0:1 სომეილი (3), 0:2 ბარტონი (21)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ტარიკო (პერი 46), კინგი, ე. გარდნერი, ანდერტონი, ბუნიევჩევიჩი (ტოდა 46), პოიეტი (აჩიმოვიჩი 72), ს. დევისი, შერინგემი, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, სომეილი, ნ. იენსენი, დისტინი, რ. დანი, ბენარბია, ფოურაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ანელკა, ფაულერი (მაკენი 81)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: პოიეტი, კარი, დანი, ბარტონი, რაიტ-ფილიპსი
მსაჯი: რაილი
36 075 მაყურებელი



REUTERS ლივერპულიდან

ევერტონი — ლივერპული.
მასპინძელთა იმედი უეინ რუნი ირჟი დუდეკთან ვერაფერს გახდა

**ბოლტონი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ოკოჩა (38)
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, ლავილი, ჩარლტონი, მენდი, კამპო, ფრანდსენი, ოკოჩა (ანდრე 89), პედერსენი, ჯორკაეფი (ნოლანი 82)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, რეპკა, ი. პირსი, ბრევეტი, ლომასი, ჯ. კოული, ე სისე (ლ. ფერდინანდი 55), ტ. სინკლერი, დეფო, კანო
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
გაფრთხილება: მენდი, ლავილი, კამპო, ჯონსონი, დეფო, ლომასი, კოული
გაძევება: პირსი (90)
მსაჯი: რენიე
27 160 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:2 ბირმინგემი**

0:1 დიუგარი (20), 0:2 სევიჯი (55პ)
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, ფორტუნი, ელ ხალეჯი (კონჩესკი 82), კ. პაუელი, კიშიშევი (ჯ. რობინსონი 46), პარკერი, იუელი, კ. იენსენი, მათიას სვენსონი (ლისბი 46), ჯ. იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ბირმინგემი: ბენეტი, კენა, კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი (პარსი 90), სევიჯი, ბ. ჰიუზი, კლემენსი, ჰორსფილდი (დევლინი 87), დიუგარი (ჯონი 68)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: პარკერი, სვენსონი, კლემენსი
მსაჯი: ბერი
25 732 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:2 ვესტ ბრომვიჩი**

0:1, 0:2 მაკინსი (39, 42), 1:2 სტიუარტი (70)
სანდერლენდი: პოომი, გრეი, ბრადლი, ელ კარკური (მაკარტნი 58), დ. უილიამსი, კილბეინი, გ. მაკკანი (არკა 19), ტორნტონი, კაილი (პროქტორი 82), მ. სტიუარტი, ფილიპსი
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ბალიში, სიგურდსონი, უოლვორკი, გრეგანი, კლემენტი, კუმასი, მაკინსი, ე. ჯონსონი, დიჩიო, მ. ჰიუზი (რობერტსი 36)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ელ კარკური, მაკკარტნი, უილიამსი, კაილი, კუმასი
მსაჯი: პოლი
36 025 მაყურებელი

**ჩვეულებრივ ინგლისის** პრემიერლიგა დასასრულისკენ მიექანება, მაგრამ ეს „მიექანება" არ გამოსდის, რადგან ცხრილის ყოველ მონაკვეთში ფიცხელი ომია გახურებული და ყოველი ნაბიჯის გადადგმას თავზე ხელის აღება სჭირდება.

სათავეში ვითარება უცვლელია: „მანჩესტერი", რომელმაც „ბლექბერნს" 3:1 მოუგო, 3 ქულით უსწრებს თამაშნაკლულ „არსენალს", რომელმაც მიდლსბროში იმარჯვა. „მეთოფეები" ბურთების სხვაობაში ერთი გოლით უსწრებენ ლიდერს, გატანილ გოლებში კი ხუთი ბურთით, რაც, შეიძლება გადამწყვეტი გამოდგეს ტიტულისათვის ბრძოლაში. შესაძლებელია, რომ ჩემპიონი ფოტოფინიშმა, ან სულაც გადათამაშებამ გაარკვიოს, რაც პრემიერლიგის წესდებით დასაშვებია ყველაფრის ერთნაირობის შემთხვევაში.

ბრძოლა გრძელდება მესამე და მეოთხე ადგილებისთვისაც, ანუ ჩემპიონთა ლიგისთვის. ამ ტურში კი ამ ადგილების დამჭერებმა და მათთვის მებრძოლებმა, სამივემ წააგეს: „ნიუკასლმაც", „ჩელსიმაც" და „ევერტონმაც", რომელიც „ლივერპულისგან" იძლია მერსისაიდულ დერბიში.

ცხრილის ბოლოში, „ვესტ ბრომვიჩმა" 2:1 მოუგო გავარდნილ „სანდერლენდს" და თავადაც გავარდა, ამ ორს კი აშკარად მიჰყვება საბრალო „ვესტ ჰემი", რომელმაც „ბოლტონში" მთავარი და გადამწყვეტი, სეზონის ყველაზე ძალლური და მწარე თამაში წააგო. „ვესტ ჰემმა" ათი კაცით დაასრულა მატჩი. ჯერმენ დეფომ საპასუხო ვერ გაიტანა, საკუთრივ თამაში კი ჯეი-ჯეი ოკოჩას 60-მეტრიანმა გარღვევამ და ზედა კუთხეში ჩაჭედებულმა ბურთმა მოიგო, ამ მოგებით კი „ბოლტონი" 6 ქულით აშორდა „ვესტ ჰემს", რაც იმას ნიშნავს, რომ გლენ რიოდერი პირველი დივიზიონის ბილეთს იღებს.

„ოლდ ტრეფორდზე" კი კვლავ გაილაღა პოლ სქოულზმა, რომელმაც 2 გოლი შეუგდო „ბლექბერნს" და ერთ კვირაში 5 გატანილი გამოუვიდა. სქოულზი მადრიდის „რეალთან" ორი ყვითლის გამო ვერ ითამაშებს, „ბლექბერნი" კი ძნელად წასაქცევი გუნდია, რადგან ამ სეზონში „მანჩესტერს" ერთი მოუგო, „არსენალს" კი ორივე. მასპინძელთა სათადარიგო მეკარე რიკარდომ ჯერ ენდი კოული წააქცია საჯარიმოში, მერე კი დევიდ დანს პენალტი აუღო. ამ დროს „მანჩესტერი" 2:1-ს იგებდა. სტუმართა თავკაცი გრემ სუნესი იმასაც აცხადებდა, რიკარდო გასაძევებელი იყო და თამაშის მსაჯი დენი დურსოს ლმობიერება ... „მეთოფეებზე" ერთი გოლით მეტი გავიტანეთ ამ ტურში — თქვა ალექს ფერგიუსონმა — ეს კარგია. საქმე კი იქეთ მიდის, რომ ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა.

ტრავმებით ტანჯულმა „არსენალმა" კი კლასით გატეხა „ბორო" და სილვენ ვილტორდის და ტიერი ანრის საჯარიმო დარტყმით მოიგო.

ყველაზე დიდი ამბავი კი მაინც „გუდისონ პარკზე" იყო, სადაც „ევერტონი" „ლივერპულს" მასპინძლობდა და ცხრილშიაც ერთი ქულით უსწრებდა. ლურჯებს 1997 წლის შემდეგ არ მოუგიათ წითლებისთვის მშობლიურ სტადიონზე და თავიდან ეგებ დაწინაურებულიყვნენ კიდეც კევინ კემპბელს რომ მეტი მარიფათი გამოეჩინა, მაგრამ ანგარიში მაინც მაიკლ ოუენმა გახსნა დაბალი დარტყმით. მერე დევიდ ანსუორთმა გარი ნეისმიტის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაათანაბრა. თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე დენი მერფიმ „ლივერპული" დააწინაურა, თუმც ეს აღწერილობა სრულიადაც ვერ გამოხატავს თამაშის განწყობას. ბოლო წუთებზე „ევერტონი" ცხრა კაცით იბრძოდა, დევიდ ვეირი და ნეისმიტი ყვითელ-წითელი ბარათებით გაიდნენ მოედნიდან, ჟერარ ულიეს სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა, „ლივერპულმა" „ევერტონს" გადაუსწრო.

ყველასთვის მოულოდნელად უმენეჯერო „ფულემმა" „ნიუკასლს" მოუგო, გამარჯვების სულისჩამდგმელმა, დროებითმა მწვრთნელმა კრის კოულმენმა კი უარყო კლუბის მენეჯერად დადგომის შესაძლებლობა, ეს თანამდებობა არ მაინტერესებსო.

არავინ იცის, რა მოხდება დარჩენილ ოთხ ტურში. „მიდლსბროს" მენეჯერმა სტივ მაკლარენმა თქვა: „ოთხი წლის წინათ, მანჩესტერში ვმუშაობდი და მაშინაც ასე იყო. ხუთი ტური რჩებოდა. რის მოგებასაც ჩაიფიქრებდი, ვერ იგებდი. ფრე გეგონა და იმარჯვებდი. არსენ ვენგერს ველაპარაკე და მანაც თქვა, რომ სეზონის ბოლომდე მრავალ მოულოდნელობას ელის".

**ირაკლი ბამყრელიძე**

## პირველი დივიზიონი

### XLIII ტური

**დერბი ქაუნთი 1:0 ქოვენთრი**

1:0 არვანელი (62)
დერბი ქაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი, რიჩი, მუნი (ბოლდერი 67), ჯექსონი, მილსი, კ. ბარლი, ლი (ვალაკარი 85), ბოერტიენი, ძინძლაძე, რავანელი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
23 921 მაყურებელი

**ბრედფორდი 2:1 უოტფორდი**

1:0 იორგენსენი (13), 1:1 ჰელგუსონი (41), 2:1 გრეი (43)

**ბარნსლი 2:0 ჯილინგემი**

1:0 ტეილორი (28), 2:0 დიალო (50)

**კრისტალ პალასი 0:0 როტერჰემი**

**ლესტერი 2:0 ბრაიტონი**

1:0 იზეტი (10), 2:0 სტიუარტი (45)

**პრესტონი 2:0 შეფილდ იუნ.**

1:0 ეტუჰუ (61), 2:0 ლუისი (87)

**შეფილდ უენსდი 0:0 გრიმსბი**

**სტოკი 2:1 უიმბლდონი**

1:0 გუნარსონი (29), 2:0 აკინბაი (45), 2:1 შიპერლი (51)

**უოლსოლი 0:0 ნორვიჩი**

**ვულვერჰემპტონი 3:0 მილუოლი**

1:0 ნიუტონი (5), 2:0 კამერონი (78), 3:0 ნიუტონი (80)

**იფსვიჩი 3:0 პორტსმუთი**

1:0 როიზერი (11), 2:0 მილერი (27), 3:0 უკნაგო (30)

**რედინგი 1:0 ნოტინგემი**

1:0 ჰიუზი (74)

## მეორე დივიზიონი

43-ე ტური: ნორთჰემპტონი — სტოკპორტი 0:3; ბრენტფორდი — ქუინზ პარკი 1:2; კარდიფი — კოლჩესტერი 0:3; ქრიუ — სუინდონი 0:1; ჰადერსფილდი — უიგანი 0:0; ლუთონი — ბრისტოლი 2:2; მენსფილდი — ბარნსლი 0:1; ნოტსი — ტრანმერი 0:1; ოლდემი — ჩესტერფილდი 4:0; პიტერბრო — ბლეკპული 1:0; პლიმუთი — პორტ ვეილი 3:0; უიკომბი — ჩელტენემი 1:1

## მესამე დივიზიონი

43-ე ტური: როჩდეილი — ბერი 1:2; როვერსი — კემბრიჯი 3:1; კარლაილი — რაშდენი 1:2; ექსეტერი — ოქსფორდი 2:2; ჰალი — ბორნმუთი 3:1; ლეიტონი — სუონსი 3:1; ლინკოლნი — იორკი 1:0; მაკლსფილდი — დარლინგტონი 1:0; სკანთორპი — ჰარტლპული 4:0; შრიუსბერი — ბოსტონი 1:2; საუთენდი — ტორკი 3:0; კიდერმინსტერი — რექსემი 0:2




REUTERS მიდლსბროდან

მიდლსბრო — არსენალი. ტიერი ანრიმ საჯარიმოთი ისეთი გოლი გაიტანა, ლამის მასპინძელთა ქომაგებმაც ტაში დასცხეს

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXXV ტური

### ნიუკასლი 1:1 ასტონ ვილა

1:0 სოლანო (37), 1:1 დაბლინი (69)

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ვუდგეიტი (ბრემბლი 52), ობრაიენი, ბერნარი (ლუა ლუა 73), სოლანო, დაიერი, ა. ჰიუზი, ვიანა, შირერი (ამეობი 74), ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ასტონ ვილა: ენკელმანი, მელბერგი, სტონტონი, იუნსენი, ჯ. სამუელი, ედვარდსი (ი. ტეილორი 33), ჰიცლსპერგერი (დაბლინი 65), ლეონარდსენი, ბერი (უიტინგემი 46), ოლბოკი, ვასელი

მწვრთნელი: გრემ ტეილორი

გაფრთხილება: ბერი

მსაჯი: უინტერი

52 015 მაყურებელი

### ჩელსი 4:1 ევერტონი

1:0 გუდიონსენი (25), 2:0 ჰასელბაინკი (48), 3:0 გრონკიაერი (62), 3:1 კარსი (77), 4:1 ძოლა (90)

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, დესაი, ტერი, გალასი, გრონკიაერი (ლე სო 87), ეპეტი, ლამპარდი, დე ლუკასი, გუდიონსენი (ჯ. კოული 84), ჰასელბაინკი (ძოლა 81)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ევერტონი: რ. რაიტი, იობო (გრავესენი 52), ვეირი, სტაბსი, ანსუორთი (ჰაიბერტი 52), ნეისმიტი, ჯემილი, ტიე (დ. ფერგიუსონი 78), კარსლი, კ. კემპბელი, რუნი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: დე ლუკასი, გრავესენი

მსაჯი: რაილი

40 875 მაყურებელი

### ლივერპული 2:1 ჩარლტონი

0:1 ბარტლეტი (47), 1:1 ჰიიპია (86), 2:1 ჯერარდი (90)

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, რიისე, დიუფი (შეირუ 74), ჰამანი, ჯერარდი, დენი მერფი (შმიცერი 74), ოუენი, ჰესკი (ბაროში 46)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, რუფუსი, ფორტუნი, კ. პაუელი, კიშიშევი, კ. იენსენი, პარკერი (ჯ. რობინსონი 83), კონჩესკი, ბარტლეტი (იუელი 77), ლისბი (ჯ. იოჰანსონი 90)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: ფორტუნი

მსაჯი: დანი

42 010 მაყურებელი

### ვესტ ბრომვიჩი 2:3 ტოტენჰემი

1:0 დიჩიო (24), 1:1 კინი (45), 2:1 კლემენტი (61), 2:2 შერინგემი (63), 2:3 კინი (85)

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, გრეგანი, უოლვორკი, სიგურდსონი, ბალიში, უდეზე (კლემენტი 58), მაკინსი, ე. ჯონსონი, კუმასი, დიჩიო (დობი 69), რობერტსი

მწვრთნელი: გარი მეგსონი

ტოტენჰემი: კელერი, კინგი, ე. გარდნერი, რიჩარდსი (პერი 84), კარი, ეზერინგტონი, ბუნიევჩევიჩი, ს. დევისი, ტოდა (პოიეტი 46), შერინგემი, რობი კინი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

გაფრთხილება: სიგურდსონი, რობერტსი, გარდნერი, რიჩარდსი

მსაჯი: დოუდი

26 899 მაყურებელი

### ბირმინგემი 3:2 საუთჰემპტონი

0:1 ა. სვენსონი (26), 1:1 დიუგარი (75), 1:2 ორმეროდი (77), 2:2 ჰიუზი (79), 3:2 დიუგარი (82)

ბირმინგემი: ბენეტი, კენა (დევლინი 64), კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი (ჯონი 79), სევიჯი, კლემენსი (ლაზარიდისი 54), ბ. ჰიუზი, ჰორსფილდი, დიუგარი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ტელფერი (ტესემი 85), ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ფ. ფერნანდესი (ჰიგინბოთემი 76), ოკლი, ა. სვენსონი, პრატონი, ბიტი, დელაპი (ორმეროდი 46)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: ბრიჯი, ტელფერი

მსაჯი: ბენეტი

29 115 მაყურებელი

# ძნელი და უმადური საქმე



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლი — ასტონ ვილა. ალან შირერის გუნდი ბოლო ხანს ვერც უსისხლოდ იგებს და ვერც სისხლით

### ვესტ ჰემი 1:0 მიდლსბრო

1:0 სინკლერი (77)

ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მ. ჯონსონი, პირსი, რეპკა, ბრევეტი, ლომასი, ჯ. კოული, ესისუ, ტ. სინკლერი, ლ. ფერდინანდი, დეფო

მწვრთნელი: გლენ რიოდერი

მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, კედრუ (სტოკდეილი 53), გრინინგი, ბოატენგი, უილკშირი, ჟუნინიო პაულისტა (ჟობი 46), კრისტი (რიკეტსი 72), მაკარონე

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ბრევეტი, კედრუ, გრინინგი

მსაჯი: ვაილი

35 019 მაყურებელი

### ბლექბერნი 0:0 ბოლტონი

ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, ბერგი (მარტინ ტეილორი 55), შორტი, გრეშკო, დ. დანი, თუგაი, ფლიტკროფტი, დაფი, ა. შუქური, ენდი კოული

მწვრთნელი: გრემ სუნესი

ბოლტონი: ისკელაინენი, რ. გარდნერი, ბერგსონი, ლავილი, ნგოტი, ფრანდსენი (ნოლანი 84), კამპო, ჯორკაეფი (ანდრე 60), მენდი, პედერსენი, ოკოჩა

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: დაფი, კოული, ლავილი, კამპო, მენდი

მსაჯი: დინი

28 862 მაყურებელი

### მანჩესტერ სიტი 3:0 სანდერლენდი

1:0 ფოე (36), 2:0 ფაულერი (38), 3:0 ფოე (80)

მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, რ. დანი (ბელმადი 40), დისტინი, სომეილი, ნ. იენსენი, ფოე, ჟ. ბარტონი, ბენარბია, რაიტ-ფილიპსი, ანელკა, ფაულერი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

სანდერლენდი: პოომი, დ. უილიამსი, მაკკარტნი, კრადოკი, გრეი, კაილი (პროქტორი 61), არკა (დიკმენი 46), ტორნტონი, კილბეინი, ფილიპსი, მ. სტიუარტი (ფლო 61)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

გაფრთხილება: მაკკარტნი

მსაჯი: ბარბერი

34 357 მაყურებელი

### ლიდსი — ფულემი

*დღეს გაიმართება*

**ამ ინგლისელებს** რას გაუგებ: 29 დეკემბერს რომ ტურია და მერე პირველ იანვარსაც თამაშობენ, აღარ გაგიკვირდება, რომ შაბათის მერე გუშინაც ტური ჰქონდათ. ვერ გაუგებ, მაგრამ მიჩვეული ხარ და აღარ გიკვირს. ხოლო სანამ ამ ბოლო ტურის ამბებს ვიტყოდეთ, ერთი აბზაცი ქვედა დივიზიონების ცხრილების გარჩევას დავუთმოთ.

მაშ, ასე: პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში „პორტსმუთის" კვალდაკვალ აღზევდა „ლესტერი", ხოლო მეორეში დაქვეითდნენ „შეფილდ უენსდი" და „გრიმსბი". მეორე დივიზიონიდან პირველში აცოცდა „უიგანი". დაღმა მესამეში კი „ნორთჰემპტონი" ჩავიდა. მესამედან მეორეში გადავიდნენ გრძელი სახელის მქონე „რაშდენ ენდ დაიმონდსი" და ცხონებული სერ სტენლი მეტიუზის „პორტ ვეილი". ჯერჯერობით, ინგლისური მიდი-მოდი სულ ესაა, უფრო დაბალ ლიგებში კი რა ხდება, ინგლისელებთან ბოდიში და ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს.

ახლა მთავარ საქმეზე გადავიდეთ და ჯერ ის ვთქვათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „არსენალს" არ უთამაშიათ, ანუ ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები შაბათ საღამოს როგორც დავტოვეთ, ისევე არიან. მაგრამ გასარკვევი განა მხოლოდ ეს არის — ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მესამე და მეოთხე ადგილებისთვის ისეთი თავპირისმტვრევაა, მტრისას. „ჩელსი", „ნიუკასლი", „ლივერპული" — ამათგან ერთი ზედმეტია, მაგრამ რომელი?

„ნიუკასლი" სულ ახლახან ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ოთხეულიდან გავარდნა თუ დაემუქრებოდა, ვინ წარმოიდგენდა. „კაჭკაჭებმა" ზედიზედ სამი თამაში წააგეს, გუშინ კი ფრესლა გამორჩნენ „ასტონ ვილასთან" და აბა, რა დაემართებოდათ. სისხლიანი თამაში იყო. მასპინძელთა კაპიტანი ალან შირერი და ვილელი გარეთ ბერი თავებით შეასკდნენ და სისხლმაც იფეთქა. იქამდე ნოლბერტო სოლანოს გაეტანა საჯარიმო დარტყმით, სისხლის დაღვრის მერე კი შეცვლაზე შესულმა დიონ დაბლინმა პირველივე შეხებით გაათანაბრა. ჯორდთა მენეჯერმა ბობი რობსონმა კი თქვა: „ოთხი ტურის წინ ვამბობდი, სამი მოგება და ერთი ფრე გვჭირდებაო. ჩვენ კი მხოლოდ ერთი ფრეს გამოვრჩით. პრემიერლიგაში რამეს დაგეგმვა, ძნელი და უმადური საქმეა. ახლა დარჩენილი სამივე თამაში თუ ვერ მოვიგეთ, საქმე ცუდად წაგვივა, ჩემპიონთა ლიგის მიღმა აღმოვჩნდებით".

ფარსაგი რამ შეემთხვა „ევერტონს". შაბათს ხომ ლივერპულურ დერბიში წააგო, ახლა „ჩელსისთან" დამარცხდა და ოთხეულში შეძრომის შანსიც ფაქტობრივად დაკარგა. ისე, ევერტონელებს ნუგეშად ის თუ გამოადგებათ, „ჩელსისთვის" რომ მოეგოთ, ოთხეულში ახლა „ლივერპული" იქნებოდა.

„ევერტონის" დაცვას თავიდანვე დაეტყო, რომ აჭრილი იყო, თუმცა ლონდონელებმა შესვენებამდე მხოლოდ ერთხელ დაალონეს რიჩარდ რაიტი. ბებერმა ჯანფრანკო ძოლამ კი მეოთხე მაშინ გაიტანა, როცა 90 წუთს ოთხიც გადასცდა.

გამარჯვებულთა იტალიელმა მენეჯერმა კლაუდიო რანიერიმ, გაქცეულს რომ ძლივს მოაბრუნებს ისეთი ინგლისურათ თქვა, ჯერ რა გვიხარია, წინ ორი ლონდონური დერბი გვაქვს, „ვესტ ჰემთან" და „ფულემთან", ბოლო ტურში კი „ლივერპულს" ვხვდებით და ჩვენი სალიგო ამბავიც იქ გადაწყდებაო. თუმცა „ევერტონი" რომ დავამარცხეთ, ცხადია, ვამაყობთო.

რანიერის ნახსენები ბოლო ტურის მატჩი ეგებ არაფრის მომცემიც გამომდგარიყო, „ლივერპულს" ბოლო წუთებზე რომ ვერ ემარჯვა „ჩარლტონთან", რაკი თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე აგებდა. „ჩარლტონი", რომელსაც წინა ხუთი თამაშიდან ოთხი წაეგო, შონ ბარტლეტის გოლით დაწინაურდა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე. ეს გოლი ჯიმი ტრაორეს შეცდომას მოჰყვა. და თუ რისი წყალობით მოახერხეს სემი ჰიიპიამ და სტივენ ჯერარდმა სამი ქულის გადარჩენა, მათ მენეჯერ ჟერარ ულიეს დავეკითხოთ: „კარგად არ გვითამაშია, ბევრი წუნი გვქონდა, მაგრამ მონდომებით და შეუპოვრობით ჩვენსას მაინც მივაღწიეთ".

**ირაკლი ნინიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 35 | 22 | 8 | 5 | 66:32 | 34 | 74 | 18 | 15 | 2 | 1 | 38:11 | 27 | 47 | 17 | 7 | 6 | 4 | 28:21 | 7 | 27 |
| 2 არსენალი | 34 | 21 | 8 | 5 | 71:36 | 35 | 71 | 17 | 14 | 2 | 1 | 39:16 | 23 | 44 | 17 | 7 | 6 | 4 | 32:20 | 12 | 27 |
| 3 ჩელსი | 35 | 18 | 9 | 8 | 65:35 | 30 | 63 | 17 | 11 | 4 | 2 | 38:13 | 25 | 37 | 18 | 7 | 5 | 6 | 27:22 | 5 | 26 |
| 4 ნიუკასლი | 35 | 19 | 5 | 11 | 59:46 | 13 | 62 | 18 | 14 | 2 | 2 | 35:17 | 18 | 44 | 17 | 5 | 3 | 9 | 24:29 | -5 | 18 |
| 5 ლივერპული | 35 | 17 | 10 | 8 | 53:37 | 16 | 61 | 18 | 9 | 8 | 1 | 29:14 | 15 | 35 | 17 | 8 | 2 | 7 | 24:23 | 1 | 26 |
| 6 ევერტონი | 35 | 16 | 8 | 11 | 45:44 | 1 | 56 | 17 | 10 | 5 | 2 | 25:16 | 9 | 35 | 18 | 6 | 3 | 9 | 20:28 | -8 | 21 |
| 7 ბლექბერნი | 35 | 14 | 11 | 10 | 44:40 | 4 | 53 | 18 | 9 | 6 | 3 | 23:14 | 9 | 33 | 17 | 5 | 5 | 7 | 21:26 | -5 | 20 |
| 8 ტოტენჰემი | 35 | 14 | 8 | 13 | 50:51 | -1 | 50 | 17 | 9 | 4 | 4 | 30:23 | 7 | 31 | 18 | 5 | 4 | 9 | 20:28 | -8 | 19 |
| 9 საუთჰემპტონი | 34 | 12 | 12 | 10 | 40:38 | 2 | 48 | 18 | 9 | 7 | 2 | 25:16 | 9 | 34 | 16 | 3 | 5 | 8 | 15:22 | -7 | 14 |
| 10 სიტი | 35 | 14 | 6 | 15 | 45:51 | -6 | 48 | 17 | 9 | 2 | 6 | 28:24 | 4 | 29 | 18 | 5 | 4 | 9 | 17:27 | -10 | 19 |
| 11 მიდლსბრო | 35 | 12 | 10 | 13 | 42:38 | 4 | 46 | 18 | 9 | 7 | 2 | 31:20 | 11 | 34 | 17 | 3 | 3 | 11 | 11:18 | -7 | 12 |
| 12 ჩარლტონი | 35 | 13 | 7 | 15 | 42:50 | -8 | 46 | 17 | 7 | 3 | 7 | 24:28 | -4 | 24 | 18 | 6 | 4 | 8 | 18:22 | -4 | 22 |
| 13 ბირმინგემი | 35 | 12 | 8 | 15 | 36:45 | -9 | 44 | 17 | 7 | 4 | 6 | 20:21 | -1 | 25 | 18 | 5 | 4 | 9 | 16:24 | -8 | 19 |
| 14 ასტონ ვილა | 35 | 11 | 9 | 15 | 39:42 | -3 | 42 | 18 | 10 | 2 | 6 | 24:14 | 10 | 32 | 17 | 1 | 7 | 9 | 15:28 | -13 | 10 |
| 15 ფულემი | 34 | 11 | 8 | 15 | 37:47 | -10 | 41 | 18 | 10 | 3 | 5 | 24:18 | 6 | 33 | 16 | 1 | 5 | 10 | 13:29 | -16 | 8 |
| 16 ბოლტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 36:48 | -12 | 39 | 17 | 6 | 7 | 4 | 22:21 | 1 | 25 | 18 | 3 | 5 | 10 | 14:27 | -13 | 14 |
| 17 ლიდსი | 34 | 11 | 5 | 18 | 48:51 | -3 | 38 | 16 | 5 | 3 | 8 | 18:22 | -4 | 18 | 18 | 6 | 2 | 10 | 30:29 | 1 | 20 |
| 18 ვესტ ჰემი | 35 | 8 | 11 | 16 | 38:57 | -19 | 35 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:24 | -4 | 19 | 17 | 4 | 4 | 9 | 18:33 | -15 | 16 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 35 | 6 | 6 | 23 | 26:56 | -30 | 24 | 17 | 3 | 4 | 10 | 15:26 | -11 | 13 | 18 | 3 | 2 | 13 | 11:30 | -19 | 11 |
| 20 სანდერლენდი | 35 | 4 | 7 | 24 | 21:59 | -38 | 19 | 17 | 3 | 2 | 12 | 11:26 | -15 | 11 | 18 | 1 | 5 | 12 | 10:33 | -23 | 8 |

### XXXVI ტური

26 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | — | მიდლსბრო |
| ვესტ ბრომვიჩი | — | ლივერპული |
| ბოლტონი | — | არსენალი |
| ჩარლტონი | — | საუთჰემპტონი |
| ჩელსი | — | ფულემი |
| ევერტონი | — | ასტონ ვილა |
| ლიდსი | — | ბლექბერნი |
| მანჩესტერ სიტი | — | ვესტ ჰემი |
| სანდერლენდი | — | ნიუკასლი |
| ტოტენჰემი | — | მანჩესტერი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 22 |
| ანრი (არსენალი) | 22 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 20 |
| შირერი (ნიუკასლი) | 17 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 15 |
| ოუენი (ლივერპული) | 15 |

## პირველი დივიზიონი

### XLIV ტური

### უოტფორდი 2:0 დერბი ქაუნთი

1:0 ჩოპრა (18), 2:0 ერდლი (85)

დერბი ქაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი (მუნი 46), რიჩი, მილსი, ჯექსონი, ვალაკარი (ლი 73), კ. ბარლი, ბოლდერი (მიურეი 54), ბოერტიენი, ქინქლაძე, რავანელი

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

11 909 მაყურებელი

### ბრაიტონი 1:1 შეფილდ უენსდი

0:1 ჰოლტი (16), 1:1 ზამორა (57)

### ქოვენთრი 0:1 სტოკი

0:1 მონტგომერი (57ს.კ.)

### ჯილინგემი 1:0 ბრედფორდი

1:0 შოუ (29)

### გრიმსბი 0:1 უოლსოლი

0:1 ჟუნიორი (47)

### მილუოლი 3:2 კრისტალ პალასი

0:1 ფრიდმენი (22), 1:1 ჰარისი (39), 2:1 მაკკამონი (43), 2:2 რობერტსი (49ს.კ.), 3:2 ჩეპილი (74)

### ნოტინგემი 2:0 ბარნლი

1:0 დოუსონი (75), 2:0 ჯონსონი (90)

### პორტსმუთი 3:0 რედინგი

1:0, 2:0 პერიკარი (19, 45), 3:0 ტოდოროვი (71)

### როტერჰემი 2:1 იფსვიჩი

0:1 კუნაგო (31), 1:1 მულინი (85), 2:1 რობინსი (87)

### შეფილდ იუნ. 2:1 ლესტერი

0:1 დინი (4), 1:1, 2:1 ასაბა (15, 90)

### უიმბლდონი 2:0 პრესტონი

1:0, 2:0 შიპერლი (60, 65)

### ნორვიჩი 0:3 ვულვერჰემპტონი

0:1 ნდა (52), 0:2 სტარიჯი (74), 0:3 კ მილერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 44 | 27 | 11 | 6 | 89:43 | 92 |
| ლესტერი | 44 | 26 | 12 | 6 | 71:38 | 90 |
| შეფილდი | 43 | 22 | 10 | 11 | 66:47 | 76 |
| ვულვზი | 44 | 20 | 14 | 10 | 77:40 | 74 |
| რედინგი | 43 | 23 | 4 | 16 | 56:44 | 73 |
| ნოტინგემი | 44 | 20 | 12 | 12 | 77:45 | 72 |
| იფსვიჩი | 44 | 18 | 13 | 13 | 75:58 | 67 |
| ნორვიჩი | 44 | 18 | 11 | 15 | 57:48 | 65 |
| მილუოლი | 44 | 18 | 8 | 18 | 54:66 | 62 |
| უიმბლდონი | 44 | 16 | 11 | 17 | 69:71 | 59 |
| როტერჰემი | 44 | 15 | 13 | 16 | 58:57 | 58 |
| პრესტონი | 44 | 15 | 13 | 16 | 67:68 | 58 |
| ჯილინგემი | 44 | 15 | 13 | 16 | 54:64 | 58 |
| უოტფორდი | 43 | 16 | 9 | 18 | 52:63 | 57 |
| კრ. პალასი | 44 | 13 | 17 | 14 | 57:50 | 56 |
| ბარნლი | 44 | 15 | 10 | 19 | 62:80 | 55 |
| ბრედფორდი | 43 | 14 | 10 | 19 | 51:64 | 52 |
| დერბი | 44 | 15 | 7 | 22 | 52:67 | 52 |
| უოლსოლი | 44 | 14 | 9 | 21 | 53:65 | 51 |
| ქოვენთრი | 44 | 12 | 13 | 19 | 46:60 | 49 |
| სტოკი | 44 | 11 | 14 | 19 | 44:68 | 47 |
| ბრაიტონი | 44 | 10 | 11 | 23 | 43:65 | 41 |
| უენსდი | 44 | 8 | 16 | 20 | 47:70 | 40 |
| გრიმსბი | 44 | 9 | 11 | 24 | 45:81 | 38 |

## მეორე დივიზიონი

44-ე ტური: ბარნსლი — ქრიუ 1:2; ბლეკპული — მენსფილდი 3:3; ჩელტენემი — პიტერბრო 1:1; ჩესტერფილდი — ბრენტფორდი 0:2; კოლჩესტერი — ლუტონი 0:5; პორტ ვეილი — უიკომბი 1:1; ქუინზ პარკი — ნოტსი 2:0; სტოკპორტი — ჰადერსფილდი 2:1; ტრანმერი — ნორთჰემპტონი 4:0; უიგანი — ოლდემი 3:1. *ბრისტოლი — კარდიფი დღეს გაიმართება, სუინდონი — პლიმუთი ხვალ*

## მესამე დივიზიონი

44-ე ტური: ბოსტონი — საუთენდი 1:0; ბორნმუთი — შრიუსბერი 2:1; ბერი — სკანთორპი 0:0; დარლინგტონი — ჰალი 2:0; ჰარტლპული — როჩდეილი 2:2; ოქსფორდი — როვერსი 0:1; რაშდენი — მაკლსფილდი 3:0; სუონსი — ექსეტერი 0:1; ტორკი — ლეიტონი 2:2; რექსემი — კარლაილი 6:1; იორკი — კიდერმინსტერი 0:0. *კემბრიჯი — ლინკოლნი დღეს გაიმართება*

# ალდგომაზე ყველამ უნდა იღიმოს

## იტალია

### სერია A. XXIX ტური

**მილანი 0:1 ემპოლი**

0:1 დი ნატალე (11)
მილანი: დიდა, შელვეგი (ბა 46), ლაურსენი, ნესტა, კოსტაკურტა, ბროკი, ამბროზინი (შევჩენკო 68), სერჟინიო (კალაძე 78), რივალდო, ტომასონი, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ემპოლი: ბერტი, ბელერი, ლუკინი, კრიბარი, პრატალი, ბუშე, ჯამპიერეტი, ვანუკი (კუპი 73), ფიჩინი, დი ნატალე (ტავანო 86), როკი (ბორიელო 73)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გართხილება: ჯამპიერეტი, ლაურსენი
გაძევება: პრატალი (70)
მსაჯი: მესინა
55 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:1 რომა**

1:0, 2:0 დელ პიერო (30პ, 39), 2:1 მონტელა (43)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, ტუდორი, ბირინდელი, კამორანეზი (კონტე 87), ზაკინარდი, დავიდსი, ნედვედი (პესოტო 75), დელ პიერო, დი ვაიო (ოლივერა 79)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
რომა: პელიცოლი, პანუჩი, ძებინა, ალდაირი (დელასი 85), კუფრე (ა. კასანო 70), ტომაზი, ემერსონი, დაკური, ლიმა, ტოტი, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ბირინდელი, ტომაზი, ტუდორი, კამორანეზი, დაკური, ტოტი, ლიმა
მსაჯი: პელეგრინო
42 592 მაყურებელი

**ბრეშა 0:1 ინტერი**

0:1 კრესპო (90)
ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, ბილიკა, პიზანო (ტარე 42), შოპი (მარეკო 67), აპია, მატუზალემი, სერიჩი (დელ ნერო 79), რ. ბაჯო, ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, გამარა, მატერაცი, პასკუალე, ს. კონსეისაუ (ადანი 45), კ. ძანეტი, დალმა, ემრე, რეკობა (კრესპო 80), ბატისტუტა (ვიერი 46)
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
გაფრთხილება: პიზანო, ტონი, სერიჩი, პასკუალე, აპია
გაძევება: კ. ძანეტი (34), ვიერი (63), ბილიკა (63)
მსაჯი: ფარინა
23 000 მაყურებელი

**ლაციო 2:1 პიაჩენცა**

0:1 დე ჩეზარე (45), 1:1 ინძაგი (60), 2:1 კორადი (73)
ლაციო: მარკეჯანი, ოდო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (კ. ლოპესი 57), ჯანიკედა (ლივერანი 59), დ. სტანკოვიჩი, სეზარი, კორადი, ს. ინძაგი (ლაზეტიჩი 81)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პიაჩენცა: ორლანდონი, კამპანარო, მანგონე, აბატე (ფერარეზე 80), კრისტანტე, დი ფრანჩესკო, ბაიოკო, მარესკა (პატრასკუ 59), მარკიონი (ძერბინი 85), გურენკო, დე ჩეზარე
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, მანგონე, კრისტანტე, ფავალი
მსაჯი: დონდარინი
20 000 მაყურებელი

**პარმა 1:0 ტორინო**

1:0 მუტუ (75პ)
პარმა: ფრეი, ბონერა, კარდონე, მ. ფერარი, ჟუნიორი, ნაკატა (ჯილარდინო 71), ლამუში, ბარონე (მატეო ბრიგი 71), ე. ფილიპინი (ბრეშიანო 71), ადრიანო, მუტუ
მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი
ტორინო: სორენტინო, დელი კარი, ფატორი, გალანტე, მეცანო, კომოტო (ლ. გარსია 76), დე აშენტისი, დონატი (ომოლადე 84), პ. კასტელინი, კ. ლუკარელი (სომეზე 46), ფერანტე
მწვრთნელი: ლუიჯი ფერი
გაფრთხილება: მეცანო, კასტელინი
მსაჯი: კასტელანი
12 000 მაყურებელი

**კიევო 2:1 რეჯინა**

1:0 კოსატო (24), 1:1 კოსატო (41ს.კ.), 2:1 ლეგროტალიე (73)
კიევო: ამბროზიო, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა, ლუსიანო (დელა მორტე 57), კორინი, ნალისი, დ. ფრანჩესკინი (ბიალანოვიჩი 61), ფ. კოსატო, პელისიერი (დე ფრანჩესკი 79)
მწვთნელი: ლუიჯი დელ ნერი
რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ვარგასი (სავოლდი 81), ტორიზი, დიანა, კოცა, პარედესი (ბოგდანი 89), მოცარტი, ფალზინი, ბონაცოლი, დი მიკელე
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ლანა, დიანა, ლეგროტალიე, დანა, კორინი, მოცარტი, დე ფრანჩესკი
მსაჯი: გაბრიელე
11 804 მაყურებელი

**მოდენა 3:2 ბოლონია**

1:0 კამარა (14), 1:1, 1:2 სინიორი (20, 46), 2:2, 3:2 სკული (73, 85)
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, უნგარი, პონცო (ჯ. ფერარი 71), მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (სკული 52), დ. კამარა (კამპედელი 77), ვინიაროლი
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ფალკონე, პარამატი, მ. კასტელინი, ნერვო (ბელუჩი 87), ოლივე, კ. ამორუზო (დელა როკა 90), ვანოლი, ლოკატელი (ლ. კოლუჩი 77), სინიორი, ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კამარა
გაძევება: კამპედელი (90)
მსაჯი: კოლინა
17 000 მაყურებელი

**უდინეზე 3:2 კომო**

1:0 იანკულოვსკი (42), 1:1 პეკია (57), 1:2 მუსიჩი (59), 2:2 პინცი (72), 3:2 იაკინტა (87)
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, კროლდრუპი, თ. მანფრედინი (ფელიპე 59), იანკულოვსკი, პინცი, დ. პიზარო, პიერი (ჯემიტი 72), მუცი (ვარლეი (72), იორგენსენი, იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
კომო: ფერონი, გრეგორი, სტელინი, ჟუარესი (კარბონე 46), ტომაში, ალეგრეტი (პეკია 46), კორენტი, კოე, მუსიჩი (კიგარდი 88), კაჩა, ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
გაფრთხილება: იანკულოვსკი, პეკია
გაძევება: კარბონე (88)
მსაჯი: საკანი
15 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:0 ატალანტა**

1:0 პალიუკა (80)
პერუჯა: კალაჩი, დი ლორეტო, ფიალი, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბლაზი, გროსო, მიკოლი, კარაჩოლო (ვრიზასი 71), ბერეტონი (ლ. პალიუკა 55)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ატალანტა: ტაიბი, სივილია, ნატალი, სალა, გაუტიერი (ფოლიო 68), დაბო (პინარდი 80), დონი, დ. ძენონი, ძაური, როსინი, ინაჩიო პია (ვუგრინეცი 70)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ძენონი, ძაური, სივილია, როსინი, კარაჩოლო, ნატალი
მსაჯი: დე სანტისი
7 000 მაყურებელი



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — რომა. ნედვედის მონადირებული პენალტი დელ პიერომ გაიტანა

„ჩინებული მატჩი იყო, კარგად ვითამაშეთ. „იუვემ" გოლები ოსტატურად გაგვიტანა, შედეგს ხელს ვაწერთ, ვაღიარებთ, მიუხედავად იმისა, რომ „რომა" ალბათ მეტს იმსახურებდა. პენალტამდე მოწინააღმდეგეს ვჯობდით, თამაშის ბოლოს კი აშკარად დავიღალეთ. ეს ბუნებრივი გახლდათ, რადგან რამდენიმე დღის წინ თასზე „ლაციოსთან" გადაგვხდა დიდი ბრძოლა" — განაცხადა ტურის მთავარი მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში დიდი ეჭვი „იუვენტუსის" პირველმა გოლმა, პაველ ნედვედის დავარდნის გამო დანიშნულმა პენალტმა გამოიწვია. მრავალთა აზრით, საჯარიმოში შევარდნილმა და ორი მცველის გარემოცვაში აღმოჩენილმა ჩეხმა ხელსაყრელი წამით ისარგებლა და თეატრალურად წაიქცა.

„მსაჯმა მეტ-ნაკლებად ნორმალურად გაართვა შეხვედრას თავი — განაგრძო კაპელომ — იგი იღებდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც სწორად მიაჩნდა. მეორე მხრივ, ვიდეოჩანაწერი თავისას მეტყველებს".

თვალშისაცემი იყო ის, რომ „რომას" თავკაცი მთელი მატჩის განმავლობაში ირონიულად იღიმებოდა. იცინა მაშინაც, როდესაც დაინახა, რომ მეოთხე მსაჯმა შეხვედრას მხოლოდ სამი წუთი დაამატა — ახლა ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაშია და ყველაფერს გამძაფრებული ყურადღება ექცევა — წინა ტურში, როდესაც „იუვენტუსი" „ბოლონიას" ხვდებოდა და ანგარიში გასათანაბრებელი ჰქონდა, თამაშს ხუთი წუთი დაამატეს. შედეგად ტურინელებმა გაათანაბრეს კიდეც.

„სიცილსა და სიბრაზეს შორის უპირატესობას პირველს ვანიჭებ — განმარტა მაესტრომ — აღდგომაზე ყველა უნდა იღიმოდეს".

და ბოლოს: „ფაქტია, რომ ჩვენთან თამაშის დროს ნებისმიერი გუნდი წინააღმდეგობებს აწყდება. დღეს „იუვესაც" გაუჭირდა, „იუვე" კი კარგი გუნდია და ჩინებულ ფეხბურთს თამაშობს".

პენალტი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ალესანდრო დელ პიერომ დაარტყა. „იუვეს" მეორე გოლიც ნედვედისა და დელ პიეროს წყვილმა შექმნა. ამჯერად საეჭვო არაფერი ყოფილა: ჩეხმა მარჯვნიდან შეუტია და მოზომილად ჩააწოდა კარის გასწვრივ, სადაც დელ პიერომ უხელთა ბურთს და ლამაზად შეაგდო.

„ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ, — თქვა „ბებერი ქალბატონის" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბრწყინვალე გუნდი დავამარცხეთ. დღეს „რომა" სერია A-ს გუნდებიდან ყველაზე კარგ ფორმაშია. მან საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნა, ჩვენ კი ასეთ გადამწყვეტ ჟამს თავდადებით და შეუპოვრობით თუ მოვიპოვებდით სამ ქულას. ჩვენი ვარსკვლავებიდან ზოგი ნელა უბრუნდება ჩვეულ ფორმას. დელ პიერომ უკვე შეძლო ჩინებულად თამაში, მარკო დი ვაიომ კი საჭირო სიღრმე შემატა ჩვენს თამაშს. ახლა იმ ფაზაზე ვართ, რომ სხვათა შედეგების ლოდინი არაფრად გვჭირდება. ბიჭები მთელი სეზონის განმავლობაში მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ესა თუ ის წამყვანი ფეხბურთელი შავდებოდა და გვაკლდებოდა".

და ბოლოს, ისე როგორ იქნებოდა, ლიპისთვის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალზე არ ეკითხათ. წინ ხომ „კამპ ნოუზე" „ბარსელონასთან" თამაშია:

„ჩავალთ ესპანეთში, რათა შემორჩენილ ძალათა ასი პროცენტი გავიღოთ. ამწუთას ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ შემადგენლობას ვათამაშებ, ყველაფერი მოთამაშეების ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული".

რომაელთაგან ერთი საპასუხო გოლი ვინჩენცო მონტელამ შეაგდო. ეს „იუვეს" მეორე გოლიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ მოხდა. ბოლოხანს ჩინებულად ათამაშებულმა თავდამსხმელმა ამ ეპიზოდში ტურინელ მცველთა შეცდომით ისარგებლა.

რაც შეეხებათ „იუვენტუსის" მდევრებს, „ინტერმა" ბრეშაში მოიგო.

„ცოტა არ იყოს გაგვიმართლა — აღიარა შავლურჯების მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა — ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ იბრძოლა გუნდმა სამი ქულისთვის, ფსიქოლოგიური ზეწოლა ის პრობლემაა, რომელიც მთელი სეზონი გვსდევს თან. გაბრიელ ბატისტუტა იმიტომ ვათამაშე, რომ პრინციპულ შეხვედრებში განსაკუთრებით მობილიზებულია, დანარჩენები კი ჩემპიონთა ლიგისთვის დავასვენე".

ამ შეხვედრაში „ბრეშას" თექვსმეტმატჩიანი წაუგებელი სერია დაუსრულდა. იყო ვნებათაღელვაც: 33-ე წუთზე მილანელმა კრისტიანო ძანეტიმ ლუკა ტონის წინააღმდეგ იუხეშა, რისთვისაც, რომ არა გადამეტებული პროტესტი, მხოლოდ ყვითელ ბარათს მიიღებდა.

როგორც კუპერმა ახსენა, თავიდან „ბრეშას" კარის დალაშქვრას გაბრიელ ბატისტუტა ლამობდა, მაგრამ ვინაიდან არგენტინელი [illegible] რმაშია, მეორე ტაიმში მის ნაცვლად კრისტიან ვიერი შევიდა მოედანზე — ვიერი შევიდა და გავიდა, რადგან მალევე გააძევეს. ფორვარდმა, რომელმაც წინა ტურში შემთხვევით მილანელ პაოლო მალდინის გაუტეხა ცხვირი, ამჟამად ფაბიო ბილიკას „ურქინა". გაძევებულ ვიერის ინციდენტის მონაწილე ბილიკა უკან მიაყოლეს.

ბოლო წუთებში დიდი ქაოსი ატყდა, რაც 94-ე წუთზე ერნან კრესპოს გოლით დასრულდა.

ხოლო „მილანმა", რომელიც „იუვენტუსის" კიდევ ერთ მდევრად მიიჩნეოდა თუ თეორიულად ჯერ კიდევ მიიჩნევა, წააგო.

„მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „გოლის გაშვების შემდეგ ყველაფერი გართულდა. ჩვენი დიდი შეცდომა თამაშის ასე დაწყება იყო, გვწამდა, რომ „ემპოლის" გადავუვლიდით, მაგრამ მეტოქე უფრო მონდომებული გამოდგა. ჩვენ, პატარა გუნდებთან ხშირად მოგვდის ასე. სამწუხაროდ, ძალიან ჩამოვრჩით, თუმცა ჯერ კიდევ შეგვიძლია წარმატების მიღწევა. ახლა ჩემპიონთა ლიგაზე უნდა ვიფიქროთ. „აიაქსთან" იმედი გვაქვს, რომ პაოლო მალდინი, ფერნანდო რედონდო და მანუელ რუი კოშტა ითამაშებენ".

„ემპოლის" თავკაცმა სილვიო ბალდინიმ კი განაცხადა:

„მოედანზე საუკეთესო ჩვენი მეკარე ჯანლუკა ბერტი იყო. შედეგის ახსნა ძირითადად ამით შეიძლება. კიდევ, ასეთ „მილანს" რომ აჯობო, იღბალი გინდა და არც იმას გამოვრიცხავ, რომ მეტოქეს „აიაქსი" უტრიალებდა თავში".

**ბაპუნა ბედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 29 | 19 | 7 | 3 | 55:21 | 34 | 64 | 14 | 10 | 3 | 1 | 29:8 | 21 | 33 | 15 | 9 | 4 | 2 | 26:13 | 13 | 31 |
| 2 ინტერი | 29 | 18 | 4 | 7 | 56:33 | 23 | 58 | 14 | 10 | 2 | 2 | 30:9 | 21 | 32 | 15 | 8 | 2 | 5 | 26:24 | 2 | 26 |
| 3 მილანი | 29 | 16 | 7 | 6 | 47:22 | 25 | 55 | 15 | 10 | 4 | 1 | 27:10 | 17 | 34 | 14 | 6 | 3 | 5 | 20:12 | 8 | 21 |
| 4 ლაციო | 29 | 13 | 13 | 3 | 50:28 | 22 | 52 | 15 | 6 | 7 | 2 | 28:15 | 13 | 25 | 14 | 7 | 6 | 1 | 22:13 | 9 | 27 |
| 5 პარმა | 29 | 13 | 9 | 7 | 48:31 | 17 | 48 | 15 | 10 | 2 | 3 | 27:15 | 12 | 32 | 14 | 3 | 7 | 4 | 21:16 | 5 | 16 |
| 6 კიევო | 29 | 14 | 5 | 10 | 40:31 | 9 | 47 | 15 | 10 | 2 | 3 | 28:18 | 10 | 32 | 14 | 4 | 3 | 7 | 12:13 | -1 | 15 |
| 7 უდინეზე | 29 | 12 | 7 | 10 | 30:32 | -2 | 43 | 15 | 9 | 5 | 1 | 18:10 | 8 | 32 | 14 | 3 | 2 | 9 | 12:22 | -10 | 11 |
| 8 რომა | 29 | 10 | 9 | 10 | 46:40 | 6 | 39 | 14 | 7 | 5 | 2 | 28:15 | 13 | 26 | 15 | 3 | 4 | 8 | 18:25 | -7 | 13 |
| 9 პერუჯა | 29 | 10 | 9 | 10 | 35:36 | -1 | 39 | 15 | 9 | 3 | 3 | 22:10 | 12 | 30 | 14 | 1 | 6 | 7 | 13:26 | -13 | 9 |
| 10 ბრეშა | 29 | 8 | 13 | 8 | 31:31 | 0 | 37 | 15 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 4 | 21 | 14 | 3 | 7 | 4 | 14:18 | -4 | 16 |
| 11 ბოლონია | 29 | 9 | 10 | 10 | 35:38 | -3 | 37 | 14 | 9 | 2 | 3 | 24:14 | 10 | 29 | 15 | 0 | 8 | 7 | 11:24 | -13 | 8 |
| 12 მოდენა | 29 | 9 | 8 | 12 | 26:41 | -15 | 35 | 15 | 6 | 5 | 4 | 14:15 | -1 | 23 | 14 | 3 | 3 | 8 | 12:26 | -14 | 12 |
| 13 ემპოლი | 29 | 9 | 7 | 13 | 33:41 | -8 | 34 | 14 | 4 | 6 | 4 | 18:18 | 0 | 18 | 15 | 5 | 1 | 9 | 15:23 | -8 | 16 |
| 14 რეჯინა | 29 | 8 | 6 | 15 | 30:47 | -17 | 30 | 14 | 7 | 4 | 3 | 22:16 | 6 | 25 | 15 | 1 | 2 | 12 | 8:31 | -23 | 5 |
| 15 ატალანტა | 29 | 6 | 11 | 12 | 28:42 | -14 | 29 | 14 | 4 | 6 | 4 | 15:17 | -2 | 18 | 15 | 2 | 5 | 8 | 13:25 | -12 | 11 |
| 16 პიაჩენცა | 29 | 6 | 5 | 18 | 30:51 | -21 | 23 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:24 | -6 | 15 | 15 | 2 | 2 | 11 | 12:27 | -15 | 8 |
| 17 კომო | 29 | 3 | 11 | 15 | 25:49 | -24 | 20 | 14 | 2 | 6 | 6 | 17:22 | -5 | 12 | 15 | 1 | 5 | 9 | 8:27 | -19 | 8 |
| 18 ტორინო | 29 | 4 | 7 | 18 | 19:50 | -31 | 19 | 15 | 4 | 3 | 8 | 9:24 | -15 | 15 | 14 | 0 | 4 | 10 | 10:26 | -16 | 4 |

**XXX ტური**

27 აპრილი

იუვენტუსი - ბრეშა
ბოლონია - კიევო
ინტერი - ლაციო
რომა - მილანი
კომო - მოდენა
რეჯინა - პარმა
პიაჩენცა - პერუჯა
ატალანტა - ტორინო
ემპოლი - უდინეზე

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 24 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 15 |
| ტოტი (რომა) | 14 |
| ადრიანო (პარმა) | 14 |
| მუტუ (პარმა) | 14 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 14 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 13 |

## სერია B

### XXXI ტური

**ასკოლი 2:1 ლივორნო**

1:0 მენდილი (61), 1:1 საველინო (86), 2:1 ბრუნო (90)

**კოზენცა 0:0 ანკონა**

**ჯენოა 0:2 სამპდორია**

0:1 ჟივკოვიჩი (8), 0:2 კონტე (45)

**ლეჩე 1:1 ნაპოლი**

0:1 დიონიჯი (35), 1:1 კამორანი (76)

**მესინა 2:2 კალიარი**

0:1 ესპოზიტო (36), 1:1 ამაური (45), 1:2 ლანგელა (84), 2:2 პორტანოვა (85)

**პალერმო 3:3 კატანია**

0:1 მარტუშელო (11), 1:1 ასტა (32), 1:2 ოლივეირა ბაროსი (53), 2:2 ძაული (55), 3:2 მანიერო (60), 3:3 მარტუშელო (68)

**სალერნიტანა 1:2 ბარი**

1:0 სტენდარდო (14), 1:1 კორდოვა (18), 1:2 დე როზა (61)

**სიენა 0:1 ტერნანა**

0:1 ბორგობელო (41)

**ტრიესტინა 3:1 ვერონა**

1:0 ფერი (35), 2:0 ფავა (65), 2:1 დოსენა (70), 3:1 ფავა (90)

**ვიჩენცა 2:1 ვენეცია**

0:1 მანჩინი (10), 1:1 შოკი (41პ), 2:1 ძანკეტა (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 31 | 15 | 12 | 4 | 45:24 | 57 |
| ანკონა | 31 | 14 | 11 | 6 | 45:31 | 53 |
| სიენა | 31 | 13 | 14 | 4 | 34:22 | 53 |
| ვიჩენცა | 31 | 13 | 11 | 7 | 47:37 | 50 |
| ტერნანა | 31 | 13 | 10 | 8 | 36:27 | 49 |
| ლეჩე | 31 | 11 | 16 | 4 | 35:27 | 49 |
| ტრიესტინა | 31 | 13 | 8 | 10 | 42:35 | 47 |
| პალერმო | 31 | 11 | 11 | 9 | 36:35 | 44 |
| ლივორნო | 31 | 11 | 10 | 10 | 38:30 | 43 |
| კალიარი | 31 | 10 | 11 | 10 | 36:39 | 41 |
| ასკოლი | 31 | 11 | 7 | 13 | 39:40 | 40 |
| მესინა | 31 | 9 | 12 | 10 | 44:46 | 39 |
| ვერონა | 31 | 9 | 11 | 11 | 36:36 | 38 |
| ვენეცია | 31 | 9 | 11 | 11 | 30:37 | 38 |
| ჯენოა | 31 | 8 | 10 | 13 | 39:41 | 34 |
| ბარი | 31 | 6 | 16 | 9 | 28:31 | 34 |
| ნაპოლი | 31 | 6 | 14 | 11 | 32:42 | 32 |
| კატანია | 31 | 8 | 8 | 15 | 34:47 | 32 |
| კოზენცა | 31 | 7 | 6 | 18 | 21:42 | 27 |
| სალერნიტანა | 31 | 4 | 9 | 18 | 22:50 | 21 |

## სერია C1/A

31-ე ტური: ლუმეცანე — ჩეზენა 1:0; პადოვა — არეცო 1:0; პიზა — ჩიტადელა 2:0; პისტოიეზე — ალძანო 3:0; პრატო — ალბინოლეფე 2:1; სპალ — კარარეზე 2:1; სპეცია — პრო პატრია 0:0; ტრევიზო — ლუკეზე 1:1; ვარეზე — რეჯანა 2:2

## სერია C1/B

31-ე ტური: აველინო — ბენევენტო 3:1; კიეტი — სორა 2:1; ფერმანა — აკილა 1:1; მარტინა — ლანჩანო 1:1; პესკარა — პატერნო 1:0; სამბენედეტეზე — ჯულიანოვა 1:0; ტორესი — პეზარო 2:0; ტერამო — კროტონე 1:0; ვიტერბეზე — ტარანტო 0:0



REUTERS ფოტო

რეინჯერსი — მოზერუელი. ბარი ფერგიუსონმა სტივენ ტომპსონს ფინალში გასვლა შუბლზე კოცნით მიულოცა

# კლდექალაქი

## დანდიმ ეს ქალაქი ხშირხშირად, ჩქარჩქარა და ქართულად არაკრაკა

### შოტლანდია

**ასოციაციის თასი 1/2 ფინალი**

**ინვერნესი 0:1 დანდი**

0:1 ნემსაძე (78)

**დანდი:** სპერონი, მაკეი, უილკი, ხიზანიშვილი, ერნანდესი, რაე, ნემსაძე, ბრედი, მილნი (ნოვო 63), კაბალიერო, ლოველი (მაირი 89)

**მწვრთნელი:** ჯიმ დაფი

14 429 მაყურებელი

**რეინჯერსი 4:3 მოზერუელი**

1:0 კონტერმანი (2), 1:1 კრეიგი (15), 1:2 მაკფადენი (27), 2:2 მოლსი (56), 3:2 ამორუზო (60), 4:2 პარტრიჯი (73ს.კ.), 4:3 ადამსი (90)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, მუსკატი, კ. მური (მალკოლმი 76), ლ. ამორუზო, ნუმანი, რიკსენი (ს. ჰიუზი 79), კონტერმანი, ბ. ფერგიუსონი, შ. არველაძე (ს. ტომპსონი 46), მოლსი, ნ. მაკკანი

**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში

29 352 მაყურებელი

**ჯიმ დაფმა** იმედი შესძლო, რომ „დანდი" უეფას თასზე გაიყვანა — გუნდი შოტლანდიის ასოციაციის თასის ფინალში 31 მაისს „რეინჯერსს" გაეჯიბრება და რომც წააგოს, ევროტურნირზე მაინც მოხვდება, რადგან „ჩაფრები" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში ითამაშებენ.

ნამატჩევს დაფიმ ეს წარმატება „დანდის" ფანებსა და მფლობელებს გულმხურვალედ მიულოცა და ისიც თქვა, ამ მომენტისთვის უეფას თასზე კი არა, შოტლანდიის თასის აწევაზე ვფიქრობო.

ორივე ნახევარფინალი გლაზგოში, „ჰემპდენ პარკად" წოდებულ ეროვნულ სტადიონზე გაიმართა, რომლის მოედანზე ჯერ „რეინჯერსმა" და „მოზერუელმა" იჯლიგინეს, მეორე დღეს, ანუ კვირას კი „ინვერნეს" — „დანდიმ".

ინვერნესი შოტლანდიის უკიდურესი ჩრდილოური ქალაქი გახლავთ, კლდეზე მცოცავებისთვის სანატრელი ალაგი. ქალაქიც თითქოს კლდეშია ნათალი და ინვერნესსაც ბევრი ტურისტი სტუმრობს. მისმა გუნდმა კი იმით გაითქვა სახელი, რომ მეოთხედფინალში შინ „სელტიკს" მოუგო 1:0, სამი წლის წინ კი კელტები იმავე ტურნირის იმავე ეტაპზე 3:1 დაიფრინა — ასეთია „ინვერნესის" ბოლოდროინდელი მიღწევები.

„დანდისთან" „ინვერნესმა" მატჩის პირველ წუთებზე გაიბრწყინა, მაგრამ ჯულიან სპერონი ყინჩად იდგა. ტაიმის შუაწელში კი დაფელებმა თამაში გაათანაბრეს და მერე უპირატესობასაც დაეუფლნენ — ჩინებული საგოლე შესაძლებლობები გაანიავეს სტივ ლოველმა და ფაბიან კაბალიერომ.

და დადგა გიორგი ნემსაძის ჯერი — კაბალიერო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და იქიდან დაუგორა ბურთი ქართველს — ნემსაძემ 18 იარდიდან ტერფის გარე მხარე შეაგება ბურთს, რომელიც „ინვერნესის" კარის დაბალ კუთხეში შესრიალდა.

რაც შეეხება „რეინჯერს", ალექს მაკლიშმა პირველ ტაიმში კი ინერვიულა, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა. შოთა არველაძეს თამაში არ წაუვიდა და ამის გამო შეცვალესო, იუწყებიან ბრიტანული წყაროები.

**დავით თამართქილაძე**

**პრემიერლიგა გადადებული მატჩი**

**ჰართსი 2:1 სელტიკი**

0:1 ლარსონი (59), 1:1 სტამპი (73), 2:1 ო. მაკკანი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 33 | 28 | 3 | 2 | 86:23 | 87 |
| სელტიკი | 32 | 25 | 4 | 3 | 77:22 | 79 |
| ჰართსი | 33 | 16 | 9 | 8 | 55:47 | 57 |
| კილმარნოკი | 33 | 14 | 8 | 11 | 43:46 | 50 |
| დანფერმლაინი | 33 | 13 | 5 | 15 | 48:56 | 44 |
| დანდი | 33 | 10 | 12 | 11 | 44:48 | 42 |
| ჰიბერნიანი | 33 | 11 | 6 | 16 | 46:58 | 39 |
| აბერდინი | 33 | 9 | 10 | 14 | 32:48 | 37 |
| ლივინგსტონი | 33 | 8 | 8 | 17 | 41:50 | 32 |
| პარტიკ თისლი | 33 | 6 | 11 | 16 | 29:50 | 29 |
| დანდი იუნ. | 33 | 5 | 10 | 18 | 29:61 | 25 |
| მოზერუელი | 32 | 6 | 6 | 20 | 35:56 | 24 |

**I დივიზიონი**

33-ე ტური: კლაიდი — სენტ ჯონსტონი 2:1; ფოლკირკი — არბროთი 4:1; ქუინ ოფ საუთ — ალოა 0:1; როსი — სენტ მირენი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფოლკირკი | 33 | 23 | 6 | 4 | 73:28 | 75 |
| კლაიდი | 33 | 19 | 8 | 6 | 57:33 | 65 |
| სტ. ჯონსტონი | 33 | 19 | 6 | 8 | 46:26 | 63 |
| ინვერნესი | 32 | 18 | 5 | 9 | 65:39 | 59 |
| ეარი | 32 | 11 | 9 | 12 | 32:34 | 42 |
| ქუინ ოფ საუთ | 33 | 10 | 11 | 12 | 41:46 | 41 |
| სტ. მირენი | 33 | 9 | 9 | 15 | 40:64 | 36 |
| როს ქაუნთი | 33 | 7 | 8 | 18 | 35:43 | 29 |
| ალოა | 33 | 7 | 8 | 18 | 33:67 | 29 |
| არბროთი | 33 | 3 | 6 | 24 | 27:69 | 15 |

**II დივიზიონი**

33-ე ტური: ერდრი — სტენჰაუზმური 1:0; ბრეჩინი — რეითი 1:0; კოუდენბითი — ბერვიკი 0:1; ფორფარი — სტრანრარი 4:0; ჰამილტონი — დამბარტონი 2:2

**III დივიზიონი**

33-ე ტური: ალბიონი — ქუინზ პარკი 2:1; ისტ ფაიფი — მორტონი 0:1; ელგინი — ისტ სტირლინგი 3:0; პიტერჰედი — მონტროუზი 3:0; სტირლინგი — გრეტნა 1:0

### რუსეთი

**პრემიერლიგა. V ტური**

**ცსკა 0:1 როსტოვი**

0:1 კამპამბა (76)

**ურალანი 1:2 სპარტაკი**

0:1 ტიტოვი (37), 0:2 პავლიუჩენკო (45), 1:2 ლუიზაო (80ს.კ.)

**სპარტაკ-ალანია 3:2 ლოკომოტივი**

1:0, 2:0 მიხოლაპსი (15, 28), 2:1 ლოსკოვი (29), 3:1 მიხოლაპსი (41), 3:2 ჟულიო სეზარი (71)

**ზენიტი 1:0 რუბინი**

1:0 შირლი (48)

**შინიკი 0:0 დინამო**

**ტორპედო-მეტალურგი 2:3 სატურნი**

1:0 მონარიოვი (1), 2:0 ლეონოვი (14), 2:1 რეზეფა (80), 2:2 პავლოვიჩი (84), 2:3 მედვედევი (90)

**კრილია სოვეტოვი 1:1 ჩერნომორეცი**

1:0 კარიაკა (36), 1:1 აიუპოვი (83)

**ტორპედო 0:3 როტორი**

0:1 რადკევიჩი (71), 0:2 ესიპოვი (80), 0:3 ზუბკო (90)

**ცსკა-მ** შინ „როსტოვთან" როგორ წააგო? აი, ასე: მალავიელმა ოსო კანიენდამ ზამბიელ გიფტა კამპამბას აფრიკული პასი მიაწოდა და მანაც არმიელებს გაუტანა. ბურთი ისეთი ტრაექტორიით ჩაეშვა კარში, რომ მეკარე სულ ტყუილად გაიჭიმა ჰაერში.

გოლით გალაღებულმა გიფტა კამპამბამ მაისურა გაიძრო, დააგდო, ფეხებით შედგა და „ცეკვა ზამბიური" შეასრულა.

მანამდე, რა თქმა უნდა, ცსკა გააფთრებით უტევდა ზედიზედ მეხუთე მატჩის მოსაგებად. სტუმრებმა არაერთხელ გამოიტანეს კარის ხაზიდან ბურთი. არმიელებს თერთმეტმეტრიანით შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ როსტოველთა მეკარემ სუსტად დარტყმული მოიგერია. საინტერესოა, რომ „როსტოვი" „ჩერნომორეცთან" ერთად დაუმარცხებელია რუსულ პრემიერლიგაში.

ვლადიკავკაზში ქვეყნის ჩემპიონს „სპარტაკ-ალანიამ" შავი დღე გაუთენა. მასპინძელთა 28 წლის ფორვარდმა მიხაილ მიხოლაპსმა პირველივე ტაიმში ჰეთ თრიქი მიითვალა. აქამდე „ლოკომოტივის" კარში ერთ მატჩში სამი გოლი არავის გაეტანა. კალინინგრადში გაზრდილი მიხოლაპსი მოგვიანებით რიგაში გადავიდა და ლატვიის მოქალაქეობა მიიღო. მიხეილ აშვეთიამ და მიხაილ მიხოლაპსმა დოლ-გარმონივით ააწყვეს. ეს დუეტი მოსკოველთა კარს მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა. მათ გარდა გამოსარჩევია მენთეშაშვილიც, რომელმაც მარჯვენა ფლანგი აიკლო და კარგი თამაშისთვის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. მატჩის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილმა მადლობა გადაუხადა ვლადიკავკაზელ ჟურნალისტს, ყაზანში წაგების გამო ისე შეგვახურეს, რომ კრიტიკა ძალიან წაგვადგაო.

თავის მხრივ „ლოკომოტივზე" ის უნდა ვთქვათ, რომ მალხაზ ასათიანის დებიუტი შედგა. მოსკოველებმა ერთი გოლი პირველივე ტაიმში გაქვითეს, შესვენების შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა ჟულიო სეზარმა ბრწყინვალედ შესრულებული ჯარიმით სხვაობა შეამცირა.

საგადასახადო ინსპექტორებისგან ნატანჯმა რომანცევმა და მისმა „სპარტაკმა" ელისტაში „ურალანს" პირველივე ტაიმში მოუგეს. ტიტოვმა და პავლიუჩენკომ შესვენებამდე ორი გოლი გაუტანეს ყალმუხებს, შეხვედრის მიწურულს კი სტუმართა ბრაზილიელმა ლუიზაომ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

**მაკა ხუციშვილი**

# კამპამბა

## გაზაევი როსტოველმა შავებმა გაწეწეს



ცსკა — როსტოვი. გიფტა კამპაბას ყოჩაღობამ არმიელებს ის დამართა, რაც როსტოველებს ჯერ არ შემთხვევიათ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 4 | 0 | 1 | 12:6 | 12 |
| სატურნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| ზენიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| როსტოვი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| ალანია | 5 | 3 | 0 | 2 | 6:8 | 9 |
| ჩერნომორეცი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| რუბინი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| როტორი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:6 | 5 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ტორპედო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| კრილია | 5 | 0 | 4 | 1 | 4:5 | 4 |
| შინიკი | 5 | 0 | 4 | 1 | 4:5 | 4 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| ტ. მეტალურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |
| ურალანი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXVIII ტური**

ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 2:0; ქოჯაელი — გაზიანთეფი 0:3; ადანა — ალთაი 5:2; ბურსა — დენიზლი 2:0; გენჩლერი — ელაზირი 2:0; ისთანბული — ანკარაგიუჯიუ 1:0; დიარბაქირი — ტრაბზონი 2:0; სამსუნი — მალათია 1:1; გიოზთეფე — გალათასარაი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 28 | 20 | 7 | 1 | 52:17 | 67 |
| გალათასარაი | 28 | 21 | 3 | 4 | 51:21 | 66 |
| გენჩლერი | 28 | 19 | 6 | 3 | 69:28 | 63 |
| ტრაბზონი | 28 | 12 | 10 | 6 | 40:25 | 46 |
| გაზიანთეფი | 28 | 12 | 9 | 7 | 47:31 | 45 |
| ფენერბაჰჩე | 28 | 12 | 9 | 7 | 51:36 | 45 |
| მალათია | 28 | 10 | 9 | 9 | 41:37 | 39 |
| ანკარაგიუჯიუ | 28 | 12 | 3 | 13 | 35:33 | 39 |
| დიარბაქირი | 28 | 9 | 7 | 12 | 31:38 | 34 |
| ისთანბული | 28 | 9 | 6 | 13 | 33:40 | 33 |
| სამსუნი | 28 | 9 | 6 | 13 | 31:46 | 33 |
| დენიზლი | 28 | 8 | 8 | 12 | 28:34 | 32 |
| ადანა | 28 | 7 | 8 | 13 | 34:48 | 29 |
| ალთაი | 28 | 8 | 5 | 15 | 37:60 | 29 |
| ბურსა | 28 | 6 | 8 | 14 | 30:51 | 26 |
| ელაზიგსფორი | 28 | 6 | 7 | 15 | 29:51 | 25 |
| გიოზთეფე | 28 | 5 | 9 | 14 | 27:45 | 24 |
| ქოჯაელი | 28 | 5 | 4 | 19 | 26:51 | 19 |

### ჩეხეთი

24-ე ტური: პრჟიბრამი — სპარტა 2:2; ჟიჭკოვი — ბუდეიოვიცე 1:0; იაბლონეცი — სიგმა 0:0; ზლინი — ბოჰემიანსი 1:0; ბანიკი — ლიბერეცი 0:1; ჰ. კრალოვე — ტეპლიცე 0:0; ბლშანი — ბრნო 0:1; სლავია — სინოტი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 24 | 17 | 4 | 3 | 42:12 | 55 |
| სლავია | 24 | 14 | 8 | 2 | 51:18 | 50 |
| ლიბერეცი | 24 | 13 | 3 | 8 | 37:32 | 42 |
| ჟიჟკოვი | 24 | 12 | 5 | 7 | 32:27 | 41 |
| ტეპლიცე | 24 | 11 | 5 | 8 | 27:26 | 38 |
| ბანიკი | 24 | 11 | 4 | 9 | 34:27 | 37 |
| სინოტი | 24 | 9 | 5 | 10 | 29:32 | 32 |
| პრჟიბრამი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:27 | 31 |
| ზლინი | 24 | 7 | 8 | 9 | 24:32 | 29 |
| ბრნო | 24 | 7 | 7 | 10 | 26:26 | 28 |
| ბუდეიოვიცე | 24 | 8 | 4 | 12 | 31:44 | 28 |
| სიგმა | 24 | 6 | 8 | 10 | 20:24 | 26 |
| იაბლონეცი | 24 | 5 | 11 | 8 | 23:33 | 26 |
| ბლშანი | 24 | 7 | 4 | 13 | 23:30 | 25 |
| ბოჰემიანსი | 24 | 4 | 7 | 13 | 30:47 | 19 |
| ჰ. კრალოვე | 24 | 2 | 12 | 10 | 19:41 | 18 |

### უკრაინა

21-ე ტური: ვოლინი — ვორსკლა 0:0; კრივბასი — კარპატი 2:1; დინამო — ობოლონი 5:3; შახტარი — ოლიქსანდრია 5:0; ტავრია — ილიჩევეცი 0:0; მეტალისტი — დნიპრო 0:2; მ. ზაპოროჟიე — მ. დონეცკი 0:1; არსენალი — ჩერნომორეცი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 21 | 17 | 2 | 2 | 45:16 | 53 |
| დინამო | 21 | 15 | 4 | 2 | 47:14 | 49 |
| არსენალი | 21 | 13 | 5 | 3 | 42:15 | 44 |
| დნიპრო | 21 | 13 | 4 | 4 | 31:15 | 43 |
| მ. დონეცკი | 21 | 12 | 4 | 5 | 28:18 | 40 |
| ვოლინი | 21 | 9 | 4 | 8 | 26:30 | 31 |
| კრივბასი | 21 | 6 | 7 | 8 | 18:22 | 25 |
| ტავრია | 21 | 7 | 3 | 11 | 22:33 | 24 |
| ილიჩევეცი | 21 | 5 | 6 | 10 | 24:30 | 21 |
| კარპატი | 21 | 5 | 6 | 10 | 20:26 | 21 |
| ობოლონი | 21 | 5 | 6 | 10 | 21:28 | 21 |
| ვორსკლა | 21 | 6 | 3 | 12 | 15:32 | 21 |
| ჩერნომორეცი | 21 | 6 | 2 | 13 | 17:30 | 20 |
| ოლიქსანდრია | 21 | 4 | 8 | 9 | 18:32 | 20 |
| მეტალისტი | 21 | 5 | 4 | 12 | 11:28 | 19 |
| მ. ზაპოროჟიე | 21 | 3 | 6 | 12 | 13:29 | 15 |

### საბერძნეთი

27-ე ტური: პანაჰაიკი — პაოკ 2:2; იონიკოსი — აეკ 0:3; კალითეა — პანათინაიკოსი 1:3; ოფი — იანინა 1:0; ოლიმპიაკოსი — ეგალეო 4:0; პანიონიოსი — აკრატიტოსი 1:1; არისი — პროდეფტიკი 2:1; ირაკლისი — ქსანთი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 27 | 20 | 4 | 3 | 42:14 | 64 |
| ოლიმპიაკოსი | 27 | 18 | 7 | 2 | 64:20 | 61 |
| აეკ | 27 | 18 | 5 | 4 | 64:27 | 59 |
| პანიონიოსი | 27 | 14 | 8 | 5 | 31:18 | 50 |
| პაოკ | 27 | 14 | 5 | 8 | 51:33 | 47 |
| არისი | 27 | 13 | 6 | 8 | 33:29 | 45 |
| ირაკლისი | 27 | 13 | 4 | 10 | 37:32 | 43 |
| ოფი | 27 | 11 | 8 | 8 | 36:27 | 41 |
| ქსანთი | 27 | 8 | 10 | 9 | 31:29 | 34 |
| ეგალეო | 27 | 6 | 9 | 12 | 22:39 | 27 |
| პროდეფტიკი | 27 | 6 | 8 | 13 | 23:35 | 26 |
| კალითეა | 27 | 5 | 8 | 14 | 26:41 | 23 |
| აკრატიტოსი | 27 | 6 | 5 | 16 | 28:56 | 23 |
| იანინა | 27 | 5 | 7 | 15 | 22:36 | 22 |
| იონიკოსი | 27 | 4 | 8 | 15 | 20:40 | 20 |
| პანაჰაიკი | 27 | 1 | 6 | 20 | 11:65 | 9 |

### პოლონეთი

22-ე ტური: ოდრა — ლეგია 2:1; პოლონია — ზაგლებე 2:1; ვისლა — გურნიკი 4:0; პლოცკი — რუხი 2:0; ოსტროვეცი — პოგონი 0:1; ვიძევი — გარბარნია 1:0; ამიცა — ლეხი 2:1; კატოვიცე — გროცლინი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 22 | 15 | 4 | 3 | 58:24 | 49 |
| ოდრა | 22 | 14 | 4 | 4 | 41:26 | 46 |
| გროცლინი | 22 | 13 | 6 | 3 | 39:21 | 45 |
| კატოვიცე | 22 | 14 | 2 | 6 | 26:14 | 44 |
| ლეგია | 22 | 11 | 7 | 4 | 42:23 | 40 |
| გურნიკი | 22 | 8 | 8 | 6 | 37:23 | 32 |
| პოლონია | 22 | 9 | 5 | 8 | 29:34 | 32 |
| ამიცა | 22 | 8 | 7 | 7 | 31:26 | 31 |
| ლეხი | 22 | 6 | 8 | 8 | 28:27 | 26 |
| რუხი | 22 | 6 | 7 | 9 | 18:28 | 25 |
| პლოცკი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:28 | 24 |
| ზაგლებე | 22 | 6 | 5 | 11 | 25:29 | 23 |
| გარბანია | 22 | 6 | 5 | 11 | 32:41 | 23 |
| ვიძევი | 22 | 5 | 6 | 11 | 19:32 | 21 |
| ოსტროვიცი | 22 | 4 | 3 | 15 | 18:47 | 15 |
| პოგონი | 22 | 2 | 3 | 17 | 12:53 | 9 |

### შვედეთი

მე-3 ტური: ჰალმსტადი — იორებრო 2:3; ჰელსინგბორგი — სუნდსვალი 2:1; იორგრიტე — ენკიოპინგი 3:0; იურგორდენი — ელფსბორგი 5:0; მალმიო — ლანდსკრონა 2:2; იოსტერი — გიოტებორგი 0:0. ჰამარბი — აიკ დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:0 | 9 |
| ჰამარბი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ლანდსკრონა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| გიოტებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| მალმიო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| იოსტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| აიკ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჰალმსტადი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| იორგრიტე | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| იორებრო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| სუნდსვალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ელფსბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| ენკოპინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



REUTERS

ლანსი — მარსელი. დმიტრი სიჩოვი საპენალტედ წაიქცა

# ეშმაკთან კონსულტაცია ამაოა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXXIV ტური

**ლანსი 0:1 მარსელი**
0:1 ლებეფი (32პ)

**მონაკო 2:0 სტრასბური**
1:0 პრსო (19), 2:0 ნონდა (69)

**აიაჩო 1:6 ბორდო**
0:1 პაულეტა (38), 1:1 დიომედი (60), 1:2 პაულეტა (62), 1:3 სავიო (73), 1:4 დარშევილი (80), 1:5 პაულეტა (83), 1:6 მერიემი (88)

**ნანტი 1:1 პსჟ**
1:0 ჟილე (49), 1:1 ა. ტურე (66)

**ოსერი 1:0 ლე ავრი**
1:0 კაპო (15)

**ბასტია 1:2 მონპელიე**
0:1 ბ. რობერი (9), 1:1 ფ. მორისი (70), 1:2 დიუმონგი (77)

**ლიონი 0:0 ლილი**

**რენი 2:2 ნიცა**
0:1 ბინე (15), 1:1 დელიე (23), 2:1 არიბაჟი (55), 2:2 მიონე (69)

**სედანი 4:0 ტრუა**
1:0, 2:0 ა. კამარა (54, 60), 3:0 ასუარი (62), 4:0 ა. კამარა (70)

**სოშო 0:0 გენგამი**

თვით ეშმაკმაც კი არ იცის, საფრანგეთის ჩემპიონი ვინ გახდება. დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ცხრილის თავში დიდი გაწამაწიაა. ეს ფრანგული წესია და წესადვე რჩება. ლიდერთა ოთხეულს ჩემპიონობის მეტნაკლები შანსი აქვს.

ამ თვეში ტური აღარ გაიმართება. მომავალ უქმეებზე საფრანგეთის თასის ნახევარფინალებს მოილევენ, რომელშიც პსჟ „ბორდოს", ხოლო „ოსერი" — „რენს" შეხვდება.

სათასო მატჩის გარდა „ბორდოს" დარჩენილი შეხვედრებიც ჩამოვთვალოთ — „ოსერს", „ლე ავრს" და „ლილს" უმასპინძლებს, ხოლო „ნიცას" ეწვევა.

აქვე დანარჩენ სამ ლიდერზეც გეტყვით. „მარსელი" „ბასტიას" და „სედანს" მიიღებს, „სოშოს" და „ნანტს" კი ესტუმრება. „მონაკო" „მონპელიეს" და „ტრუას" დაუხვდება, პსჟ და „გენგამი" კი გადაიპატიჟებენ. „ლიონი" „სტრასბურს" და „მონპელიეს" ეხლება, ხოლო შინ პსჟ-ს და „გენგამს" მასპინძლობს.

„მონაკოს" ჩემპიონობისთვის ბრძოლის გარდა 17 მაისს ლიგის თასის ფინალში „სოშოსთან" შებმაც მოუწევს. ლიდერთა სათასო კალენდარს თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ ისინი ერთმანეთს არ ხვდებიან, ანუ კონკურენტები შინაომებისგან დაზღვეულნი არიან.

გასულ ტურში ის მოხდა, რისიც გრეგორი კუპეს ეშინოდა. ერთი კვირის წინ „ბორდოსთან" სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ „ლიონის" მეკარემ თქვა, მთავარია, საკუთარ თავს ჩვენვე არ ვავნოთო. ავნეს. მაჩანჩალა „ლილს" ვერ მოუგეს და საქმე გაირთულეს მაშინ, როცა ცხრილში ლიონელთა მეზობლებმა სამ-სამი ქულა მიითვალეს. ლიგაში დასარჩენად მებრძოლი „ლილი" ისე გაუძალიანდა ჩემპიონს, რომ მასპინძლებმა მეტოქის კარის გასაღები ვერსად იპოვეს. თავად ლილელებს მოგებაც კი შეეძლოთ. ნდიაიეს დარტყმულის შემდეგ კუპეს კარი გოლისგან ძელმა იხსნა. „გულდასაწყვეტი ფრეა — ამოღერღა ერიკ კარიერიმ — ძვირფასი ქულები დავკარგეთ".

„ბორდოსგან" „აიაჩოს" ძლევის საზარელი ამბავი კორსიკის სანაპიროებს გასცდა. კუნძულელთა რბევა პედრო პაულეტამ ტაიმის შუაწელში გატანილი გოლით დაიწყო. მერე ჟირონდელებს მსაჯიც წაეხმარა. შესვენებამდე მასპინძლები ორი ფეხბურთელით შეამცირა და ორივე უხეშობისთვის დასაჯა. ცხრაკაცა „აიაჩომ" ერთი საპასუხო გოლის გატანა კი შეძლო, მაგრამ...

„მონაკო" თავისი მწვრთნელივით ბრძნულად გაისარჯა. „სტრასბურს" თითო ტაიმში თითო გოლი აკმარა, ისე რომ, ზედმეტად თავი არ შეუწუხებია. დადო პრსო-შაბანი ნონდას წყვილი „მონაკოს" სასარგებლოდ კვლავაც შედეგიანად შრომობს.

აპრილში ულიმღამოდ მოთამაშე „მარსელი" გონს ლანსში მოვიდა. ზღვისპირელები, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, თავს ჭკვიანურად იცავდნენ და კონტრშეტევებს ეტანებოდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მცდელობისას ბრწყინვალედ ითამაშა დმიტრი სიჩევმა. მისი მონადირებული თერთმეტმეტრიანი ფრანკ ლებეფმა გოლად აქცია. ამ კინკილა გოლმა „მარსელს" სამი ქულა შესძინა და საჩემპიონო ამბიციები კვლავ გაუღვივა.

ტურში სანტერესო კიდევ რამდენიმე ამბავი მოხდა. „ოსერი" — „ლე ავრის" შეხვედრის მსაჯი მასპინძელ აგბოსთან შემთხვევით შეჯახების შემდეგ ფეხის ორმაგი მოტეხილობით ლაზარეთში გააქანეს.

„სოშო" „გენგამის" მატჩში მაყურებელმა სამმაგი შეცვლა იხილა. მესამე წუთზე გენგამელი ბარდონი ტრავმის გამო ტალაუიმ შეცვალა, რომელსაც 63-ეზე ელუა, ხოლო ბოლო წუთებზე ლე ბესკონი ჩაენაცვლა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 34 | 17 | 10 | 7 | 55:27 | 61 |
| ლიონი | 34 | 17 | 10 | 7 | 56:36 | 61 |
| მარსელი | 34 | 17 | 8 | 9 | 35:29 | 59 |
| ბორდო | 34 | 16 | 9 | 9 | 52:34 | 57 |
| სოშო | 34 | 14 | 12 | 8 | 37:28 | 54 |
| ოსერი | 34 | 15 | 9 | 10 | 33:28 | 54 |
| ნიცა | 34 | 13 | 14 | 7 | 37:26 | 53 |
| ნანტი | 34 | 15 | 8 | 11 | 36:32 | 53 |
| პსჟ | 34 | 13 | 11 | 10 | 45:32 | 50 |
| გენგამი | 34 | 15 | 5 | 14 | 46:44 | 50 |
| ლანსი | 34 | 11 | 15 | 8 | 37:29 | 48 |
| ბასტია | 34 | 12 | 9 | 13 | 35:40 | 45 |
| სტრასბური | 34 | 10 | 11 | 13 | 36:46 | 41 |
| რენი | 34 | 9 | 9 | 16 | 30:40 | 36 |
| მონპელიე | 34 | 9 | 9 | 16 | 33:46 | 36 |
| ლილი | 34 | 8 | 11 | 15 | 26:42 | 35 |
| ლე ავრი | 34 | 9 | 8 | 17 | 24:40 | 35 |
| სედანი | 34 | 9 | 7 | 18 | 36:51 | 34 |
| აიაჩო | 34 | 7 | 11 | 16 | 26:47 | 32 |
| ტრუა | 34 | 6 | 10 | 18 | 21:39 | 28 |

### II დივიზიონი

34-ე ტური: ტულუზი — გრენობლი 2:0; ბოვე — კრეტეი 0:0; ისტრი — ამიენი 2:0; ლე მანი — შატორუ 1:0; ლორიანი — გენიონი 0:1; მეცი — ლავალი 2:1; ნიორი — კაენი 1:1; რეიმსი — კლერმონი 0:0; სენტ ეტიენი — ნანსი 0:1; ვასკეალი — ვალანსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 33 | 19 | 9 | 5 | 47:19 | 66 |
| ლე მანი | 34 | 17 | 11 | 6 | 44:31 | 62 |
| მეცი | 34 | 17 | 10 | 7 | 47:27 | 61 |
| ლორიანი | 33 | 16 | 9 | 8 | 38:27 | 57 |
| შატორუ | 34 | 15 | 10 | 9 | 36:28 | 55 |
| გრენობლი | 34 | 11 | 12 | 11 | 38:27 | 45 |
| ლავალი | 34 | 13 | 6 | 15 | 37:39 | 45 |
| კაენი | 34 | 10 | 14 | 10 | 40:37 | 44 |
| ნიორი | 34 | 11 | 11 | 12 | 36:37 | 44 |
| გენიონი | 33 | 11 | 10 | 12 | 30:33 | 43 |
| ამიენი | 34 | 10 | 12 | 12 | 25:30 | 42 |
| სენტ ეტიენი | 33 | 9 | 14 | 10 | 29:27 | 41 |
| კლერმონი | 34 | 11 | 8 | 15 | 35:44 | 41 |
| ვალანსი | 34 | 10 | 10 | 14 | 36:41 | 40 |
| ნანსი | 33 | 10 | 10 | 13 | 29:42 | 40 |
| ისტრი | 34 | 10 | 10 | 14 | 30:50 | 40 |
| კრეტეი | 33 | 6 | 16 | 11 | 31:36 | 34 |
| ვასკეალი | 33 | 6 | 16 | 11 | 21:29 | 34 |
| ბოვე | 34 | 8 | 9 | 17 | 17:29 | 33 |
| რეიმსი | 33 | 5 | 15 | 13 | 25:38 | 30 |

### თასის ნახევარფინალის წილისყრა

26 აპრილი: ოსერი — რენი
27 აპრილი: პსჟ — ბორდო

## რუსეთი

### I ლიგა. XXVIII ტური

**ბეირა მარი 2:2 ბრაგა**
0:1 საიდი (1), 1:1, 2:1 ფეიე ფერი (22, 24), 2:2 საიდი (46)

**სეტუბალი 3:1 აკადემიკა**
0:1 მარინესკუ (17), 1:1 ნელსონი (19), 2:1 ჟორჟე სელინუ (32), 3:1 ჟორჟინიუ (74)

**პორტუ 2:1 მორეირენსე**
1:0 სერჟიუ (38ს.კ.), 2:0 პეიშოტო (62პ), 2:1 მონტანინი (76)

**ნასიონალი 2:1 სანტა კლარა**
1:0, 2:0 როსატო (29, 58), 2:1 სეარა (81)

**მარიტიმუ 0:3 სპორტინგი**
0:1 კიროგა (27), 0:2 ზა პინტუ (53პ), 0:3 კუტუზოვი (64)

**ლეირია 0:1 ფერეირა**
0:1 სერჟინიუ (46)

**ჟილ ვისენტე 1:0 ბოავიშტა**
1:0 გასპარი (37)

**გიმარაეში — ბელენენსეში**

**ბენფიკა — ვარზიმი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 28 | 24 | 3 | 1 | 61:21 | 75 |
| ბენფიკა | 27 | 18 | 5 | 4 | 57:20 | 59 |
| სპორტინგი | 28 | 16 | 5 | 7 | 44:28 | 53 |
| გიმარაეში | 27 | 12 | 7 | 8 | 42:34 | 43 |
| ჟილ ვისენტე | 28 | 13 | 4 | 11 | 38:38 | 43 |
| ლეირია | 28 | 11 | 7 | 10 | 39:38 | 40 |
| ბელენენსეში | 27 | 9 | 8 | 10 | 36:38 | 35 |
| ნასიონალი | 28 | 8 | 10 | 10 | 33:37 | 34 |
| ფერეირა | 28 | 9 | 7 | 12 | 29:39 | 34 |
| მარიტიმუ | 28 | 10 | 4 | 14 | 30:43 | 34 |
| ბოავიშტა | 28 | 7 | 11 | 10 | 26:28 | 32 |
| ვარზიმი | 27 | 9 | 5 | 13 | 30:35 | 32 |
| ბრაგა | 28 | 7 | 11 | 10 | 25:38 | 32 |
| მორეირენსე | 28 | 7 | 10 | 11 | 34:37 | 31 |
| სანტა კლარა | 28 | 6 | 9 | 13 | 33:44 | 27 |
| აკადემიკა | 28 | 6 | 9 | 13 | 30:44 | 27 |
| სეტუბალი | 28 | 5 | 11 | 12 | 31:41 | 26 |
| ბეირა მარი | 28 | 6 | 8 | 14 | 32:47 | 26 |

### II ლიგა

28-ე ტური: პენაფიელი — მადეირა 1:3; ნავალი — შავეში 2:1; ალვერკა — ფარენსე 2:1; ავეში — სალგეირუში 4:1; კოვილია — ამადორა 0:0; ოვაირენსე — ლამაში 1:0; რიუ ავე — მაია 4:0; მარკუ — ფელგეირაში 3:0; ლეცა — პორტიმონენსე 5:0

## ბელგია

### იუპილერლიგა. XXIX ტური

**გენკი 0:3 ბრიუგე**
0:1 შატერნსი (7), 0:2 ნ. ჩები (18), 0:3 ვერბეკი (42)

**გენტი 3:2 ლუვიე**
1:0 შეპენსი (5), 2:0 ოიავოლე (8), 3:0 შეპენსი (38), 3:1, 3:2 იშიაკუ (41, 66)

**ანდერლეხტი 2:0 სენტ ტრუიდენი**
1:0 ბასეჯიო (58), 2:0 დინდანე (65)

**მეხელენი 0:4 ვესტერლო**
0:1 მრზლეცკი (52ს.კ.), 0:2 დოსუნმუ (65), 0:3, 0:4 პაასი (83, 90)

**მონსი 2:1 ლიერსი**
1:0 ბერკიმანი (23), 2:0 სურაი (27), 2:1 პიუსგემსი (56)

**მუსკრონი 1:6 ბეერსხოტი**
0:1 კპაკა (35), 0:2 კოორემანი (54), 0:3 კპაკა (60), 1:3 კუბიკი (68), 1:4 დე ვრე (79), 1:5 რეიჯელი (81), 1:6 კვანსა (85)

**სტანდარდი 2:0 ბევერენი**
1:0 და სილვა (24), 2:0 აარსტი (90პ)

**შარლერუა — ლოკერენი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 29 | 25 | 1 | 3 | 91:29 | 76 |
| ანდერლეხტი | 29 | 21 | 2 | 6 | 64:29 | 65 |
| ლოკერენი | 28 | 19 | 4 | 5 | 68:37 | 61 |
| ლიერსი | 29 | 16 | 7 | 6 | 44:33 | 55 |
| სენტ ტრუიდენი | 29 | 16 | 6 | 7 | 58:37 | 54 |
| გენკი | 29 | 14 | 6 | 9 | 63:47 | 48 |
| გენტი | 29 | 15 | 2 | 12 | 50:45 | 47 |
| სტანდარდი | 29 | 13 | 7 | 9 | 48:34 | 46 |
| მონსი | 29 | 12 | 3 | 14 | 38:40 | 39 |
| მუსკრონი | 29 | 10 | 5 | 14 | 45:59 | 35 |
| ვესტერლო | 29 | 10 | 3 | 16 | 30:45 | 33 |
| ბევერენი | 29 | 10 | 2 | 17 | 45:63 | 32 |
| ლუვიე | 29 | 8 | 7 | 14 | 32:39 | 31 |
| ბეერსხოტი | 29 | 8 | 5 | 16 | 46:51 | 29 |
| ანტვერპენი | 28 | 7 | 6 | 15 | 36:49 | 27 |
| ლომელი | 28 | 7 | 3 | 18 | 28:58 | 24 |
| შარლერუა | 28 | 5 | 6 | 17 | 32:60 | 21 |
| მეხელენი | 29 | 3 | 5 | 21 | 18:81 | 14 |

### II დივიზიონი

31-ე ტური: დეხელი — სტრომბეკი 2:4; გეელი — დაინცე 2:0; ეუპენი — ბამე 2:1; ვარეგემი — პატრო 1:1; ინგელმუნსტერი — სერკლი 1:3; ლიეჟი — ჰეუსდენი 0:1; რონსი — ვიზეტი 0:1; ტინენი — ვირტონი 1:1; დენდერლეუვ — რუზელარე წუხელ გვიან დამთავრდა

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XXVIII ტური

**პსვ ეინდჰოვენი 2:0 ტვენტე**
1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (33), 2:0 კეჟმანი (65პ)

პსვ ეინდჰოვენი: კოოიმანი, ბაინცე, ფაბერი, ოიერი, ი. ლი, რომედალი, ფოგელი, ვან ბომელი, რობენი, კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ლეანდრო 80)

*გოგა გახოკიძე სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
33 500 მაყურებელი

**ზვოლე 1:3 ფეიენოორდი**
0:1 ბუფელი (6), 0:2 ვან ჰოიდონკი (14), 1:2 ბოსხაარტი (49), 1:3 ვან ჰოიდონკი (90)

**ვიტესი 1:1 ნაიმეგენი**
1:0 ბ. პეეტერსი (13), 1:1 შუურმანი (47)

**როზენდალი 0:0 ალკმაარი**

**აიაქსი 4:2 როდა**
1:0 იბრაჰიმოვიჩი (16), 2:0 ვან დერ ვაარტი (18), 3:0 სნეიდერი (27), 3:1, 3:2 სერჟიო (33, 80), 4:2 ბუხარი (82)

**ექსელსიორი 1:0 ჰერენვენი**
1:0 ბუტაჰარი (66)

**ტილბურგი 3:0 გრააფსხაპი**
1:0 სესაი (4), 2:0 ჟელენსი (22), 3:0 შუკოვი (51)

**უტრეხტი 4:3 ვალვაიკი**
1:0 კუიტი (28), 1:1 კორნელისე (30), 2:1 კუიტი (34პ), 2:2 შუტი (47ს.კ.), 2:3 ჰუგენდორპი (49), 3:3 კუიტი (88პ), 4:3 იოკემსენი (90)

**გრონინგენი — ბრედა** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 28 | 23 | 4 | 1 | 69:14 | 73 |
| აიაქსი | 28 | 20 | 5 | 3 | 73:27 | 65 |
| ფეიენოორდი | 28 | 20 | 4 | 4 | 77:34 | 64 |
| ვალვაიკი | 28 | 13 | 4 | 11 | 38:37 | 43 |
| ნაიმეგენი | 28 | 12 | 7 | 9 | 36:36 | 43 |
| უტრეხტი | 28 | 10 | 10 | 8 | 39:36 | 40 |
| როდა | 28 | 11 | 7 | 10 | 45:44 | 40 |
| ტილბურგი | 28 | 10 | 8 | 10 | 41:36 | 38 |
| ალკმაარი | 28 | 10 | 7 | 11 | 40:56 | 37 |
| ბრედა | 27 | 8 | 12 | 7 | 28:25 | 36 |
| ჰერენვენი | 28 | 9 | 7 | 12 | 45:48 | 34 |
| ტვენტე | 28 | 8 | 10 | 10 | 31:39 | 34 |
| როზენდალი | 28 | 9 | 6 | 13 | 31:42 | 33 |
| გრონინგენი | 27 | 6 | 8 | 13 | 25:36 | 26 |
| ზვოლე | 28 | 6 | 6 | 16 | 26:57 | 24 |
| ვიტესი | 28 | 5 | 7 | 16 | 25:43 | 22 |
| ექსელსიორი | 28 | 5 | 7 | 16 | 29:50 | 22 |
| გრააფსხაპი | 28 | 4 | 5 | 19 | 27:65 | 17 |

## შვეიცარია

### A ჯგუფი. VII ტური

**ციურიხი 2:1 ვილი**
0:1 ჰასლერი (13), 1:1 გიგაქსი (58), 2:1 კეიტა (67)

**სერვეტი 3:1 თუნი**
0:1 სტრელერი (15), 1:1 ლ. ტურე (37), 2:1 ობრადოვიჩი (77), 3:1 ბრატიჩი (85)

**ბაზელი 3:0 იანგ ბოისი**
1:0, 2:0, 3:0 ჰ. იაკინი (12, 30, 38)

**ქსამაქსი 0:1 გრასჰოპერი**
0:1 პ. კასტილიო (14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 7 | 5 | 2 | 0 | 15:5 | 42 |
| ბაზელი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:8 | 40 |
| იანგ ბოისი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:10 | 28 |
| ქსამაქსი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 27 |
| სერვეტი | 7 | 2 | 4 | 1 | 8:7 | 25 |
| ციურიხი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 21 |
| თუნი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:13 | 18 |
| ვილი | 7 | 0 | 2 | 5 | 1:14 | 18 |

### A/B ჯგუფი. VII ტური

**სიონი 0:1 ლუცერნი**
0:1 ჩენჩი (59)

ლუცერნი: ჰილფიკერი, მარკუს მაიერი, კ. შვეგლერი, მალაკარნე, ჟოლერი, როტა, ანდრეოლი (ზუკიჩი 80), ჰოფერი (ნალდო 46), ბრანდი, მუფი, ჩენჩი (ჩაველაშვილი 87)

კრინსი — დელემონი 0:1; სენტ გალენი — აარაუ 0:0

### B ჯგუფი. VII ტური

**ვოლენი 2:1 ლოზანა**
1:0 ხომერიკი (30), 2:0 შულცი (64), 2:1 მეოლი (71)

ვოლენი: პატუსი, იველი, ნუჩერა, ხ. ვიჩეკონტე, დ. მარკოვიჩი, კ. ვიჩეკონტე, ხომერიკი, მარტინოვიჩი, ფ. სესა, გასტალდი, კოლაჩინო

ბადენი — შაფჰაუზენი 4:0; ივერდონი — კონკორდია 2:1; ვინტერთური — ბელინცონა 0:0


ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდი
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი
ბილიარდი Billjardai
ZEUS
აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
მაღაზია სალონი WWW.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2



სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

## ვალენსია – ინტერი (0:1)

ვალენსია, „მესტალია“. მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| კანისარესი, რეველიერი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, რუფეტე, ბარახა, აიმარი, ვისენტე, კარეუ, ანგულო | ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, კორდობა, პასკუალე, ოკანი, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, დალმა, ვიერი, კრესპო |

დისკვალიფიცირებულნი: *ვალენსია:* დავიდ ალბელდა (1 მატჩი); *ინტერი:* ემრე ბელოზოღლუ (1 მატჩი)

# კანისარესის ცხვირწინ

ცოტა შორიდან დავიწყოთ. „ვალენსიამ“ ეს სეზონი ისეთი რიხით დაიწყო, დარწმუნებით იტყოდით, ესპანეთის ჩემპიონატში კვლავაც პირველობისთვის იბრძოლებს და ჩემპიონთა ლიგაშიც ძალიან შორს წავაო. პრიმერადივიზიონის ბოლო შვიდ ტურში ვალენსიელებმა ოდენ ერთი თამაში მოიგეს და მათმა საჩემპიონო ოცნებამაც ჩაილურის თუ არა, რომელიღაც იქაური მდინარის წყალი დალია. შინაურ ასპარეზზე „ვალენსია“ ოთხეულში მოხვედრისთვისღა იბრძვის. ხოლო თუ დღეს ექტორ კუპერის ნაშეგირდალებმა ექტორ კუპერის შეგირდებს სასურველი ანგარიშით ვერ სძლიეს, მეორე ოცნებაც იმავე წყალს დალევს. ბარემ სასურველი ანგარიშებიც ჩამოვთვალოთ: 2:0, 3:0, 3:1 და ასე შემდეგ. ისე, „ვალენსიამ“ 1:0-ზეც არ უნდა თქვას უარი, იმის იმედით, რომ დამატებით დროში რამეს გაახერხებს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „ინტერში“ გადაბარგების შემდეგ კუპერი დღეს მეოთხედ შეხვდება თავის ყოფილ გუნდს — ორჯერ შარშან, უეფას თასის მეოთხედფინალში გაეჯიბრა — და წინა სამი შეხვედრიდან ორში დაამარცხა, ერთიც ფრედ დასრულდა. და ერთი გახსენებაც: ორი კვირის წინ „ინტერისა“ და „ვალენსიას“ სანსიროულმა შეხვედრამ წმინდა კუპერულ სტილში ჩაიარა, ანუ „ინტერმა“ მალევე გაიტანა და მთელი დარჩენილი დრო საპასუხოს არგაშვებაზეღა ზრუნავდა. ჰოდა, საფიქრებელია, რომ კუპერი „მესტალიაზეც“ იგივე ტაქტიკით ითამაშებს, რაც მატჩის სანახაობით მხარეს არ წაადგება.

„იმედი მაქვს, საპასუხო მატჩი პირველზე ლამაზი იქნება — თქვა ამ მოსაზრების საპასუხოდ ესპანელთა მეკარე სანტიაგო კანისარესმა — ნუ გაგიკვირდებათ და, ვფიქრობ, მატჩის ბედი ჩემს საჯარიმო მოედანზე გადაწყდება. იმას ვგულისხმობ, რომ მთავარია, არ გაგვიტანონ, თორემ თუნდაც ერთი ბურთის გატანას ჩვენ როგორმე მოვახერხებთ. ხოლო მათ თუ გაგვიტანეს, სამი გოლი დაგვჭირდება, რისი მიღწევაც ფაქტობრივად, არარეალურია“. მილანური შეხვედრა კი კანისარესმა ასე გაიხსენა: „ინტერმა“ თავისი მომენტი გამოიყენა, ჩვენ იგივე ვერ შევძელით, ამიტომ იმის მტკიცება, რომ მათზე უკეთესები ვართ, უადგილოა. სჯობს ეს საქმეში ვაჩვენოთ“.

გეხსომებათ, რომ პირველ მატჩში მსაჯმა ჩხუბისთვის მილანელი ემრე ბელოზოღლუ და ვალენსიელი დავიდ ალბელდა გააძევა. ცხადია, დღეს ისინი ვერ ითამაშებენ. გარდა ამისა, ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის ფრანსისკო რუფეტეს საკითხიც — რაფაელ ბენიტესს ეს ნახევარმცველი სასტარტო შემადგენლობისთვის კი უნდა, მაგრამ მას ტრავმა აწუხებდა და ბოლო წამს გადაწყდება, თამაშს შეძლებს თუ ვერა.

დაზუსტებით ვერაფერს მოგახსენებთ „ვალენსიის“ ტაქტიკაზეც, მაგრამ ვითარების გათვალისწინებით, ბენიტესი თავის საყვარელ ტაქტიკას (რომელიც ერთი თავდამსხმელით თამაშს ითვალისწინებს) უღალატებს და გუნდს 4-4-2 სქემით ათამაშებს. ამ შემთხვევაში იონ კარეუს შეტევაში ხუან სანჩესი, მისტა ან მიგელ ანხელ ანგულო შეუწყვილდება.

„ინტერის“ ბანაკში გადავინაცვლოთ. ემრეზე უკვე მოგახსენეთ, სხვა მხრივ კი ფაბიო კანავარომ, ფრანჩესკო კოკომ და დომენიკო მორფეომ შაბათს „ბრეშასთან“ მატჩი გამოტოვეს და დღესაც არ იქნებიან.

შეტევაში კუპერი კრისტიან ვიერისთან ერნან კრესპოს შეწყვილებას აპირებს. შეგახსენებთ: ბრეშაში „ინტერს“ ვიერი და კრისტიანო ძანეტი გაუგდეს, შეცვლაზე შესულმა კრესპომ კი მაინც მოახერხა და ბოლო წუთზე გამარჯვებისა გაიტანა.

ექტორ კუპერი: „შაბათს ცხრა ფეხბურთელით მოვუგეთ გუნდს, რომელსაც იქამდე 16 თამაში არ წაეგო. ეს ნიშნავს, რომ „ინტერმა“ მცირე კრიზისს თავი დააღწია, რაც „ვალენსიასთან“ მატჩის წინ ლიგის ნახევარფინალში გასვლის შანსს გვიორმაგებს“.

**გიორგი დარჯანია**



„ინტერი“ ვიერით შეუტევს, თავს ტოლდოთი დაიცავს, ექტორ კუპერი კი „მესტალიას“ ერთხელაც მოინახულებს





REUTERS ვალენსიიდან



REUTERS ბარსელონიდან

ალესანდრო დელ პიეროს ტრეზეგე კი გამოეცალა, მაგრამ მაინც თავისას ეცდება

## ბარსელონა – იუვენტუსი (1:1)

ბარსელონა, „კამპ ნოუ“. მსაჯი: მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბონანო, პუიოლი, პ. ანდერსონი, ფ. დე ბური, რაიციგერი, ოვერმარსი, ხავი, მოტა, ლუის ენრიკე, კლუივერტი, სავიოლა | ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო |

დისკვალიფიცირებულნი: *ბარსელონა:* გაბრი (1 მატჩი); *იუვენტუსი:* არავინ

# MISSION IMPOSSIBLEE

**ტრავმირებული** დავიდ ტრეზეგეს გარეშე დარჩენილ „იუვენტუსს“ ასეთი ამოცანა უდგას: „კამპ ნოუზე“ უნდა შეძლოს ის, რაც ამ სეზონში ვერავინ შეძლო — „ბარსელონა“ უნდა დაამარცხოს ან 2:2, 3:3, 4:4 და ასე შემდეგ. დღევანდელ მეოთხედფინალურ შეხვედრამდე ორი კვირით ადრე „დელე ალპიზე“ მეტოქეებმა 1:1 ითამაშეს. იმ დღეს კატალონიელებმა ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ წაუგებელ შეხვედრათა რაოდენობა თხუთმეტამდე გაზარდეს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შინ შვიდიდან შვიდი აქვთ მოგებული.

ერთი სიტყვით, თუ მარჩელო ლიპის და მის ამალას ნახევარფინალში თამაში სურთ, „კამპ ნოუდან“ დადებითი შედეგი უნდა წამოიღონ. შეგახსენებთ, რომ შაბათს „ბებერმა ქალბატონმა“ იტალიის ჩემპიონატში „რომას“ 2:1 მოუგო და შეჯიბრების დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ცხრილის სათავეში ექვსქულიანი უპირატესობით მოკალათდა.

„ბარსელონას“ პირიქით, ესპანეთის ჩემპიონატში საქმე ისე აქვს, რომ ტიტულზე აღარ ფიქრობს. ჩემპიონთა ლიგის თამაშებისგან განსხვავებით პრიმერადივიზიონში კატალონიელებმა ძალიან ბევრი მატჩი ჩაატარეს ცუდად. თუმცა შაბათს, როდესაც „იუვე“ „რომას“ ებრძოდა, მადრიდში „რეალთან“ 1:1 ითამაშეს და მორალურად უეჭველად მოიმაგრდნენ.

„ამ სეზონში ჩვენი გულშემატკივრის დიდი ვალი დავიდეთ — ამბობს „ბარსას“ კაპიტანი ლუის ენრიკე — ისინი ღირსნი არიან ისეთი „ბარსელონასი“, რომელიც ტიტულისთვის იბრძვის, არადა, ამჯერად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. დღეს ჩვენ ერთხელაც ვითხოვთ ქომაგის თანადგომას“.

კატალონიელებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული მცველი გაბრი. სამაგიეროდ, „რეალთან“ შეხვედრისგან განსხვავებით მოედანზე იქნება არგენტინელი ხავიერ სავიოლა. პლუს, „ბარსას“ თავკაცს, რადომირ ანტიჩის განკარგულებაში გახლავთ ოქტომბერს მერე დაშავებული ლუის ენრიკე.

„იუვენტუსზე“ თავშივე მოგახსენეთ, რომ დავიდ ტრეზეგეს გარეშე მოუწევს ბრძოლა — ფრანგმა მხარი რომ იტკინა, ველარ გამოჯანმრთელდა, თუმცა ალესანდრო დელ პიერო უეჭველად შეეცდება თავისას. სავარაუდოდ, დელ პიეროს მეწყვილე „იუვეს“ შეტევაში მარკო დი ვაიო იქნება, ხოლო ურუგვაელი მარსელო ზალაიეტა სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

დელ პიეროცა და დი ვაიოც დიდი ხანი არ არის, რაც გამოჯანმრთელდნენ და ერთი შეხვედრით ცუდად არ უგებენ ერთმანეთს.

„ვინაიდან თავდამსხმელები გამოგვიცოცხლდნენ, ბარსელონას იმედით მივემგზავრებით — თქვა ტურინელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — „რომასთან“ მათმა თამაშმა დამაკმაყოფილა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დელ პიერომ ორი გოლი გაიტანა. ვფიქრობ, ბარსელონაში გოლს გავიტანთ. იქნებ 2:2 ვითამაშოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ“.

**პაატა ძიძია**

# სარბიელი • კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტური. 26 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-ჰანოვერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 004 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 005 | შალკე-ბოხუმი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 18.30 | 006 | გლადბახი-ლევერკუზენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | არმინია-კოტბუსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტური. 22 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 034 | ლიდსი-ფულჰემი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXXIV ტური. 22 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 063 | ბრაიტონი-კარდიფი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 064 | სოუთენდი-პლიმუთი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXXIV ტური. 22 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 080 | კემბრიჯი-ლინკოლნი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია "A". XXX ტური. 26 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 096 | რომა-მილანი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 097 | ბოლონია-კომო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 098 | კიევო-მოდენა | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |
| 18.00 | 099 | ემპოლი-უდინეზე | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 18.00 | 100 | იუვენტუსი-ბრეშია | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 101 | იუვენტუსი-ბრეშია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 102 | პიაჩენცა-პერუჯა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 18.00 | 103 | რეჯინა-პარმა | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 23.30 | 104 | ინტერი-ლაციო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXI ტური. 26 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 142 | ბილბაო-ბეტისი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 00.30 | 143 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 144 | მალიორკა-დეპორტივო | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 20.00 | 145 | ვალენსია-ალავესი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.00 | 146 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 147 | რასინგი-ესპანიოლი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.00 | 148 | მალაგა-რაიო | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 21.00 | 149 | ჰუელვა-ვილიარეალი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 22.00 | 150 | სევილია-რეალი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 23.30 | 151 | ბარსელონა-სოსიედადი(ს) | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIII ტური. 26 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 152 | სპორტინგი-ტენერიფე | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 21.30 | 153 | ტერასა-სარაგოსა | 2,9 | 2,8 | 2,5 | 1,42 | 1,34 | 1,32 |
| 21.30 | 154 | ეიბარი-კორდობა | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 00.30 | 155 | ლას პალმასი-სალამანკა | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 15.00 | 156 | ალბასეტე-ლეგანესი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 157 | ლევანტე-მურსია | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,39 | 1,34 | 1,34 |
| 21.00 | 158 | ბადახოსი-ხეტაფე | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 21.00 | 159 | ეხიდო-ალმერია | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 21.00 | 160 | ხერესი-[illegible] | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 21.00 | 161 | ელჩე-[illegible] | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| 21.00 | 162 | ნუმანსია-ოვიედო | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩები. 22 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 163 | ნანსი-ლემანი | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 164 | სტ.ეტიენი-ტულუზი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 165 | რეიმსი-ვალანსი | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 23.30 | 166 | ტრუა-[illegible] | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIX ტური. 25 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 187 | ვალვაიკი-ტილბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 188 | ჰერენვენი-ვიტესი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.30 | 189 | გრაფსხაპი-პსვ | 7,0 | 4,2 | 1,4 | 2,62 | 1,16 | 1,04 |
| 23.00 | 190 | ტვენტე-[illegible] | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 191 | ალკმაარი-აიაქსი | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 17.30 | 192 | ფეიენოორდი-[illegible] | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 193 | ფეიენოორდი-[illegible] 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 17.30 | 194 | ნაიმეხენი-უტრეხტი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 17.30 | 195 | გრონინგენი-ბრედა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **პოლონეთი. XXIII ტური. 25 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 241 | ლეგია-პოგონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 242 | ზაგლემბე-პლოცკი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 21.15 | 243 | ვისლა-ამიკა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 22.00 | 244 | რუხი-ვიძევი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 245 | გროცლინი-პოლონია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 18.00 | 246 | გარბარნია-ლეხი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **თურქეთი. XXIX ტური. 26 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 247 | ელაზიგი-ბეშიქთაში | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 18.30 | 248 | ანკარაგუჯუ-დიარბაქირი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.00 | 249 | ფენერბაჩე-სამსუნი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 250 | ფენერბაჩე-სამსუნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 251 | ალთაი-გენჩლერბირლიგი | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 16.30 | 252 | ტრაბზონი-გოზთეფე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 16.30 | 253 | გაზიანთეპი-ისთანბულსპორი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 16.30 | 254 | მალათია-ბურსა | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 21.00 | 255 | გალათასარაი-ადანა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 256 | გალათასარაი-ადანა 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXIV ტური. 26 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 257 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 258 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 259 | დანფერმლაინი-ჰარტსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 260 | პარტიკი-მაზერველი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 261 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 262 | დანდი-კილმარნოკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **დანია. გადადებული მატჩი. 24 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 287 | ფარუმი-ორჰუსი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| | | **ავსტრია. XXX ტური. 22 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 297 | შტურმი-აუსტრია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 298 | რაპიდი-გრაცერი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 22.30 | 299 | ბრეგენცი-პაშინგი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 22.30 | 300 | რიდი-ზალცბურგი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 22.30 | 301 | ადმირა-კერნტენი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **რუსეთი. VI ტური. 23 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 323 | ჩერნომორეცი-ცსკა | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 16.00 | 324 | როსტსელმაში-ალანია | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 16.00 | 325 | სატურნი-კრილია | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 16.00 | 326 | სპარტაკი-ზენიტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 16.00 | 327 | რუბინი-ურალანი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 328 | ლოკომოტივი-მეტალურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 16.00 | 329 | როტორი-შინიკი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 16.00 | 330 | დინამო-ტორპედო | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| | | **შვედეთი. III ტური. 22 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 331 | ჰამარბი-აიკ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **ნორვეგია. II ტური. 22 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 342 | ბრანი-როზენბორგი | 4,2 | 3,6 | 1,7 | 1,93 | 1,21 | 1,15 |
| | | **საფრანგეთი. თასი. ½ ფინალი. 26 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 353 | ოსერი-რენი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 354 | პსჟ-ბორდო | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| | | **საბერძნეთი. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი. 23 აპრილი** | | | | | | |
| 21.45 | 355 | აეკ-პაოკ | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **საბერძნეთი. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი. 23 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 356 | არისი-ეგალეო | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | | **ჩეხეთი. თასი. 1/4 ფინალი. 23 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 357 | ბუდეიოვიცე-პრიბრამი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **პოლონეთი. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი. 23 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 358 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 359 | პლოცკი-რადომიაკი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **ფინალი. (ნეიტრალურზე). 23 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 360 | გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| | | **დანია. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი. 24 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 361 | ბრონდბი-ოლბორგი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.00 | 362 | ვაილე-მიდტიულანდი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. ¼ ფინალი. II ეტაპი. 22 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 363 | ბარსელონა-იუვენტუსი | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 23.45 | 364 | ვალენსია-ინტერი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 365 | მანჩესტერი-რეალი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 23.45 | 366 | მილანი-აიაქსი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **უეფას თასი. ½ ფინალი. II ეტაპი. 24 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 367 | ლაციო-პორტუ | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 00.05 | 368 | ბოავიშტა-სელტიკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I ეტაპი. 22 აპრილი** | | | | | | |
| 05.10 | 369 | ოლიმპია-გრემიო | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 03.10 | 370 | ს. კრისტალი-ინდეპენდიენტე | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 05.40 | 371 | ნასიონალი-სანტოსი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 05.10 | 372 | ბოკა ხუნიორსი-პაისანდუ | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 აპრილი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | ლიდსი-ფულჰემი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.45 | 2102 | ბარსელონა-იუვენტუსი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 2103 | ვალენსია-ინტერი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2104 | მანჩესტერი-რეალი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,6 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 2105 | მილანი-აიაქსი | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2106 | ლაციო-პორტუ | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 00.05 | 2107 | ბოავიშტა-სელტიკი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

**ქვირას, 27 აპრილს, აღდგომას კროკო არ იმუშავებს**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 07.30 | 373 | უნამ-კობრელოა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **ჰოკეი. მჩ. (18 წლამდე) რუსეთში. 22 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 601 | აშშ-რუსეთი | 3,8 | 5,0 | 1,5 | 2,15 | 1,07 | 1,15 |
| 20.00 | 602 | კანადა-სლოვაკეთი | 1,6 | 4,8 | 3,4 | 1,2 | 1,08 | 1,99 |
| | | **ჰოკეი. NHL. 22 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 618 | ფილადელფია-ტორონტო | 1,8 | 3,5 | 3,3 | 1,18 | 1,16 | 1,69 |
| 07.00 | 619 | კოლორადო-მინესოტა | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 07.30 | 620 | ვანკუვერი-სტ.ლუისი | 2,15 | 3,4 | 2,7 | 1,31 | 1,19 | 1,5 |
| | | **კალათბურთი. ულების თასი. 24 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 659 | ვალენსია-კრკა | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| | | **კალათბურთი. NBA. 22 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 660 | ნიუ ჯერსი-მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 06.30 | 661 | მინესოტა-ლეიკერსი | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1,64 | 1 | 1,48 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 662 | ფილადელფია-ნიუ ორლეანი | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2,13 |
| 05.00 | 663 | დეტროიტი-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 06.30 | 664 | დალასი-პორტლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **22 აპრილი** | | |
| 23.45 | 1001 | ბარსელონა-იუვენტუსი | 1,5 | 2,2 |
| 23.45 | 1002 | ვალენსია-ინტერი | 2,4 | 1,4 |
| | | **23 აპრილი** | | |
| 23.45 | 1003 | მანჩესტერი-რეალი | 4,0 | 1,15 |
| 23.45 | 1004 | მილანი-აიაქსი | 1,35 | 2,5 |
| | | **24 აპრილი** | | |
| 24.00 | 1005 | ლაციო-პორტუ | 6,5 | 1,05 |
| 00.05 | 1006 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,6 | 2,0 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 2001 | ლიდსი-ფულჰემი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 23.45 | 2002 | ბარსელონა-იუვენტუსი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 23.45 | 2003 | ვალენსია-ინტერი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 2004 | მანჩესტერი-რეალი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 23.45 | 2005 | მილანი-აიაქსი | 1,95 | 2,2 | 6,0 | 1,03 | 1,47 | 1,6 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 2006 | ლაციო-პორტუ | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| 00.05 | 2007 | ბოავიშტა-სელტიკი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **22 აპრილი** | | |
| 23.45 | 2301 | ლიდსი-ფულჰემი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2302 | ბარსელონა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2303 | ვალენსია-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| | | **23 აპრილი** | | |
| 23.45 | 2304 | მანჩესტერი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 23.45 | 2305 | მილანი-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| | | **24 აპრილი** | | |
| 24.00 | 2306 | ლაციო-პორტუ | 1,65 | 1,95 |
| 00.05 | 2307 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,7 | 1,9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **22 აპრილი** | | |
| 23.45 | 2401 | ლიდსი-ფულჰემი | 1,55 | 2,5 |
| 23.45 | 2402 | ბარსელონა-იუვენტუსი | 1,75 | 2,1 |
| 23.45 | 2403 | ვალენსია-ინტერი | 1,7 | 2,2 |
| | | **23 აპრილი** | | |
| 23.45 | 2404 | მანჩესტერი-რეალი | 1,7 | 2,2 |
| 23.45 | 2405 | მილანი-აიაქსი | 1,4 | 3,0 |
| | | **24 აპრილი** | | |
| 24.00 | 2406 | ლაციო-პორტუ | 1,4 | 3,0 |
| 00.05 | 2407 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,85 | 1,95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **22 აპრილი** | | | |
| 23.45 | 2501 | ლიდსი-ფულჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2502 | ბარსელონა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2503 | ვალენსია-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **23 აპრილი** | | | |
| 23.45 | 2504 | მანჩესტერი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2505 | მილანი-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| | | **24 აპრილი** | | | |
| 24.00 | 2506 | ლაციო-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.05 | 2507 | ბოავიშტა-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **22 აპრილი** | | |
| 23.45 | 2201 | ლიდსი-ფულჰემი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2202 | ბარსელონა-იუვენტუსი | 1.85 | 1.75 |
| 23.45 | 2203 | ვალენსია-ინტერი | 1,75 | 1,85 |
| | | **23 აპრილი** | | |
| 23.45 | 2204 | მანჩესტერი-რეალი | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2205 | მილანი-აიაქსი | 1,8 | 1,8 |
| | | **24 აპრილი** | | |
| 24.00 | 2206 | ლაციო-პორტუ | 2,0 | 1,6 |
| 00.05 | 2207 | ბოავიშტა-სელტიკი | 1,7 | 1,9 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# აკადემია დიდების თამაშს თამაშობს

რამდენიმე მატჩიც და პლეი ოფი მოაკაკუნებს. საუკეთესო რვა გუნდი მეოთხედფინალში დაწყვილდება, მაგრამ ყველაფრის საბოლოოდ დალაგებამდე ერთი-ორი საინტერესო მატჩი კიდევ შერჩა რეგულარულ ჩემპიონატს.

დედაქალაქმა უკვე მოიხადა ვალი რეგულარული ჩემპიონატის წინაშე. ორი ულაზათო მატჩით შაბათს თბილისი ეროვნულს პლეი ოფამდე დაემშვიდობა. ჯერი რუსთავსა და ბათუმზეა, სადაც საბოლოოდ დაესმება წერტილი ამ გაწელილ-გაზუნებულ რეგულარულს.

შაბათის მატჩებიო... აბა, რა უნდა ითქვას „დინამო" — „მაკაბიზე". პირველი ჯერჯერობით ჩემპიონატის საუკეთესო გუნდია, მეორე კი — ალბათ უსუსტესი. „მაკაბის" ბოლო 12 შეხვედრა წაეგო და „დინამოსთანაც" შესაწირი ზვარაკივით გავიდა მოედანზე. ბრაიკოვიჩის გუნდმაც არ დაინდო მაკაბელები და 56 ქულით გაანადგურა.

თსუ — „აკადემიას" ანგარიშის შემხედვარემ, შესაძლოა იფიქროთ, აი, აქ იქნებოდა ბრძოლაო... მწარედ შეცდებით. ამ თამაშის შედეგი წინდაწინ გახლდათ ცნობილი. ორივე გუნდისთვის ეს უკანასკნელი მატჩი იყო რეგულარულში და თუ სტუდენტებისთვის არაფერს წყვეტდა, პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ აკადემიელთათვის „სასიცოცხლო" მნიშვნელობა ჰქონდა. ჰოდა, რადგან ეს გუნდები ერთმანეთს არ „მტრობენ", გაცილებით ძლიერმა თსუელებმა განახევრებული შემადგენლობით ითამაშეს და ახალგაზრდა აკადემიელებსაც მონდომება დაუფასდათ.

ახლა აკადემიელთა ბედი 24 აპრილის ბათუმურ მატჩზე ჰკიდია, რომელშიც „ქუთაისი" სსუ-ს მასპინძლობს. სოხუმელები თუ მოიგებენ „აკადემია" პლეი ოფში ითამაშებს. არადა, ოთხ გუნდს — „მაკაბი", „ქუთაისი", „აკადემია" და სსუ — შვიდ-შვიდი მოგება უგროვდება. ასეთ შემთხვევაში ყველაფერს ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები გადაწყვეტს. თუ მართლაც ასე მოხდა, „აკადემია" დარჩება განზე.

ისე კი, ამ ვარაუდების გაქარწყლება ქუთაისელებს შაბათსავე შეეძლოთ. იმერლები რუსთავში „აზოტს" ესტუმრნენ და მასპინძელთა დამარცხებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ.

**ირაკლი პერტაია**

19 აპრილი. ვერის ბაღი

### აკადემია 73:72 თსუ

23:14, 18:9, 9:23, 23:26

**აკადემია:** გამყრელიძე (8), ლეჟავა (16), ჩხატარაშვილი (9), გ. სანიკიძე (32), გვიმრაძე (8); ჯანეზაშვილი, გიორგობიანი

**თსუ:** ვეფხვაძე (16), გ. ჩხეიძე (3), ლ. შანიძე, ორმოცაძე (16), კილაძე (16); არსიაშვილი (5), ბ. ბერიშვილი (16), ზ. სანიკიძე, მიქაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

### დინამო 116:60 მაკაბი

31:15, 27:21, 24:7, 34:17

**დინამო:** აბრამიძე (8), მარკოიშვილი (24), ბეჟანიშვილი (12), ჩუბინიძე (11), სიროვინა (8); ხოშტარია (2), თორთლაძე (11), მუპე (6), რ. ჩხეიძე (19), ნინიაშვილი (5), მინაშვილი (10)

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (9), ნინოშვილი (9), კონჯარია (7), ვაშაკიძე (14), ფიცხელაური (9); ქოქოსაძე, აკოლაშვილი (4), ერგემლიძე (5), ტატუნაშვილი (3)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

19 აპრილი. რუსთავი

### აზოტი 93:90 ქუთაისი

23:21, 21:24, 27:25, 22:20

**აზოტი:** ქლენტი (12), არნნივაძე (3), გოგობერიშვილი (38), ბერუაშვილი (18), მაჭარაძე (9), ტყეშელაშვილი (10), ჯიმშელეიშვილი (3), ჩაჩუა

**ქუთაისი:** ნინუა (19), კვიმსაძე (14), პირტახია (12), ნ. შანიძე (2), იმნაძე (38), ვ. მაისურაძე (5), შავლაყაძე

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 26 | 4 | + 647 | 56 |
| სტუ | 31 | 24 | 7 | + 489 | 55 |
| ბასკო | 29 | 23 | 6 | + 684 | 52 |
| აზოტი | 31 | 20 | 11 | + 88 | 51 |
| თსუ | 32 | 18 | 14 | + 115 | 50 |
| აკადემია | 32 | 7 | 25 | - 427 | 39 |
| მაკაბი | 32 | 7 | 25 | - 617 | 39 |
| სსუ | 30 | 7 | 23 | - 605 | 37 |
| ქუთაისი | 29 | 6 | 23 | - 374 | 35 |

## NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე

*დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. წლევანდელი პლეი ოფის პირველ ორ დღეს რვავე წყვილმა მოასწრო თამაში და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სპორტულ თამაშებზე წინასწარ მეტყველება და მათი შედეგის ამოცნობა ტყუილი მეცადინეობაა. რვა წყვილში რვა მასპინძელიდან, ანუ რვა ძლიერიდან, ოთხმა თავჩახრილმა დატოვა საკუთარი მოედანი და მათ შორის გაერივნენ ამერ-იმერ კონფერენციების საუკეთესო გუნდები რეგულარული ჩემპიონატის მიხედვით. „ფინიქსის" სან ანტონიოში გამარჯვება უქმეების მთავარი სენსაციაა.*

### აღმოსავლეთი

19-20 აპრილი

**ნიუ ჯერსი 109:96 მილუოკი**

**ნიუ ჯერსი:** მარტინი (21), კიდი (14 ქულა, 14 პასი)

**მილუოკი:** ტომასი (25)

**ინდიანა 100:103 ბოსტონი**

**ინდიანა:** არტესტი (26), ონილი (24)

**ბოსტონი:** პირსი (40), უოლკერი (22)

**დეტროიტი 94:99 ორლანდო**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (28)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (43)

**ფილადელფია 98:90 ნიუ ორლეანი**

**ფილადელფია:** აივერსონი (55)

**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (28)

დიდი ამბები დატრიალდა ინდიანაპოლისში. იქაური „ინდიანა" ერთი შეხედვით იოლად ამარცხებდა შარშანდელ პლეი ოფში ორი წრის დამძლევ, წლეულს კი აუტსაიდერად ჩათვლილ „ბოსტონს", მაგრამ საბოლოოდ მაინც წააგო და მოედნის უპირატესობა დაკარგა. მასპინძელთა ანჩხლი ფორვარდი რონ არტესტი სამი მეოთხედი სჯობდა ბოსტონელთა ჯილას პოლ პირსს, მაგრამ პირსი, რომლის მარიფათზეც მთელი „ბოსტონი" ჰკიდია, სწორედ ბოლო მეოთხედში აფეთქდა და 13 ქულით მოლიდერე „ინდიანაც" ააფეთქა. მან დასკვნით 12-წუთეულში 21 ქულა ჩააგდო. სხვათა შორის, საამატჩო 40 ქულიდან პირსმა 21 საჯარიმოებით ჩაიწერა და ყველა დროის რეკორდიც დაამყარა. საჯარიმო არ გაუფუჭებია.

40 ქულას ასცდა ორლანდოელი სუპერბიჭუნა ტრეისი მაკგრეიდი. მან ისე იოლად გაჭრა ლიგაში საუკეთესო დაცვითი გუნდის ზონა, თითქოს „კლივლენდთან" თამაშობდა, ანაც საკუთარი გუნდის ვარჯიშზე თანაგუნდელებთან თავმომწონეობდა. „დეტროიტს" ვერ უშველა ნბა-ს უყოჩაღესმა დამცველმა ბენ ვოლესმა, რომლის ტრავმირებულთა სიაში შეყვანა ამ ორი კვირის წინ კლასიკური ბლეფი იყო. ვოლესი და მისიანები მაკგრეიდის გამჩერებლები მაინც არ იყვნენ. „დეტროიტმაც", აღმოსავლეთის რჩეულმაც დაკარგა მოედნის უპირატესობა. მის მწვრთნელ რიკ კარლაილს ისღა დარჩენოდა, მაკგრეიდი პლანეტის საუკეთესო კალათბურთელად გამოეცხადებინა.

სადღეისოდ მაკგრეიდი იქნებ მართლაც საუკეთესოა და ვინ იცის, შეიძლება, სეზონის უძვირფასეს მოთამაშედაც დაასახელონ, მაგრამ პლეი ოფში ყველაზე ხმამაღალი სიტყვა ჯერჯერობით ყოფილმა უძვირფასესმა ფილადელფიელმა, ალენ აივერსონმა თქვა. მან 55 ქულა ჩაუგდო „ნიუ ორლეანს" და გახდა მეექვსე, ვისაც საპლეიოფო თამაშში 50 ქულაზე მეტი მოუხვეჭია. მისმა „ფილადელფიამ" კი, რაღა თქმა უნდა, მოიგო.

მეოთხე აღმოსავლურ წყვილში იმარჯვა აღმოსავლეთის მთავარმა ფავორიტმა და წინა ფინალის მონაწილე „ნიუ ჯერსიმ". ვიცე-ჩემპიონთა ლიდერმა ჯეისონ კიდმა მორიგი დუელი მოუგო მილუოკელ გერი პეიტონს.

# 55



### დასავლეთი

19-20 აპრილი

**სან ანტონიო 95:96 ფინიქსი**

ძირითადი დრო 87:87

**სან ანტონიო:** ჯექსონი (23), დანკანი (17)

**ფინიქსი:** მარბერი (26), მარიონი (24), სტუდემაიერი (24)

**საკრამენტო 96:90 იუტა**

**საკრამენტო:** ვებერი (27)

**იუტა:** მელოუნი (25)

**დალასი 96:86 პორტლენდი**

**დალასი:** ნოვიცკი (46)

**პორტლენდი:** ვოლესი (26)

**მინესოტა 98:117 ლეიკერსი**

**მინესოტა:** გარნეტი (23 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39), ონილი (32 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება)

მარცხით დაიწყო პლეი ოფი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდმა სან ანტონიომ და წაგების პასუხისმგებლობა ყველაზე მეტად „სფურზის" ლიდერ ტიმ დანკანს დააწვება. ფინიქსელებმა მოახერხეს ტეხასელი მონსტრის გაჩერება, მაგრამ თამაშიდან გმირად გამოსვლის შანსი მაინც მისცეს, ოვერტაიმის დამთავრებამდე 4 წამით ადრე დაჯარიმდნენ. „სფურზი" 95:93 იგებდა და დანკანს ახლა მაინც რომ ეყოჩაღა, საბოლოოდაც მოიგებდა, მაგრამ ტიმმა ორივე ააცილა. მეორე ბურთი „ფინიქსის" ცქვიტმა ლიდერმა სტივენ მარბერიმ მოხსნა, მოედნის გადარბენაც მოასწრო და სამიანის სროლაც. ბურთი, რომელსაც საფინალო სირენამ ჰაერში მოუსწრო, ჩავარდა და „სან ანტონიოს" დებიუტი ჩაუგდო.

„სან ანტონიოსგან" განსხვავებით, იმარჯვეს სხვა დასავლელმა ბობოლებმა. „საკრამენტომ" ბებრების „იუტა" დაამარცხა, ხოლო „დალას მავერიკსმა" „პორტლენდი" დასცა. დალასელმა დირკ ნოვიცკიმ 46 ქულა ჩააგდო. ზორბა გერმანელი მთელი მატჩი ბრწყინავდა, თუმცა გამოსარჩევია მესამე მეოთხედის დასაწყისი, რომელიც „დალასმა" 15:1 მოიგო. ნოვიცკიმ ამ მონაკვეთში 10 ქულა მიითვალა.

მინეაპოლისში დამხვდური „მგლები" დაიფრინა ბოლო სამი პლეი ოფის მომგებმა „ლეიკერსმა". ჩემპიონთა სუპერდუეტმა — კობიმ და შაკმა — ჯამში 71 ქულა ჩააგდეს და მინესოტელებთან ერთად ყველა სხვაც დააფეთეს.



## ჭაბუკთა მსოფლიოს თასი
## პარიზი 10-19 აპრილი

19 აპრილი

| | |
|---|---|
| **ფინალი** | **9 ადგილისთვის** |
| ს. აფრიკა 22:18 ა. ზელანდია | იაპონია 28:20 საქართველო |
| **3 ადგილისთვის** | **11 ადგილისთვის** |
| საფრანგეთი 45:24 არგენტინა | იტალია 6:3 რუსეთი |
| **5 ადგილისთვის** | **13 ადგილისთვის** |
| ირლანდია 22:22 ინგლისი (არეკნებით 4:3 მოიგო ირლანდიამ) | ს. კორეა 21:5 ნამიბია |
| **7 ადგილისთვის** | **15 ადგილისთვის** |
| უელსი 10:6 შოტლანდია | რუმინეთი 13:3 კანადა |

# გაფუჭებული საათი საქართველო ათზე გაჩერდა

**საფრანგეთში** დასრულებულ ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა შარშანდელი შედეგი გაიმეორა — ისევ მე-10 ადგილი დაიკავა.

მე-9 ადგილისთვის მატჩში ჩვენები იაპონელ თანატოლებთან 20:28 დამარცხდნენ, არადა, იმავ იაპონიას შარშან ქართველმა ჭაბუკებმა 15:12 მოუგეს.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ელიტარულ 16 გუნდშიც შეინარჩუნეს ადგილი და საუკეთესო ათეულში მოხვდნენ, რაც ევროპაში აღიარებულმა ისეთმა სარაგბო ქვეყნებმა ვერ შეძლეს, იტალია და რუმინეთი რომ არიან. მეტიც, რუმინეთი, კანადასთან ერთად, სულაც გავარდა ა ჯგუფიდან. მათი ადგილები ბ ჯგუფის ფინალისტებმა — ურუგვაიმ და ჩილემ დაიკავეს. მათი ფინალი 19:19 დასრულდა და ურუგვაიმ მატჩისშემდგომი არეკნებით მოიგო.

ა ჯგუფის ჩემპიონი კი გახდა სამხრეთ აფრიკა, რომელმაც ფინალში ახალი ზელანდიის საკმაოდ ძლიერი ნაკრები 22:18 დაამარცხა.

**ბაჩო სვანიძე**



## NHL სტენლის თასი. პირველი წრე ოთხ მოგებამდე

# სან ლუი ტამპას წმინდანივით იფარავს

### აღმოსავლეთი

18-20 აპრილი

#### ტამპა 4:2 ვაშინგტონი

**ტამპა 2:1 ვაშინგტონი** *1:0 0:1 1:0*

1:0 პროსპალი (14), 1:1 ნიულანდერი (38), 2:1 სან ლუი (52)

**ვაშინგტონი 1:2 ტამპა** *0:0 1:0 0:1 0:0 0:0 0:1*

1:0 ბონდრა (18), 1:1 ანდრეიჩუკი (56), 1:2 სან ლუი (105)

ღირდა კი ამდენი წვალება, თუ ერთი სულელური საქციელით მასპინძლები ყველაფერს წყალს მისცემდნენ. მესამე ოვერტაიმში ვაშინგტონელები ბავშვურად შეცდნენ — მოედანზე ერთი ზედმეტი მოთამაშე აღმოაჩნდათ, რისთვისაც ორწუთიანი ჯარიმა მიიღეს. სტუმრებმაც შესაძლებლობა არ გაუშვეს ხელიდან. სერიის გმირი „ჯუჯა" მარტენ სან ლუი კარის უკნიდან უეცრად დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და მეკარე ოლაფ კოლციგსაც შანსი არ დაუტოვა. ეს სან ლუის ზედიზედ მესამე (!) გამარჯვების გოლი აღმოჩნდა, რომელმაც ტამპა პირველად გაიყვანა პლეი ოფის მეორე რაუნდში.

#### ფილადელფია 3:2 ტორონტო

**ფილადელფია 4:1 ტორონტო** *2:1 1:0 1:0*

0:1 ბერგი (3), 1:1 კაპანენი (15), 2:1 იუშკევიჩი (17), 3:1 განიე (35), 4:1 კაპანენი (49)

ფილადელფიის მზარდი ზეწოლა ტორონტოსთვის სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება. პრაქტიკულად ყველა მატჩში „მფრინავები" წინაზე გაცილებით მეტს უტევენ, კარშიც ხშირად ურტყამენ და ნელ-ნელა ნაყოფსაც იმკიან. ამჯერად მათ ოვერტაიმში წვალებაც აიცილეს თავიდან, რაც სამი კაპანენის დამსახურებაა. ფინელმა როგორც იქნა, დაძლია საგოლე კრიზისი და დუბლი შეასრულა.

### დასავლეთი

#### დალასი 4:1 ედმონტონი

**ედმონტონი 2:3 დალასი** *0:2 2:0 0:1*

0:1 იანგი (1), 0:2 ბუშე (11), 1:2 რ. სმიტი (23), 2:2 ჰორკოფი (29), 2:3 მოდანო (54)

ედმონტონს პლეი ოფში დალასთან მარცხი დაებედა. ტეხასელებმა მეტოქე ზედიზედ მეხუთედ წააქციეს, თან სცენარიც ყოველთვის მეორდება. „მენავთობეები" თავიდან უძალიანდებიან მეტოქეს, მაგრამ ბოლოს არაქათი ეცლებათ. კანადელთა ოცნება ამჯერად დალასის ლიდერმა მაიკ მოდანომ მოკლა.

#### კოლორადო 3:2 მინესოტა

**კოლორადო 2:3 მინესოტა** *0:1 0:2 2:0*

0:1 მიტჩელი (4), 0:2 კუბა (24), 0:3 დიუპუი (39), 1:3 რაინპრეხტი (43), 2:3 ბლეიკი (60)

პირველი გოლის ფაქტორი ამ სერიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ხუთივე მატჩში გამარჯვება სწორედ ანგარიშის გამხსნელს შეხვდა. ამჯერად პირველი გოლი მინესოტელმა უილი მიტჩელმა გაიტანა, რომლის არცთუ სახიფათო დარტყმამ უეცრად გააოგნა პატრიკი რუა. მერე სტუმრებმა თავიანთი საფირმო დაცვითი კედელიააშენეს და, მიუხედავად დენვერელთა შტურმისა, სერიის გახანგრძლივება მოახერხეს.

#### ვანკუვერი 3:3 სენტ ლუისი

**ვანკუვერი 5:3 სენტ ლუისი** *1:0 3:1 1:2*

1:0 სოპელი (3), 1:1 ნეში (28), 2:1 ბერტუცი (29), 3:1 მორისონი (37), 4:1 ნესლუნდი (39), 4:2 სტილმანი (48), 4:3 რუჩინსკი (59), 5:3 სალო (60)

**სენტ ლუისი 3:4 ვანკუვერი 1:2 0:2 2:0**

0:1 ნესლუნდი (4), 1:1 უეიტი (11), 1:2 ოლუნდი (15), 1:3 მ. სედინი (29), 1:4 თივანოვსკი (37), 2:4 ბოგუნიცკი (47), 3:4 უეიტი (51)

ნესლუნდმა გაილვიძა, ბერტუციც გამოაფხიზლა და ვანკუვერი ათამაშდა. კანადურმა კლუბმა ლიდერების ძალისხმევით ამ სერიას ინტრიგა დაუბრუნა. მეექვსე მატჩში ორივემ გაიტანა, მომდევნოში კი ნესლუნდმა გოლს ორი პასიც მიაყოლა.

# ბიშტი ანიკოს

## TENNIS MASTERS MONTE CARLO

თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

### მეოთხედფინალი

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:0, 6:2; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:2; ვინსენტ სპედია (აშშ) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:1, 6:3; გილერმო კორია (არგენტინა) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:1, 6:1**

### ნახევარფინალი

**ფერერო — სპედია 6:3, 6:4; კორია — მოია 7:6 (7:3), 6:2**

### ფინალი

**ფერერო — კორია 6:2, 6:2**

საოცარდ(?)ში იმ დღეს კატეგორიულად ამხანაგები და ტურნირის ორგანიზატორებს მასტერსერიის ფინალისთვის დაგეგმილი ხუთსეტიანი შეხვედრის ნაცვლად სამსეტიანის მოწყობა მოუხდათ. თუმცა მესამე სეტამდე საქმე არ მისულა — შარშანდელმა ჩემპიონმა ხუან კარლოს ფერერომ გილერმო კორიას მთელი ამბავი 75 წუთში მოუგვარა.

ეს 23 წლის ესპანელის მეორე საკარიერო ტიტული იყო და იგი შეიქნა მეოთხე მჩოგანი, ვისაც მონტე-კარლოში ზედიზედ ორჯერ გამარჯვება მოუხერხებია. წინათ ილიე ნასტასე, ბიორნ ბორგი და ტომას მუსტერი იყვნენ.

ახლა ფერეროს სურს, გახდეს ამჟრის პირველმჩოგანი, მიიღოს როლან გაროსი და იმარჯვოს აშშ-ის ღია პირველობაზე. ეს უკანასკნელი — განსაკუთრებით, რადგანაც ფერერომ ყველას უნდა დაუმტკიცოს — ამერიკულ სეფებზე(?) წარმატება ჯიშად მოთიხნარე ესპანელებსაც შეუძლიათ.

თუმცა როლან გაროსამდე ჯერ დიდი დროა და „კლდოდ" წოდებული ესპანელი იქამდე ბარსელონურ, ვალენსიურ, ჰამბურგულ და რომაულ თიხნარტურნირებზე გაიჩაუქებს.

ჰო, მართლა — კარიერის მესამე მასტერსტიტული (ორ მონტეკარლოურს პლუს რომაული) ფერეროს 400 ათასი ევროთიც მოუბეზვდა.

## BAUSCH &LOMB CHAMPIONSHIPS

ამელია აილენდი. თიხნარი. საპრიზო 585 ათასი $

### მეოთხედფინალი

**ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — მონიკა სელეში (6, აშშ) 6:2, 6:4; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 6:1, 6:1; ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — ლიზა რეიმონდი (12, აშშ) 6:2, 6:0; ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (4, სლოვაკეთი) 6:0, 6:1**

### ნახევარფინალი

**დემენტიევა — ენენ-არდენი 3:6, 6:4, 7:5; დევენპორტი — კაპრიატი 6:3, 5:7, 6:2**

### ფინალი

**დემენტიევა — დევენპორტი 4:6, 7:5, 6:3**

ელენა დემენტიევა ანა კურნიკოვას დარად 21 წლის რუსი გოგოა, ბეჭებზე ქერა თმები აყრია და ქალთა ჩოგბურთის სლავური რამე-რუმით ავსებს.

მაგრამ ეგ არის და ეგ — ელენასა და ანას იდენტური აქამდეც მხოლოდ ეროვნების გრაფა და ასაკი ჰქონდათ, თორემ სხვაგვარივ ისინი აბსოლუტურად განსხვავებული ტიპები არიან. „ის მაიამში ცხოვრობს, მე კი — მოსკოვში" — ამბობს ლენა.

ხოლო გასული კვირის შემდეგ მათ კიდევ ერთი რამეც ასხვავებთ — ლენას WTA-ის ტიტულით კვეხნა შეუძლია, ანას კი დღემდე ერთი ქეციანი ტურნირიც არ მოუგია.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დემენტიევამ ამელია აილენდში ბრწყინვალე კვირა ჩაითამაშა, ზედმიწევნით გაიმასხნა მეორე ნომრად განთესილი ამანდა კუცერი, მეოთხე ნომრად განთესილი დანიელა ჰანტუხოვა, ტურნირის პირველმჩოგნე ენენ-არდენი და სულ ბოლოს — 1997 წლის ჩემპიონი ლინდსი დევენპორტი.

შედეგად — კარიერის პირველი ტიტული და 93-ათასდოლარიანი ჩარიზი.

ბიშტი ანიკოს!

## BUDAPEST GRAND PRIX

თიხნარი. საპრიზო 110 ათასი $

### ფინალი

**მაგი სერნა (2, ესპანეთი) — ალისია მოლიკი (3, ავსტრალია) 3:6, 7:5, 6:4**

უზომმორესმა ესპანელმა მაგი სერნამ კარიერის მესამე ტიტული მოიხვეჭა. ეგებ გახსოვდეთ, მან წინა კვირას ესტორილის ისე-რა ტურნირზეც იმარჯვა.



## ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეოთხე ეტაპი

ბიბლიოთეკა





REUTERS იმოლადან

მიხაელ შუმახერმა დედა პოდიუმზე დაიტირა

# ზეკაცი შუმახერმა ტრაგედია და ტრიუმფი ერთ დღეში ჩაატია

**ორი კვირის** წინ ავარიის გამო ვადამდე შეწყვეტილი ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშებისას იმდენი დავიდარაბა მოხდა, რომ სან პაულუს წვიმიან ჯოჯოხეთთან შედარებით მშრალ „იმოლაზე" გუშინწინდელი ემოციადაცლილი რბოლა მოსაწყენ სანახაობად გამოჩნდა. არც პოდიუმზე დაჯილდოებისას იგრძნობოდა გამოცოცხლება — წლეულს პირველი, 13-წლიან კარიერაში კი 65-ე ეტაპის მოგება მიხაელ შუმახერს ჩვეული ნახტომით და ხელების ქნევით არ აღუნიშნავს, შავსამკლაურიანმა დამმარებული სახით ჩაიბარა სან მარინოს მართლაც დიდი პრიზი, ხოლო გერმანიის ჰიმნისას ლამის წაიტირა კიდეც. პრიზიორებმა უხმაუროდ დატოვეს პოდიუმი, ისე რომ, არც შამპანური გაუხსნიათ და არც ტრადიციული სამახსოვრო ფოტო გადაუღიათ.

მიზეზი ის გახლავთ, რომ კვირას რბოლამდე რამდენიმე საათით ადრე მიხაელ და რალფ შუმახერებს დედა გარდაეცვალათ. ფრაუ ელიზაბეტი 55 წლისა ალესრულა კიოლნის ერთ-ერთ კლინიკაში გონსმოუსვლელად მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღით ადრე სახლში წაიქცა და სისხლჩაქცევის გამო საოპერაციო შეიქნა. სამწუხაროდ, ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ.

ძმები შაბათს კვალიფიკაციის დასრულებისთანავე მეუღლეებთან ერთად გერმანიაში გაფრინდნენ, მეორე დღეს კი ისევ იმოლაში იყვნენ. გუნდების შეფები მათ სულაც არ ავალდებულებდნენ რბოლაში მონაწილეობას, მაგრამ ორივენი მაინც გავიდნენ სტარტზე. მიხაელმა გამარჯვება, ცხადია, დედის ხსოვნას მიუძღვნა: „მამაჩვენთან ერთად დედა მუდამ მხარს გვიჭერდა და მე და რალფი სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ, მრბოლები რომ გავხდით. მჯერა, მისი სურვილი იქნებოდა, რომ დღევანდელ რბოლაში გამოვსულიყავი."

„ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი: „მიხაელს უმძიმესი დღე ჰქონდა, ამიტომ გადაწყვეტილების მიღებაც მას მივანდეთ. მას შეეძლო, უარი ეთქვა რბოლაში მონაწილეობაზე, რადგან ჩვენ არასდროს ვაძალებთ პილოტს, საჭეს მიუჯდეს, თუ ეს არ სურს. მიხაელი გუნდის ინტერესებისთვის გავიდა სტარტზე და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ნამდვილი მრბოლი და ნამდვილი ადამიანია. მთელი „ფერარი" მისით ამაყობს."

საპოულე ბრძოლა შუმახერების ბენეფისი გამოდგა — ძმები წამის მესედმა „გაყო". ერთ-ერთ მოსახვევში საგრძნობი შეცდომის მიუხედავად, მიხაელმა მაინც შეძლო კვალიფიკაციის 52-ედ მოგება. მეორედ მოხდა, რომ ისინი სტარტზე გვერდიგვერდ იდგნენ ყველაზე წინ: შარშან, გერმანიაში, ფინიშთან პირველი დიდი შუმი მიიჭრა, უმცროსი მესამე იყო. ამჯერად ისტორია თითქმის განმეორდა.

მეორე სასტარტო რიგიც (რუბენს ბარიკელო და ხუან პაბლო მონტოია) ფერარ-უილიამსელების იყო, მათ უკან მარკ ვებერი და წლევანდელი სეზონის გმირი კიმი რაიკონენი იდგნენ, დევიდ კულტჰარდს კი მხოლოდ მე-12 შედეგი ჰქონდა.

უავარიო და ორიოდ გასწრებიან რბოლაში გამორჩეული ბევრი არაფერი მომხდარა. სასტარტო ნიშნისთანავე რალფი ძმაზე მკვირცხლად დაიძრა და პირველ მოსახვევში უკვე მასზე წინ იყო. ვებერი ოდნავ შეფერხდა, რაც ექვსი პოზიციის დაკარგვად დაუჯდა, ამდენივეთი იზარალა მის უკან მყოფმა ჟაკ ვილნევმა. სამაგიეროდ, იყოჩაღა კულტჰარდმა და ოთხი ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა. ამის შემდეგ ათი წრე ქარავანში არაფერი შეცვლილა.

მიხაელმა ლიდერობა პირველივე პიტსტოპის შემდეგ დაიბრუნა, როცა პატარა გერმანელს „უილიამსის" მექანიკოსები უხეიროდ მოემსახურნენ. რალფს მერე ბარიკელომაც გაასწრო და იქნებ მეორე ადგილისთვისაც გამოეკრა ხელი, მაგრამ მებოქსეებმა აურიეს, რის გამოც მეორედ მოუხდათ რუბინიოს ბოლიდის დომკრატზე შეყენება.

მართალია, ფერარელებს უმთავრეს კონკურენტ „მაკებზე" ერთით მეტი პიტსტოპი ჰქონდათ, მაგრამ ამ ტაქტიკამ სასურველი შედეგი მოუტანა და მიხაელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ფინიშამდე ხუთი წრით ადრე იგი 12 წამს უგებდა უახლოეს მდევარს და რბოლის ბედიც გადაწყვეტილი იყო, ამიტომ საგრძნობლად უკლო სისწრაფეს.

შუმახერმა თავისი მეხუთე სანმარინოული პრიზი მოიგო ჰეთ თრიქით (პოული, უსწრაფესი წრე, პირველი ადგილი), რაც უძნელესი შესასრულებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს „სკუდერიის" 160-ე დიდი პრიზია.

გუნდურ ჩათვლაში, ანუ კონსტრუქტორთა თასზე, „ფერარიმ" დაწინაურებულ „მაკლარენთან" ჩამორჩენა ოთხი ქულით შეამცირა, თუმც მაინც ბევრით, 19 ქულითაა უკან.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**სან მარინოს დიდი პრიზი**
**20 აპრილი. იმოლა**
დისტანცია — 62 წრე — 305,609 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1.(1) | *მ. შუმახერი* (ფერარი) | 1:28.12,058 (207,9 კმ/სთ) |
| 2.(6) | *რაიკონენი* (მაკლარენი) | ჩამორჩა 1,882 |
| 3.(3) | *ბარიკელო* (ფერარი) | 2,291 |
| 4.(2) | *რ. შუმახერი* (უილიამსი) | 8,803 |
| 5.(12) | *კულტჰარდი* (მაკლარენი) | 9,411 |
| 6.(8) | *ალონსო* (რენო) | 43,689 |
| 7.(4) | *მონტოია* (უილიამსი) | 45,271 |
| 8.(9) | *ბატონი* (BAR) | 1 წრით |
| 9.(10) | *პანი* (ტოიოტა) | 1 წრით |
| 10.(11) | *ჰაიდფელდი* (ზაუბერი) | 1 წრით |
| 11.(14) | *ფრენცენი* (ზაუბერი) | 1 წრით |
| 12.(13) | *და მატა* (ტოიოტა) | 1 წრით |
| 13.(16) | *ტრული* (რენო) | 1 წრით |
| 14.(15) | *პიცონია* (იაგუარი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (17) | *ფიზიკელა* (ჯორდანი) | გაიარა 57 წრე |
| (5) | *ვებერი* (იაგუარი) | 54 |
| (19) | *ფირმენი* (ჯორდანი) | 51 |
| (20) | *ფერსტაპენი* (მინარდი) | 38 |
| (18) | *უილსონი* (მინარდი) | 23 |
| (7) | *ვილნევი* (BAR) | 19 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

**პოული**
*მ. შუმახერი* 1:22,327 (215,7 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
*მ. შუმახერი* 1:22,491 (215,3 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ.ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **რაიკონენი** მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | | | | | | | | | | | | | 32 |
| 2 **კულტჰარდი** მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | | | | | | | | | | | | | 19 |
| 3 **მ. შუმახერი** ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | | | | | | | | | | | | | 18 |
| 4 **ალონსო** რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | | | | | | | | | | | | | 17 |
| 5 **ბარიკელო** ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | | | | | | | | | | | | | 14 |
| 6 **რ. შუმახერი** უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | 13 |
| 7 **ფიზიკელა** ჯორდანი, იტალია | – | – | 10 | – | | | | | | | | | | | | | 10 |
| 8 **მონტოია** უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | | | | | | | | | | | | | 10 |
| 9 **ტრული** რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | | | | | | | | | | | | | 9 |
| 10 **ფრენცენი** ზაუბერი, გერმანია | 3 | – | 4 | – | | | | | | | | | | | | | 7 |

*ვილნევი (BAR), ბატონი (BAR) — 3; ჰაიდფელდი (ზაუბერი) — 1 ქულა*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge